ბიბლ... ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 56 (1072) შაბათი, 20 მაისი, /1995 წელი.

ფასი 200 000 კუპონი.

გაერო ადასტურებს თავის ერთგულებას

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უშიშროების საბჭო

უშიშროების საბჭომ, რომელიც ადასტურებს თავის ყველა შესაბამის რეზოლუციას, კერძოდ, 1995 წლის 12 იანვრის 971 რეზოლუციას (1995);

განიხილა გენერალური მდივნის 1995 წლის პირველი მაისის მოხსენება (S) (1995/342);

კვლავ ადასტურებს თავის ერთგულებას საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი;

შეშფოთებულია იმის გამო, რომ არ არის მიღწეული საკმარისი პროგრესი ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების საქმეში;

იწონებს და მხარს უჭერს მიმდინარე კონსულტაციებს ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების კონტექსტით ფედერალურ პრინციპებზე დაფუძნებული საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის საკითხზე;

კვლავ ადასტურებს კონფლიქტის შედეგად ყველა ლტოლვილისა და ადგილნაცვალი პირის უფლებას, უსაფრთხოების პირობებში დაბრუნდნენ საკუთარ სახლებში საერთაშორისო სამართლისა და ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ ოთხმხრივი შეთანხმების დებულებათა შესაბამისად (S) (1994/39, დანართი მე-2), რომელიც ხელმოწერილია მოსკოვში 1994 წლის 4 აპრილს;

გამოთქვამს სინანულს იმის გამო, რომ აფხაზი ხელისუფალნი კვლავინდებურად ხელს უშლიან ასეთ დაბრუნებას და აღნიშნავს, რომ ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნება გალის რაიონში სასურველი პირველი ნაბიჯი იქნებოდა,

გამოთქვამს შეშფოთებას სახსრების კრიზისული ნაკლებობის გამო, რასაც შეიძლება მოჰყვეს დიდმნიშვნელოვანი ჰუმანიტარული პროგრამების განხორციელების შეჩერება,

შეგვახსენებს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ბუდაპეშტის უმაღლესი დონის შეხვედრის დასკვნებს (S) (1994/143 დანართი) აფხაზეთის, საქართველოს რესპუბლიკა, მდგომარეობის შესახებ,

კვლავ ადასტურებს მხარეთა მიმართ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის საჭიროებას,

აღნიშნავს, რომ 1994 წლის 14 მაისს მოსკოვში ხელმოწერილ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების დაშორიშორების შესახებ (S) (1994/583, დანართი 1-ლი) საერთოდ იცავდნენ მხარეები განვლილი წლის მანძილზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოში მეთვალყურეობის მისიის ხელშეწყობით, მაგრამ გამოთქვამს შეშფოთებას იმის გამო, რომ კვლავ არ არსებობს უსაფრთხო პირობები, კერძოდ, ამას წინათ მოხდა თავდასხმა სამოქალაქო მოსახლეობაზე გალის რაიონში,

კვლავ გამოთქვამს შეშფოთებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოში მეთვალყურეობის მისიის და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის პერსონალის უსაფრთხოების გამო და ხაზს უსვამს იმ მნიშვნელობას, რომელსაც ანიჭებს იგი გადაადგილების თავისუფლებას,

ხაზგასმით აღნიშნავს აგრეთვე თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს იმ შეიარაღების რაოდენობისა და სახეობათა შეზღუდვას, რომელიც მხარეებს შეიძლება ჰქონდეთ უსაფრთხოების ზონაში, და იწონებს გენერალური მდივნის განზრახვას განაგრძოს ამ საკითხის განხილვა მხარეებთან ერთად,

გამოთქვამს კმაყოფილებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოში მეთვალყურეობის მისიის და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მიერ თავიანთი შესაბამისი მანდატების განხორციელებაში მათ შორის მჭიდრო თანამშრომლობისა და კოორდინაციის გამო და მაღალ შეფასებას აძლევს მათ წვლილს კონფლიქტის ზონაში მდგომარეობის სტაბილიზაციის საქმეში, და

ჯეროვან პატივს მიაგებს რა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების იმ წევრებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს თავიანთ მოვალეობათა შესრულებას.

1. მიესალმება გენერალური მდივნის 1995 წლის პირველი მაისის მოხსენებას;
2. ადგენს გააგრძელოს მანდატი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოში მეთვალყურეობის მისიის დამატებითი პერიოდისათვის, რომელიც მთავრდება 1996 წლის 12 იანვარს იმ პირობით, რომ მას გადასინჯავს საბჭო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მანდატში ნებისმიერ ცვლილებათა შეტანის შემთხვევაში;
3. აცხადებს, რომ ხაზგასმით უჭერს მხარს გენერალური მდივნის ძალისხმევას კონფლიქტის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევისათვის, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის ჩათვლით, საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემის პირობებში, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის როგორც ხელშემწყობი მხარის ძალისხმევას კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ძიების გააქტიურებისათვის, და მოუწოდებს გენერალურ მდივანს განაგრძოს ძალისხმევა ამ მიზნით რუსეთის ფედერაციის როგორც ხელშემწყობი მხარის დახმარებითა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მხარდაჭერით;
4. მოუწოდებს მხარეებს მიაღწიონ არსებით პროგრესს მოლაპარაკებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით და რუსეთის ფედერაციის როგორც ხელშემწყობი მხარის დახმარებით და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით;
5. დაბეჯითებით მოუწოდებს მხარეებს თავი შეიკავონ ნებისმიერი ცალმხრივი მოქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება გაართულოს ან ჩაშალოს უსწრაფესი და ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევისათვის გამიზნული პოლიტიკური პროცესი;
6. კვლავ მოუწოდებს აფხაზურ მხარეს არსებითად დააჩქაროს ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნების პროცესი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის სამმართველოს მიერ შეთავაზებული გრაფიკის საფუძველზე მიღებული გრაფიკის გზით, უზრუნველყოს რაიონში მყოფ არაორგანიზებულ რეპატრიანტთა უსაფრთხოება და მოაწესრიგოს მათი სტატუსი ოთხმხრივი ხელშეკრულების შესაბამისად;
7. იწონებს დამატებით ღონისძიებებს, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოში მეთვალყურეობის მისია და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალები ახორციელებენ გალის რაიონში და რომელთა მიზანია ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხო და მოწესრიგებული დაბრუნების პირობების გაუმჯობესება;
8. მოუწოდებს მხარეებს უფრო აქტიურად ითანამშრომლონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოში მეთვალყურეობის მისიასთან და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებთან ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების უსაფრთხო პირობების უზრუნველსაყოფად და მოუწოდებს აგრეთვე მათ დაიცვან თავიანთი ვალდებულებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მთელი პერსონალის უსაფრთხო და თავისუფალი გადაადგილებისათვის;
9. სთხოვს გენერალურ მდივანს, 971 რეზოლუციის (1995) მე-7 პუნქტის გათვალისწინებით განიხილოს ამ რაიონში ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების გზების საკითხი;
10. კვლავ მოუწოდებს სახელმწიფოებს შეიტანონ თანხები ნებაყოფლობითი შენატანების ფონდში 1994 წლის 14 მაისს მოსკოვში ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების დაშორიშორების შეთანხმების და (ან ჰუმანიტარული ასპექტების) მათ შორის განაღმვის განხორციელების მხარდასაჭერად, როგორც განსაზღვრავენ ამას დონორები;
11. მოუწოდებს სახელმწიფოებს გამოეხმაურონ ერთობლივ დაწესებულებათაშორის მოწოდებას, განსაკუთრებით ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის სამმართველოს გადაუდებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საჭიროებასთან დაკავშირებით, და იწონებს სახელმწიფოთა ყოველგვარ შესაბამის ჰუმანიტარულ წვლილს;
12. თხოვს გენერალურ მდივანს ამ რეზოლუციის მიღებიდან ყოველ სამ თვეში წარმოადგინოს მოხსენებები აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკა, სიტუაციის ყველა ასპექტის შესახებ, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოში მეთვალყურეობის მისიის ოპერაციის თაობაზე, და ადგენს, რომ ამ მოხსენებათა საფუძველზე გაგრძელდეს სიტუაციის შემდგომი მიმოხილვა;
13. ადგენს კვლავაც აქტიურად გაგრძელდეს მუშაობა ამ საკითხზე.

ქართული მწერლობა ხალხის სულიერების, ყოფიერების ბურჯია

საქართველოს მწერალთა ყრილობაზე

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, 17 მაისს თბილისში, აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიმართა საქართველოს მწერალთა XII (XIX) ყრილობა, რომელზეც მომხსენებლის, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, მწერალ **გურამ ფანჯიკიძის** და თანამომხსენებლების **დავით მჭედლურის, რეზო ჭეიშვილის** და **ელგუჯა მაღრაძის** შემდეგ გამართულ კამათში სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, პოეტი **გენო კალანდია**, შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი **შოთა კვირაია**, პოეტები **ჯანსუღ ჩარკვიანი** და **ჯანო ჯანელიძე**, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე, პოეტი **ჯემალ ჯაყელი**, საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე, პროზაიკოსი **თეიმურაზ ლანჩავა**, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის მდივანი **ჩინგიზ აბდულაევი**, გამომცემლობა „საქართველოს" დირექტორი, მწერალი **ჯანსუღ ღვინჯილია**, გამომცემლობა „მერანის" დირექტორი, კრიტიკოსი **გურამ გვერდწითელი**, მწერალი **ჭაბუა ამირეჯიბი**, ჟურნალ „ცისკრის" რედაქტორი, მწერალი **ზაურ კალანდია**, მწერლები **რევაზ მიშველაძე, გიორგი ციციშვილი, ზურაბ ქუმსიაშვილი**, თარგმანის საგამომცემლო ცენტრის „ხომლის" დირექტორი **შადიმან შამანაძე**, პოეტები **მიხეილ ქვლივიძე** და **კობა არაბული**.

მწერლების წინაშე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე **ედუარდ შევარდნაძე**.

მინდა ყველას მოგესალმოთ — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. — მივესალმო იმ აზრებს, რომლებიც აქ გამომსვლელებმა ჩამოაყალიბეს მივესალმო იმ აქტივობას, რომელიც ამ დარბაზშიც იგრძნობა.

მოვედი, რომ კაცური, ადამიანური მადლობა მეთქვა იმისთვის, რომ გადარჩით, არ შედრკით. მადლობა იმისათვის, რომ, როცა აუცილებელი გახდა ზარის ჩამოკრა ქვეყნის გადასარჩენად, თქვენ ეს გააკეთეთ და ხალხმაც მხარი დაგიჭირათ.

ყოველი ჩემი შეხვედრა თქვენთან დაკავშირებულია ქვეყნისთვის განსაკუთრებულ ეტაპებთან. ბოლო ჩვენი შეხვედრა 1992 წელს მოხდა. მაშინ, ხანამ თქვენთან მოვიდოდი, ერთი უცხოელი კორესპონდენტი მეწვია ინტერვიუს ასაღებად. მახსოვს მისი კითხვა: როგორ გრძნობთ თავს?

— თითქოს ცეცხლში ვდგავარ-მეთქი ვუპასუხე...

მაშინ თქვენთან შეხვედრისას მე მივიღე ის ელექსირი, რომელმაც ძალა შემმატა, რა დამხვდა? —გათიშული ქვეყანა, დანგრეული თბილისი, აყრილი რკინიგზები, გაჩერებული, გაჩანაგებული მრეწველობა, მთელი ჯგუფები ადამიანებისა, რომლებიც ერმთანეთს ეჭიბრებოდნენ ვინ უფრო მეტს დაანგრევდა, დაწვავდა წიგნებს. შემდგომ — სამოქალაქო ომი. ლაშქრობა ქუთაისზე. შემდეგ თბილისზე, მათ შორის, გადამთიელებისაც. თქვენ იცით, მიდის ძიება და სულ მალე გამოქვეყნდება მისი შედეგები. ქართველი ხალხი გაიგებს, ვინ ვინ იყო და რა და რატომ ჩაიდინა.

ახალი დრო საქართველოსათვის დაიწყო ომის დამთავრებით. მაგრამ ტკივილები მოუშუშებელია. უწინარესად ეს ეხება ყველა ჩვენგანის ტკივილს—აფხაზეთს, შიდა ქართლს. არ მინდა და არცაა საჭირო თარიღის დასახელება. მაგრამ გეტყვით, რომ 1995 წელი იქნება კონფლიქტების დამთავრების წელი. ამ პროცესში ჩართულია რუსეთი, უცხოეთის ქვეყნების ავტორიტეტული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მიმდინარეობს ურთულესი პროცესი, იქმნება სათანადო დოკუმენტი. პარლამენტი დღესვე ითხოვს ამ დოკუმენტს, ანგარიშს არ უწევს იმას, თუ რა სირთულეებია მისი შექმნის გზაზე.

უმძიმესი ვითარებაა, მაგრამ, საბედნიეროდ, გაჩნდა იმედი, განა შეიძლება არ დაინახო, რომ საქართველოს ჰყავს ნამდვილი უშიშროების სამსახური, ნამდვილი სახელმწიფო ჯარი. გვყავს ჩვენი პოლიცია თავისი ტკივილებით, მაგრამ მთავარია, რომ არის ძალა, იარაღი, სურვილი სახელმწიფოს დახმარებისა. დღეს თუ ალკვეთილია თქვენთვის ცნობილი ერთ-ერთი სერიოზული ავანტიურა — ეს პოლიციის დამსახურებაა. არაფერს არ ვამბობ პროკურატურის შესახებ, რომელიც იძიებს ურთულეს საკითხებს, რათა ქართველმა ხალხმა უახლოეს დროში იცოდეს სრული სიმართლე.

(დასასრული მე-2 გვ.)

აქტუალური ინტერვიუ

ხმა ერის გასაგონად!

ასლან აბაშიძე:

წინ კიდევ არაერთი გამარჯვება მოგველის!

დიდი საზოგადო მოღვაწისა და მამულიშვილის მემედ აბაშიძის საიუბილეო დღეებით მიღებულ შთაბეჭდილებებზე, მის მნიშვნელობაზე, თბილისელთა შესანიშნავ მასპინძლობაზე, ჩვენს დედაქალაქში მიმდინარე საუთველთაო ფერისცვალებაზე დიდი სიყვარულით ლაპარაკობენ ბათუმში, აჭარაში. აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ასლან აბაშიძეს ვთხოვეთ გამოენახა დრო დიალოგისათვის.

— **ბატონო ასლან, ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ აქამდე არნახული, უჩვეულო რამ მოხდა ამ ცოტა ხნის წინათ თბილისში: მემედ აბაშიძისადმი მიძღვნილმა კულტურისა და ხელოვნების დღეებმა აღაფრთოვანა და სულიერად გაერთიანა ჩვენი საზოგადოებრიობა.**

— გეთანხმებით. მართლაც შესანიშნავი ამბავი მოხდა... დედაქალაქი, ქვეყანა, მთელი ათი დღის მანძილზე თავისი ერთ-ერთი გამოჩენილი მამულიშვილის იუბილის დღეებით ცხოვრობდეს და ასეთი საერთო შეჭირვების ჟამს ყოველივე საუკეთესოს, რაც გააჩნია, მას უძღვნიდეს, მართლაც იშვიათად ყოფილა ჩვენში, თუმცა ჩვენი დიდი საზოგადო მოღვაწეების არაერთი იუბილე (მათ შორის, საერთაშორისო მასშტაბისაც) აღუნიშნავს თბილისს, მთელ საქართველოს.

ახლა, როცა ვაანალიზებ საიუბილეო დღეებში თბილისში მომხდარი მოვლენების შედეგებს, კიდევ ერთხელ თვალნათლივ ვრწმუნდები იმაში, თუ რაოდენ გამიზნული, დროული და საჭირო იყო სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილება განვლილი წლების მანძილზე ბათუმში შექმნილი სულიერი ფასეულობების, სიკეთის თბილისში ჩატანისა და მთელი საქართველოსათვის ჩვენების შესახებ.

რაც შეეხება ჩემი პაპის — მემედ აბაშიძის იუბილეს, არაერთხელ მითქვამს, იგი ადრე უნდა გამართულიყო, მაგრამ ისევ ჩემი მიზეზით რამდენჯერმე გადაიდო, რადგან მიმაჩნდა, რომ ასეთი იუბილეებისათვის ჯერ არ ეცალა საქართველოს.

ასე რომ, სახელმწიფოს მეთაურის პირადი ინიციატივა და დიდი მონდომება რომ არა, ალბათ, ამჯერადაც ასევე იქნებოდა. მან იტვირთა და წამოიწყო ის, რასაც შემდგომ პრაქტიკულად შეასხა ხორცი სამთავრობო კომისიამ. სწორედ ამის შედეგი გახლდათ ის უჩვეულო ათი საზეიმო დღე, რომელიც ჩვენი კულტურისა და ხელოვნების ნამდვილ დღესასწაულად მოევლინა თბილისს.

— **ბატონო ასლან, დღეს ყველანი კარგად ვიცნობთ ჩვენი ქვეყნის, განსაკუთრებით დედაქალაქის ტკივილს, მის შესაძლებლობებს, მაგრამ თბილისში ჩასვლისთანავე ისიც თვალნათლივ ვიგრძენით თუ სახელმწიფოს მეთაურის, დედაქალაქის ხელმძღვანელობის როგორი ყურადღებითა და მზრუნველობით ვიყავით გარემოხილნი...**

— მე კარგად მაქვს წარმოდგენილი, თუ რას ნიშნავს დღეს თბილისში 400-მდე კულტურისა და ხელოვნების მუშაკის, მათ შორის, სამთავრობო დელეგაციის წევრების მიღება, მასპინძლობა, თუ ხატოვნად ვიტყვით, ისინი მართლა გულში ჩაიკრა დედაქალაქმა, რაც უპირველესად იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჩვენი დიდი თბილისი ისევ თბილისობს, ისევ ყველას გვამხნევებს, გვაერთიანებს. ეს იმასაც ნიშნავს, რომ დადგა დრო, როცა ყოველმა ქვეყანამ უნდა სძლიოს ბოროტებას, იმას, რაც წინ გველობება, ხელს გვიშლის სიყვარულში, თანადგომაში, ჩვენი ძალების გაერთიანებაში. ეს იმაზეც მიუთითებს, რომ იწყება ახალი ცხოვრება, ახალი ეკონომიკა, კულტურისა და ხელოვნების ახალი აღზევება და აღორძინება. ცხადია, მიხარია, რომ ჩვენი ერისათვის ამის პირველი მახარობელი აჭარაა... ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

— **მახსენდება ერთი პატარა მონაკვეთი ბატონ ედუარდ შევარდნაძის შესანიშნავი წერილიდან, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკის" 25 აპრილის ნომერში და-**

(დასასრული მე-2 გვ.)

ცხოვრება კაცისა

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება
ლ. ვ. ჯაფარიძის საქართველოს მოქალაქედ მიღების შესახებ

1. მიღებულ იქნეს ლავრენტი ვასილის ძე ჯაფარიძე საქართველოს მოქალაქედ პირადი განცხადების საფუძველზე.
2. ბრძანებულება ძალაში შედის მიღების დღიდან.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1995 წლის 6 მაისი.

ჩვენმა თანამემამულემ 55 წლის წინათ დაკარგული მოქალაქეობა დაიბრუნა

დღეს ქვეყნდება სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება ჩვენი თანამემამულის, იტალიაში მცხოვრები ქართველი კაცის ლავრენტი ჯაფარიძის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ მიღების თაობაზე.

ლავრენტი ჯაფარიძე! როგორ მინდოდა ამ კაცზე, მის ოჯახზე რამდენიმე თბილი სიტყვა მეთქვა, იგი ფართო ქართველი საზოგადოებისათვის წარმედგინა. ვერა და აქამდე ვერ მოვახერხე ეს.

პირველად მისი სახელი 1969 წლის შემოდგომაზე გავიგე. მაშინ ჩვენთან, გაზეთ „სამშობლოს" რედაქციაში, ერთი ახალგაზრდა ქალი მოვიდა და თავი გაგვაცნო — ჯულიეტა გოგრიჭიანი. იგი ახალი დაბრუნებული იყო იტალიიდან, სადაც ბიძის — ლავრენტი ჯაფარიძის მიწვევით ყოფილა და ძალზე სასიხარულო, მნიშვნელოვანი ამბავი ჩამოგვიტანა: ქართველი პარტიზანი ფორე მოსულიშვილი, რომელიც იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობდა და ფაშისტებთან ბრძოლაში ვაჟკაცურად დაეცა, იტალიის უმაღლეს ჯილდოზე — ოქროს ვარსკვლავზეა წარდგენილი! თან იტალიელ პარტიზანთა სახელგანთქმული მეთაურების ჩინო მოსკატელისა და ერალდო გასტონეს ხელმოწერილი ბარათიც ჩამოიტანა, სადაც ისინი მოკლედ აღწერდნენ ქართველი ვაჟკაცის საბრძოლო დამსახურებას და გვთხოვდნენ დამატებით მასალებს გმირის ბიოგრაფიის შესავსებად.

ასე გავიგე პირველად მაშინ ლავრენტი ჯაფარიძის, ფორე მოსულიშვილის, ჩინო მოსკატელის, ერალდო გასტონესა და იტალიის წინააღმდეგობის ეპოპეის კიდევ სხვა მონაწილეთა სახელები, რომელთა უმრავლესობაზე ქართულ პრესაში შემდგომ არა ერთი წერილი და ნარკვევი გამოქვეყნებულა. სამწუხაროდ, თვით ლავრენტიზე თითქმის არაფერი თქმულა.

ამ ამბიდან ერთი წლის შემდეგ შესაძლებლობა მომეცა ეს კაცი უშუალოდ ადგილზე, იტალიაში გამეცნო. იმ დღეს ჩრდილოეთ იტალიის ერთ პატარა ქალაქ ომენიაში საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავდა ფაშისტების მიერ მხეცურად დახვრეტილი ადგილობრივი პატრიოტების რომელიღაც წლისთავს. მანიფესტაციაზე იყვნენ წინააღმდეგობის მოძრაობის თითქმის ყველა სახელმოხვეჭილი მეთაური, აქტიური მონაწილე. ბატონი ლავრენტი მაშინ პარტიზანთა ლეგენდარულმა კომისარმა, ცნობილმა საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწემ, სენატორმა ჩინო მოსკატელმა წარმომიდგინა, გაიცანი, თქვენი თანამემამულეაო.

ეს იყო ძალზე სასიამოვნო მოულოდნელი შეხვედრა, ნამდვილი სიურპრიზი. თუმცა მისამართი თან მქონდა და ისედაც ვაპირებდი მის ნახვას, მაგრამ არ მეგონა, თუ ეს სურვილი ასე უცებ ამიხდებოდა.

ჩემს წინაშე იდგა ტანმორჩილი, მკვრივი აღნაგობის, სასიამოვნო გარეგნობის ქართველი კაცი, უფრო სწორად, — ნაღდი რაჭველი ყველა მისი კოლორიტით....

— ეს კაცი წესიერებისა და სიკეთის განსახიერებაა, — მითხრა მაშინ მოსკატელმა, — იყო მამაცი, გაბედული მებრძოლი. ახლა ჩვენს მხარეში მას ყველა აფასებს, სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობა. შეგიძლიათ იამაყოთ ასეთი თანამემამულით.

დღემდე შემომრჩა იმდროინდელი უბის წიგნაკი ძუნწი ჩანაწერებით: „14 თებერვალი, 1971 წელი. ქ. ომენია. ლავრენტი ჯაფარიძე, 52 წლისა, დაბადებული ონის რაიონის სოფელ ღარში...." და კიდევ — „ლავრენტი ატარებს საბჭოთა პასპორტს, ისწრაფვის, როგორც ყველა ჩვენგანი და ითვლება საბჭოთა მოქალაქედ?!"

ვეკითხები: —ბატონო ლავრენტი, ამდენი წელიწადია იტალიაში ცხოვრობთ, აქ გაქვთ ოჯახი, გყავთ აქაური ცოლი, ნუთუ გაგიჭირდათ იტალიის მოქალაქეობის მიღება?

— ვახტანგი, კარგად გამიგე, ბიჭო — ოდნავ ნაღვლიანი, გამრიელი რაჭულით მიპასუხა მაშინ ბატონმა ლავრენტიმ, — აქ გლახათ არ ვცხოვრობ, კარგი ოჯახიც მაქვს, მაგრამ ჩემი რაჭა ყველაფერს მირჩევნია. რამდენჯერ შემომთავაზეს იტალიის მოქალაქეობა, მატერიალურად (ეს ჩემთვის ხელსაყრელიც იქნებოდა, მაგრამ ვაი თუ ამით სამუდამოდ მოვიჭრა გზა ჩემი საქართველოსაკენ. ეს პასპორტი კი იმედის ის ძაფია, სამშობლოსთან რომ მაკავშირებს...

მესამე დღეს, ქალაქ ნოვარაში, სასტუმრო „იტალიაში", სადაც მე და ჟურნალისტი ედუარდ სიხარულიძე გავჩერდით, ლავრენტის მეუღლე, ქალბატონი მარია გამოგვეცხადა ქალიშვილით და ოჯახში მიგვიწვია. მახსოვს, იმ მხარისათვის დამახასიათებელი ძლიერი ბურუსი იდგა, გზადაგზა თოვდა კიდეც, ისე რომ, მარიას პატარა ფიატით 50 კილომეტრის დაფარვას ნოვარიდან ვერბანიამდე, რომელიც თვალწარმტაც ლაგო მაჯორეს ტბის სანაპიროზე მდებარეობს, სამ საათზე მეტი მოვუნდით.

კვლავ ჩემი ძველი დღიურებიდან: „...ვერბანია — ინტრა. მშვენიერი პატარა საკურორტო ქალაქი (ლაგო მაჯორეს ირგვლივ ყველა ქალაქი საკურორტოა, თანაც საერთაშორისო). აქედან შვეიცარიამდე სულ რაღაც 10-15 კილომეტრია. ამ ქალაქში ცხოვრობს ჩვენი ლავრენტი, მისი მეუღლე მარია პერონი, ქალიშვილი ჯულია და ვაჟი ლორენცო. ლავრენტი ერთ-ერთ სახელოსნოში მექანიკოსად მუშაობს, მეუღლე— სავადმყოფოში, ჯულია მილანის უნივერსიტეტის პედაგოგიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტია, ხოლო ლორენცო წელს ამთავრებს ბიოლოგიის ფაკულტეტს".

ლავრენტის წინასწარ ვუთხარი თადარიგი და ჩვენი ჟურნალისტური ძიებისათვის საინტერესო რამდენიმე პიროვნებას შეგვახვედრა. ძიების საგანი კი იყო ფორე მოსულიშვილისა და სხვა ქართველი პარტიზანების ნაკვალევი იტალიის ალპებში....

ის ღამე ვერბანიაში გავათიეთ. არასოდეს დამავიწყდება ჩვენი იტალიელი რძლის ქალბატონი მარიას მზრუნველობა, მისი სითბო და გულუხვი სტუმართმოყვარეობა, რაც, ალბათ, ჭეშმარიტ ქართველ დიასახლისსაც შეშურდებოდა.

მას შემდეგ არაერთხელ შევხვედრივარ ამ კეთილ ადამიანებს როგორც იტალიაში, ისე საქართველოში, სადაც ლავრენტი და მისი ოჯახი ხან კერძო, ხან ოფიციალური მოწვევით და ხანაც იტალიელ პარტიზანებთან ერთად ჩამოდიოდა ხოლმე.

• • •

ომის დაწყების პირველი დღიდან ღარელი ბიჭი ჯარში გაიწვიეს. 42-ის გაზაფხულზე ხარკოვთან, ქალაქ იზიუმისათვის ბრძოლაში სერიოზულად დაიჭრა და იმ განუკითხაობაში მთელ სამხედრო ჰოსპიტალთან ერთად გერმანელთა ტყვეობაში აღმოჩნდა. ერთ ხანს უკრაინის ტყვეთა ბანაკებში იმყოფებოდა. 1943 წლის შემოდგომაზე იტალიაში, ჯერ ტურინში, ხოლო შემდეგ, სხვა ქართველ ტყვეებთან ერთად, ნოვარაში ჩაიყვანეს, სადაც გზების შეკეთებაზე ამუშავებდნენ.

1944 წლის გაზაფხულზე ნოვარის ტყვეთა ბანაკიდან ხაშურელი ზურაბ ხაბელაშვილის მეთაურობით, 16 შეიარაღებული ქართველი გაიქცა და ლაგო მაჯორეს ჩრდილოეთით, ალპების შეფენილობაზე, დომოდოსოლას მთებს შეაფარა თავი. ლავრენტი ჯაფარიძის გარდა ამ რაზმში იყვნენ გორელი ვახტანგ ფანიაშვილი, ხაშურელი ილო ლაბაძე, რუსთაველი გრიშა ნადირაშვილი, თბილისელი ნიკოლოზ კეკელიძე, ონელები უშანგი მეტრეველი და კარლო ხურციძე. ეს უკანასკნელი მალე დაიღუპა და სოფელ ბიენოში დასაფლავებული. ახლა ლავრენტი ყველას გვარს ვეღარ იხსენებს.

თავდაპირველად დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, მაგრამ უცხო მხარეში ძალზე გაუჭირდათ. ერთ-ერთ ბრძოლაში ხაბელაშვილიც დაიღუპა და რაზმი მარიო ფლანის სახელობის გარიბალდელი დივიზიის 87-ე ბრიგადას შეუერთდა. ამის შემდეგ სულ მალე, პარტიზანული მთავარსარდლობის გადაწყვეტილებით, ბატალიონი ლაგო მაჯორეს ტბისა და ქალაქ ვერბანიის მახ-

(დასასრული მე-5 გვ.)

მერვე სვეტი

აირჩიეს ახალ თანამდებობაზე

სანქტ-პეტერბურგში გაიმართა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სხდომა, რომელზეც აირჩიეს საგარეო-პოლიტიკურ საკითხთა მუდმივი კომისიის ხელმძღვანელები, მისი თავმჯდომარე გახდა ვლადიმერ პოდოპრიგორა, რომელიც ამჟამად ხელმძღვანელობს ფედერაციის საბჭოს ფედერალური კრების საგარეო საქმეთა კომიტეტს. მის პირველ მოადგილედ გადაწყვიტეს აირჩიათ საქართველოს წარმომადგენელი, პარლამენტის წევრი ჯემალ გერიძე. კომისია ამზადებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების საპარლამენტო დელეგაციათა საერთაშორისო სემინარს, რომელიც ბათუმში გაიმართება მიმდინარე წლის 3-4 ივლისს. ამ სემინარის თავმჯდომარეა საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

გვესტუმრება გერმანიის მინისტრი

19 მაისს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ბაკურ გულუამ მიიღო გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ნორბერტ ბაასი.

საუბარი შეეხო გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური მინისტრის კარლ-დიტერ შპრანგერის ვიზიტის საკითხებს.

როგორც ბატონმა ბ. გულუამ აღნიშნა მინისტრის ვიზიტი ხელს შეუწყობს საქართველოსა და გერმანიის ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებას სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, ტრანსპორტისა და სხვა დარგებში.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისთვის

18 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ავთანდილ მარგიანის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო ბიუროს მორიგი სხდომა.

საუბარი შეეხო საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო დეპარტამენტის დებულებისა და დადგენილების პროექტებს, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება მინისტრთა კაბინეტს.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური

გაიმართა მორიგი ვაჭრობა

17 მაისს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გაიმართა მორიგი საჯარო ვაჭრობა, რომელზეც გაყიდვის მოცულობამ შეადგინა 711 ათასი ამერიკული დოლარი და 110 მილიონი რუსული რუბლი. დოლარის კურსი წინანდელი დარჩა—1300 ათასი კუპონი, რუბლისა კი, გასულ ორშაბათს გამართულ ვაჭრობასთან შედარებით, 12 პუნქტით აიწია და შეადგინა 243 კუპონი. ვაჭრობის შედეგების მიხედვით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 18 მაისიდან დააწესა უცხოურ ვალუტათა ახალი კურსები კუპონის მიმართ.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

გაიტაცეს ვაუჩერები

1995 წლის 17 მაისს, 13 საათსა და 30 წუთზე, „ახალი ქართული ბანკის" ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის № 10/1 ფილიალიდან ბოროტმოქმედმა გაიტაცა 68 ცალი საპრივატიზაციო ბარათი (ვაუჩერი) №№ 2854133 — 2854200, რომლებიც ცხადდება ბათილად. მომხდარი ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ქართული მწერლობა ხალხის სულიერების, ყოფიერების ბურჯია

(დასასრული)

ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ბნელეთის, შეცდომების კასკადის, ნგრევის შემდეგ დაიწყო მოძრაობა, ამუშავდნენ საწარმოები, გაჩნდა რაღაც ახლის ყლორტები, რომელთა აღმოცენებას ყველამ უნდა დაუჭიროს მხარი, ბარიკადების ორივე მხარეს მდგომმა ადამიანებმა — მომხრემაც და ოპოზიციამაც, ყველამ, ვისთვისაც უპირველესია საქართველოს ბედ-იღბალი, მისი ხვალინდელი დღე.

ჩემთვის გასაგებია, ის, რაც აქ ილაპარაკეს გამომცემლობების ხელმძღვანელებმა: იმ საერთო გასაჭირის ფონზე, როცა თითქმის შეუძლებელი იყო წიგნის დასტამბვა, გაზეთის გამოშვება, ქარხნის ამუშავება, იქ სადაც გულმოდგინედ იმუშავეს, შეუძლებელი შეძლეს, არ შემიძლია არ მივესალმო, რომ ქუთაისში, თბილისში ამუშავდნენ საწარმოები, ქუთაისს, თბილისს, აჭარას გაუჩნდა თავიანთი რეგიონების სახსრები. ესაა პირველი ნიშნები იმისა, რომ ქვეყანა იწყებს გამოცოცხლებას.

ამ წლებში მოხერხდა ისიც, რომ საქართველო გახდა მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი. აქტიურად მონაწილეობს გაეროს, ევროსტრუქტურების მუშაობაში. გადაიდგა ნაბიჯი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისაკენ. მე ვიცი, რომ ბევრი არ ეთანხმება ამ ნაბიჯს. ეს გასაგებიცაა. მაგრამ, სანამ ევროპასთან და სხვებთან დავამყარებთ კავშირს, უნდა აღვადგინოთ ძველი კავშირები. ეს ერთ-ერთი შემობრუნებაა ჩვენს ცხოვრებაში.

მიმაჩნია, რომ არავითარი საშიშროება იმისა, რომ საქართველო დაკარგავს დამოუკიდებლობას, არ არსებობს. რა თქმა უნდა, თუ ჩვენ თვითონ არ გამოვიგონებთ რაიმეს. არიან ისეთებიც, ვინც გმობს კომპრომისს რუსეთის სამხედრო ბაზების შესახებ. ესეც გასაგებია, ერთი კია — დღეს სულ სხვა დროა, ამ დრომ ევროპის რუკაშიც შეიტანა ცვლილებები.

უნდა აღვადგინოთ ძველი კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური კავშირები, რომ არ აღმოვჩნდეთ პროვინციალიზმის წუმპეში. გზა ევროპისაკენ რუსეთზე გადის, ასე ხელაღებით ლაპარაკი ამ მეზობელ ქვეყანასთან კავშირების თაობაზე, კარგს არაფერს მოგვიტანს.

იწყება აღმშენებლობა, დიახ, ჩვენ თვითონ უნდა ავაშენოთ ჩვენი საქართველო. ამაშიც მედავებიან, ალბათ, ასეთი ადამიანებიც უნდა იყოს. უნდა მივესალმოთ ყველა იმ ყლორტს, რომელიც დღეს აღმოცენდება საქართველოში. და მწერლობამ ამაში ხელი უნდა შეგვიწყოს. ვერავითარი სისინი ხელს ვერ შეუშლის დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობას. გადავარჩინეთ თეატრი, მალე მწერლობასაც, კინოსაც მივხედავთ, ამის საშუალებას გვაძლევს ის უფლებები, რომლებიც რეგიონებს მივანიჭეთ და რომლის შედეგები აშკარად ჩანს ქუთაისში, თბილისში, სხვაგანაც.

წლევანდელი წელიწადი რთული გვაქვს, გასამართავია არჩევნები, მისაღებია ახალი კონსტიტუცია. ამ დღეებში მის პროექტს წარვუდგენთ პარლამენტს. განხილვა რთული იქნება, როდესაც გამოქვეყნდება კონსტიტუციის ტექსტი, მის განხილვაში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, საბოლოო სიტყვას თვით ხალხი იტყვის.

უნდა გავთავისუფლდეთ დამნაშავე კლანებისაგან, ვინც უნდა იყოს — თუნდაც ჩემი მეგობარი, თუ ის მეგობრობა საზიანოა სახელმწიფოსათვის, მისი ინტერესებისათვის, იგი უნდა დაიგმოს. ჩვენს მიერ საკითხის ასეთმა დასმამ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთი კვალიფიკაცია მისცეს: ჩანს, რომ სახელმწიფო ხელში იღებს ყველაფერს.

დიახ, შენი კლანისა და შენი პირადი ინტერესები უნდა დათმო ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ. კონსტიტუცია უნდა გახდეს იმის გარანტი, რომ ის, რაც მოხდა საქართველოში, აღარ განმეორდება.

ძლიერი პარლამენტი, ძლიერი პრეზიდენტი — ლაპარაკია ვინ ვის უნდა დაემორჩილოს. არავინ არავის არ უნდა დაემორჩილოს — უნდა ითანამშრომლონ, აკეთონ საერთო საქმე, ისე როგორც ამერიკაში, გერმანიაში, სხვა მოწინავე ქვეყნებში.

აქ ითქვა, რომ ეჭვს იწვევს სამხარეო დაყოფა. მანამ, სანამ მივიღებდეთ კონსტიტუციას, ვნახოთ, რას მოგვიტანს ეს. ცოტა ხნის წინათ რაჭაში ვიყავით. ეს უმდიდრესი და მიგდებული მხარეა, რაც ახლა მოხერხდა სამცხე-ჯავახეთში, ქართლში, კახეთში, ჩვენ ვერ შევძლებდით, რომ არ ყოფილიყო ძლიერი ადგილობრივი მმართველობა და ძლიერი ცენტრი.

ბევრ ლაპარაკს იწვევს ქვეყნის ფედერალური მოწყობა. რატომ, განა ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, ფედერალური ქვეყნები არ არიან? რა წააგეს ამით?

მწერლობა უნდა მიჰყვეს ილიას გზას ქვეყნის მშენებლობაში, შრომაში, ზნეობაში, გონიერებაში, ხვალინდელი დღის განჭვრეტაში. ამ ეტაპზე კონსტიტუციის მიღება უნდა იყოს მწერლობის აქტიური განხილვის ობიექტი.

ქართული მწერლობა ისეთი ფენომენია, რომლის შეფასება შეუძლებელია. იგი ხალხის სულიერების, ყოფიერების ბურჯია. მწერლობის დაკნინება — ხალხის და ერის დაკნინებაა. ამას ჩვენ არ დავუშვებთ.

სახელმწიფოს მეთაური თავის გამოსვლაში შეეხო მწერლობისათვის მრავალ საარსებო მნიშვნელობის საკითხს და დახმარება, თანადგომა აღუთქვა მწერლებს.

საქინფორმი.

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ბერლინის ევროპული აკადემიის წარმომადგენლები

18 მაისს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ბერლინის ევროპული აკადემიის წარმომადგენლები აკადემიის დირექტორის ეკჰარტ შტრატენშულტეს ხელმძღვანელობით. მასთან ერთად საქართველოს ეწვივნენ გერმანიის მთავრობის პრესის დეპარტამენტის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელი გერდ პფლაუმერი, ქართულ-გერმანული პროექტების კოორდინატორი მიხაილ ვებერი და ჰოლანდიის საზოგადოება „პოლიტიკა და საზოგადოების" წარმომადგენელი ჟაკ ნიევერი.

როგორც ცნობილია, 1992 წელს ევროკავშირმა ჩამოაყალიბა დემოკრატიული პროგრამა „ტასისი და ფარე", რომელიც ითვალისწინებს ყოფილ სსრ კავშირის რესპუბლიკებში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას. სწორედ ამისთვის ბერლინის ევროპულმა აკადემიამ საქართველოში შეარჩია დამოუკიდებელი ორგანიზაცია საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის სახით, რომლის ეგიდითაც საქართველოში 16-დან 18 მაისამდე გაიმართა საერთაშორისო სემინარი თემაზე: „თავისუფალი პრესა დემოკრატიულ სახელმწიფოში".

სტუმრებმა სახელმწიფოს მეთაურს გააცნეს თავიანთი შთაბეჭდილებები სემინარის მიმდინარეობასა და ჩვენს ქვეყანაში თავისუფალი პრესის მდგომარეობის შესახებ, გამოთქვეს სურვილი დაეხმარონ საქართველოს ტელევიზიას თანამედროვე ტექნიკით აღჭურვაში, აგრეთვე მიიწვიონ ქართველი ჟურნალისტები გერმანიაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული აკადემიის მიწვევით ბერლინში უკვე იმყოფებოდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის დელეგაცია.

პრესის გათავისუფლება სახელმწიფო მონოპოლიისაგან ჯერ არ ნიშნავს მის თავისუფლებას, აღნიშნა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. ამ მხრივ ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს საქართველოს მიმართ გაწეული თანადგომისათვის და წარმატებები უსურვა მათ მომავალში.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო-საქინფორმი.

„საქართველოში ბოლო ერთი წლის განმავლობაში მართლაც ბევრი რამ გაკეთდა"

— **აღებულია** ძალიან კარგი სტარტი, — აღნიშნა საქართველოში მიმდინარე რეფორმების შეფასებისას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა საქართველოში მოქმედ შადმან-ვალავიმ 18 მაისს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან ე. შევარდნაძესთან შეხვედრაზე. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მართლაც ბევრი რამ გაკეთდა. მოხერხდა ინფლაციის შეჩერება, კუპონის გადაცვლის კურსი სტაბილური გახდა. საგადასახადო პოლიტიკაც არსებული შეთანხმების მიხედვით ხორციელდება. ხორციელდება მკაცრი საფინანსო პოლიტიკა, ხორციელდება ასევე სავალუტო ფონდის რეკომენდაციების საფუძველზე. მე მიმაჩნია, რომ თქვენ მადლობა გეკუთვნით სტაბილიზაციის საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის — აღნიშნა ბატონმა შადმან-ვალავიმ.

შეეხო რა საქართველოში მიმდინარე რეფორმებს, ბატონმა შადმან-ვალავიმ მეტად მაღალი შეფასება მისცა ჯანმრთელობის მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის საქმიანობას. აღნიშნა, რომ სავალუტო ფონდი შეეცდება სათანადოდ შეუწყოს ხელი ამ სისტემაში მიმდინარე რეფორმას.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა სტუმარს გაწეული დახმარებისათვის.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო-საქინფორმი.

მსოფლიო იურისტთა კონფერენციის წინ

საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარის შალვა ნათელაშვილის სახელზე ვაშინგტონიდან მოვიდა იურისტთა მსოფლიო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის მარგარეტ ჰენებერის შეტყობინება, რომ იურისტთა მსოფლიო საბჭომ განიხილა 1996 წლის ოქტომბრისათვის თბილისში მსოფლიო იურისტთა კონფერენციის გამართვის საკითხი და დადებითად მოეკიდა ამ წინადადებას.

თვის ბოლომდე რესპუბლიკის მთავრობამ უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ამ მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიებისადმი, რის შემდეგაც ვაშინგტონში მიღებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილება.

შეხვედრა თავდაცვის სამინისტროში

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვარდიკო ნადიბაიძემ მიიღო თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში უფუქ თევფიქ ოქიაუზი და სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი ზექაი ბაბუჩოღლუ. თურქეთის ელჩმა აღნიშნა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თურქეთის მთავრობა საქართველოსთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის გაფართოებას.

გენერალ-ლეიტენანტმა ვარდიკო ნადიბაიძემ ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ყალიბდება საქართველოს შეიარაღებული ძალები, შეეხო დახმარებას, რასაც რუსეთი და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნები უწევენ საქართველოს მშენებარე ჯარს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან არსებული სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის შემადგენლობა

ედუარდ შევარდნაძე — კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფოს მეთაური;

ირაკლი მენაღარიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე;

ვახტანგ აბაშიძე — საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-საგამომცემლო კორპორაციის გენერალური დირექტორი;

ზაზა ალექსიძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ავთანდილ არაბული — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი;

ანდრია აფაქიძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი;

შუქრია აფრიდონიძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი;

ელენე ბაბუნაშვილი — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის გამგე, პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

გურამ ბარნოვი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

დავით ბურჭულაძე — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მეცნიერების, განათლებისა და კულტურის საკითხთა მთავარი სახელმწიფო მრჩეველი;

კარლო ბუხნიკაშვილი — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის სახელმწიფო მრჩეველი;

თამაზ გამყრელიძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი;

გურამ ბოზიაშვილი — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორი;

არჩილ გოგელია — საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციის თავმჯდომარე;

რისმაგ გორდეზიანი — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

ალბერტ თავხელიძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი;

კობა იმედაშვილი — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი კულტურასა, მეცნიერებასა და განათლებაში;

ანა კალანდაძე — მწერალ-აკადემიკოსი;

გურამ კვარაცხელია — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

თამაზ კვაჭანტირაძე — საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრი;

ალექსანდრე კობახიძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი;

ქეთევან ლომთათიძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, აკადემიკოსი;

დავით მაღრაძე — საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრი;

ირაკლი მაჭავარიანი — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ხელმძღვანელის მოადგილე;

ელენე მეტრეველი — ხელნაწერთა ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, აკადემიკოსი;

როინ მეტრეველი — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი;

თევდორე ნინიძე — საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი;

აკაკი სიხარულიძე — საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე;

თედორე უთურგაიძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

მინდია უგრეხელიძე — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;

გურამ ფანჯიკიძე — საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე;

ლევან ღვინჯილია — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი;

მზექალა შანიძე — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრასთან არსებული სამეცნიერო ლაბორატორიის „ორიონის" ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

გიორგი ციციშვილი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;

მიხეილ ჭაბაშვილი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი;

ალექსი ჭინჭარაული — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

ასლან აბაშიძე:

წინ კიდევ არაერთი გამარჯვება მოგველის!

(დასასრული)

იბებდა: — „მემედ აბაშიძე, — აღნიშნავდა იგი, — თავად შესანიშნავი მოქალაქე, ყოველივე ქართულის დაცვისათვის რეპრესირებული და დახვრეტილი, დღეს ჩვენს გვერდითაა არა მარტო თავისი სახელით, არა მხოლოდ თავისი შვილიშვილით (აქ თქვენზეა საუბარი! — გ. ჭ.), არამედ იმ უშუალო წვლილითაც, რომელიც დღეს შეაქვს საქართველოს უზრუნველყოფის კუთხეს — აჭარას ქართული კულტურის შენარჩუნებასა და განვითარებაში. ეს მეტად ბევრს ნიშნავს". პირადად თქვენთვის რას ნიშნავს სახელმწიფოს მეთაურის ასეთი დამოკიდებულება?

— მოდით, ცოტა შორიდან დავიწყებ... გაიხსენეთ, რა ვითარებაში ვცხოვრობდით განვლილი ოთხი წლის მანძილზე. რამდენი უბედურება დატრიალდა ჩვენს თავზე. იმას, რაც ხდებოდა და კეთდებოდა აჭარაში, ყველა ერთგვაროვნად როდი აღიქვამდა. გახსოვთ, ალბათ, ასე იყო: ერთის მხრივ, ამ საქმეში მხარში დაგვიდგა ჩვენი ინტელიგენცია, საზოგადოებრიობის დიდი ნაწილი. მეორეს მხრივ კი იყვნენ ძალები, რომლებიც ცდილობდნენ მრუდე სარკეში დაენახვებინათ საზოგადოებრიობისათვის აჭარაში მიმდინარე პროცესები. იმისათვის, რომ ცხადად ენახათ და შეეცნოთ სინამდვილე, აჭარაში ჩამოდიოდნენ ჩვენი საზოგადო მოღვაწეები, პარლამენტის წევრები, საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები, ჟურნალისტები... მაგრამ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული, მაინც სახელმწიფოს მეთაურის სისტემატური ჩამოსვლა, აქ მიმდინარე პროცესებში ჩაწვდომა, მათი შეფასება, და რაც მთავარია, დიდი თანადგომა გახლდათ.

მოგეხსენებათ, ყოველ ახალ საქმეს ახალი სტიმული სჭირდება. ასე რომ, თუ არა ბატონ ედუარდის ასეთი გამოკვეთილი მხარდაჭერა, არ იქნებოდა ის გამარჯვება, რომლის მოწმეც გახდა მთელი თბილისი, მთელი საქართველო, მისი ყოველი ჩამოსვლა, ახალი საოპერო თეატრის ყოველ ახალ სპექტაკლზე უშუალო დასწრება, უდიდესი ბიძგი და სტიმული იყო ჩვენთვის, რამაც მოგვცა შესაძლებლობა ეს საქმე გვეკეთებინა. მე ადრე მოგახსენეთ, და ამჯერადაც ვიტყვი, რომ ის საიუბილეო დღეები ჩვენი ერთგვარი ანგარიშიც იყო ქვეყნისა და მისი მეთაურის წინაშე. ასე რომ, ის რაც თბილისში მოხდა, მარტო ჩვენი გამარჯვება როდია, ეს სახელმწიფოს მეთაურის გამარჯვებაცაა, რაც სწორედ მისმა მხარდაჭერამ და თანადგომამ განაპირობა.

რაც შეეხება მემედ აბაშიძეს — მართლაც საოცრად ტევადი შეფასება მისცა მის ღვაწლს სახელმწიფოს მეთაურმა, რამაც მარტო მე როდი მომანიჭა უდიდესი კმაყოფილება. პაპაჩემის საქმის გამგრძელებლად ჩემმა გამოცხადებამ კი განსაკუთრებული პასუხისმგებლობის წინაშე დამაყენა. რა ვიცი, მე ყოველთვის შეძლებისდაგვარად ვცდილობდი მეკეთებინა ჩემი წინაპრის მიერ დაწყებული საქმე, რამდენჯერმე პირადად ვუთხარი კიდეც სახელმწიფოს მეთაურს — ეგებ შევძლო დავამთავრო ის, რაც პაპაჩემმა დაიწყო და ვერ დაამთავრა თავისი ტრაგიკული ბედის გამო ჩვენი ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისა და ქვეყნის მთლიანობის და ერთიანობის დაცვის საქმეში-მეთქი... მესმის, ერთობ თამამი განცხადებაა, მაგრამ განა სხვა გზა არსებობს? მე დიდად მადლიერი ვარ იმით, რომ მაქვს ასეთი მხარდაჭერა, თანადგომა და მიზანიც — სწორედ ამ ურთულეს პერიოდში ვემსახურო ჩემს ხალხს, საქართველოს.

ის ანგარიში, რომელიც ახლახან ჩავაბარეთ თბილისს, საქართველოს, მის ხელმძღვანელს, იყო კონკრეტული პასუხი ზოგიერთი მავანის იმ უბადლობულ კითხვაზე — თუ ნამდვილად რა ხდება აჭარაში? თუნდაც მისი ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ სულიერ, ზნეობრივ ნაწილში. ვფიქრობ, იმ ათი დღის მანძილზე ჩვენმა საზოგადოებრიობამ ნათლად დაინახა, თუ რა ხდება, რა შემოქმედებითი პოტენციალი გააჩნია საქართველოს, ჩვენს ერს, ჩვენს ახალგაზრდობას, თუ მათ სათანადო ასპარეზი მიეცემათ.

გაიხსენეთ, სწორედ იმ დღეებში რამდენი ახალი სახელი გაჩნდა ჩვენი საოპერო ხელოვნების ცის კაბადონზე. ჩვენმა მუსიკათმცოდნეებმა, ხელოვნების მოღვაწეებმა, მთელმა მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ ბათუმის ოპერის თეატრის ახალგაზრდა სოლისტების გამოჩენა თბილისის სცენაზე უდიდეს აღმოჩენად მიიჩნიეს. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მათ უფრო დიდი აღიარება ელით საერთაშორისო სარბიელზე. ვინ იცის, რამდენი ასეთი უნიკალური ნიჭის ახალგაზრდაა ჩაკარგული საქართველოს ყველა რეგიონში. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ეს დიდი პოტენციალი ავამოქმედოთ და ხელოვნების, კულტურის, საერთოდ, ქვეყნის სამსახურში ჩავაყენოთ. ის, რაც ხდება ჩვენს კუთხეში, მის ეკონომიკურ-კულტურულ ცხოვრებაში, უდავოა სხვა რეგიონებსაც მისცემს სტიმულს ამ მიმართულებით. საბოლოოდ კი, მთელი ფასეულობა თავს მოიყრის ჩვენს დედაქალაქში და მთელი ერის კუთვნილებად იქცევა.

არასოდეს დამავიწყდება ის საოცარი ინტერესი, რომელიც თბილისში მიმდინარე საიუბილეო დღეებში იგრძნობოდა ბათუმში. რომ იტყვიან, რაღაც განსაკუთრებული მუხტით იყო დამუხტული მთელი აჭარა; თითოეული ჩვენგანი სულმოუთქმელად ელოდა ინფორმაციას თბილისიდან. ცხადია, ღელავდა ყველა, მათ შორის მეც, რადგან ეს იყო ჩვენი დიდი გამოცდა, რომელიც, ღვთის წყალობით, წარმატებით ჩავაბარეთ. ჯერაც გაოგნებულნი ვართ იმ დიდი სიყვარულით, საოცარი მხარდაჭერითა და გულითადობით, რომელიც ასე უხვად გვიწილადა თბილისმა, მისმა საზოგადოებრიობამ, რაც შემდგომ აიტაცა და გაიზიარა მთელმა საქართველომ.

— ბატონო ასლან, მემედ აბაშიძის საიუბილეო დღეებმა თბილისში მართლაც უდიდესი წარმატებით ჩაიარა. ასეთია საყოველთაო აზრი. მაგრამ თქვენი ხასიათი რომ ვიცი, ალბათ რაიმე ხინჯსა და ხარვეზს მაინც გამოძებნიდით ისეთს, რომელიც შეიძლებოდა არ ყოფილიყო. მართლაც, ხომ არ შეიძლება ყველაფერი ასე უზადოდ ჩატარდეს?

— შესაძლოა, ამ საერთო აღფრთოვანების ფონზე მართლა უჩვეულოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ პატარა ხინჯი მართლაც იყო. მართალია, მხოლოდ ერთი, მაგრამ მაინც დასანანი და გულდასაწყვეტი. პირდაპირ გეტყვით: სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო, მე არ მქონდა შესაძლებლობა უშუალო მონაწილეობა მიმეღო დედაქალაქში გამართულ ამ ღონისძიებებსა და შეხვედრებში და პირადად გადამეხადა მადლობა სახელმწიფოს მეთაურისათვის, უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისათვის, ქალაქის მერ ნიკო ლეკიშვილისთვის, ვიცე-პრემიერ ირაკლი მენაღარიშვილისთვის, ცეკავშირისა და გაერთიანებული ქართული ბანკების გამგეობებისთვის, ცალკეული ფირმების ხელმძღვანელებისთვის, დედაქალაქის საზოგადოებრიობისათვის, მთელი საქართველოსათვის, ჩემი დიდი პაპის — მემედ აბაშიძის ღვაწლის ასეთი მაღალი შეფასებისათვის, აჭარის ასეთი აღზევებისა და წარმოჩენისათვის. ამიტომაც ამ მისიის შესრულება ვთხოვე ჩემს დას — ნარგიზ აბაშიძეს. მაგრამ მოხდა ისე, რომ იმ საერთო აღფრთოვანებისა თუ საოცარი აჟიოტაჟის დროს იგი რატომღაც გადაავიწყდათ. მე მას ბათუმიდან დავურეკე და ვუსაყვედურე იმის გამო, რომ იგი შეთანხმებისამებრ არ გამოვიდა მემედ აბაშიძის საიუბილეო სალამოზე, რადგან აბაშიძის შთამომავალნი ვალდებულნი ვიყავით მადლობა გვეთქვა ჩვენი ხალხის, დედაქალაქის საზოგადოებრიობის, მთელი საქართველოსათვის, რომ არაფერი ვთქვათ იმ უდიდეს ვალზე, რომელიც ჩვენს დიდ წინაპარს, ჩვენს გვარსა და ოჯახს დასდო სახელმწიფოს მეთაურმა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

მართალია, ჩემი და შეეცადა საიუბილეო სალამოს მეორე დღეს გამართულ ჯ. ვერდის „აიდას" წარმოდგენის შემდეგ გამოესწორებინა ეს ხარვეზი, მაგრამ მთავარი სათქმელი მაინც მემედ აბაშიძის საიუბილეო სალამოზე უნდა თქმულიყო.

თუ ნათქვამს ისევ სახელმწიფოს მეთაურს დავესესხები, დავძენ: აჭარა, მისი თითოეული მცხოვრები, მათ შორის მეც, სიტყვით კი არა, საქმით ვიტყვით ამ მადლობას. გთხოვთ დაიმახსოვროთ: ის, რაც განვლილი 4 წლის პერიოდში ვაკეთეთ და ვაჩვენეთ თბილისს, მხოლოდ ნაწილი, სულიერი ნაწილი იყო იმ დიდი და მრავალმხრივი შემოქმედებითი შრომისა, რომელიც მიმდინარეობს ჩვენს კუთხეში.

სიყვარულმა, მხარდაჭერამ და თანადგომამ, რომლითაც ასე დაგვმუხტა თბილისმა, უკვე იმძლავრა — აჭარაში უკვე დაიწყო ახალი, უფრო მიზანმიმართული შრომა და ცხოვრება, მე ღრმად მწამს, რომ წინ კიდევ არა ერთი გამარჯვება მოგველის!

გია ჭელიძე,
„ხრ" აჭარის ბიურო.

რუსეთის პრესის სარკეში



გამარჯვება ზეიმით აღინიშნა, ომი გრძელდება

„**ისტორიის დიდი მომენტი**" უწოდა პლანეტის უპირველესმა დიპლომატმა ბუტროს გალიმ გამარჯვების საიუბილეო დღის ზეიმობას. მაგრამ სრულიად „არადიპლომატიურად" გამოეხმაურა ამ მოვლენას გაზეთი „**პრავდა**", რომელმაც წითელი სათაურით გახსნა მორიგი ნომერი: „გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!" კიდევ რაღა გამარჯვებაშია ესოდენ დარწმუნებული კომუნისტური გაზეთი, ლენინმა რომ დააარსა 1912 წელს და რომელმაც მრავალი წლით მოიპოვა გამარჯვება 1917 წელს?

მაგრამ ჩვენი მკითხველის ინტერესს უთუოდ გამოიწვევს ერთი გარემოება: რუსეთის გაზეთები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ საქართველოს პოლიტიკურ იმიჯს. **ზეიმობაზე წარმომადგენლობის გეოგრაფია, როგორც ჟურნალისტებს მიაჩნიათ, „აზუსტებს რუსეთის ახალი ინტერესების ზოგიერთ ვექტორს. როგორც ერთ-ერთი გახდა სტაბილური ყურადღება საქართველოს ლიდერისადმი, თანამეგობრობის ქვეყნების სახელით რომ გამოდის".**

საქართველოს ხმა მთელ მსოფლიოში გაისმა. ოფიციალური პრესსამსახურები ასევე იუწყებოდნენ მოსკოვში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ყოფნის საქმიანი ნაწილის შესახებ. კერძოდ, წერდნენ, რომ იგი შეხვდა ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეებს, ამასთან, აღნიშნავდნენ, რომ მათი საუბრების ძირითადი შინაარსი ეხებოდა ორი სახელმწიფოს საპარლამენტო კონტაქტების გაფართოებას. ეს კი, ჟურნალისტთა აზრით, მოწმობს, რომ ორი ქვეყნის კანონმდებელთა შედარებით გრილ ურთიერთობაში აშკარად დათბა.

ამრიგად, მეთვალყურეებს უფრო მეტად აინტერესებდათ არა თვით საიუბილეო ზეიმი და მისი რიტუალების აღწერა, არამედ, უმთავრესად, პოლიტიკური აქცენტები. უპირველესად, კლინტონისა და ელცინის შეხვედრა. ყველაფერი პოლიტიკური თავაზიანობის ფარგლებში იყო და საზეიმო ვითარებას ესადაგებოდა. სწორედ ამიტომ, წინააღმდეგობათა ნიუანსები ყრუდ გაისმა, მაგრამ შეუმჩნეველი მაინც არ დარჩენილა.

კომენტატორთა აზრით, შეხვედრა „ჰაერში გამოკიდებული დარჩა ნატოს გაფართოების პრობლემის გამო". ყველას თავისი აზრი ჰქონდა აჩემებული. იგივე შეიძლება ითქვას „ირანის საკითხზეც", თუმცა, „იზვესტიის" ცნობით, ჯონ მეიჯორმა ამერიკის რეაქცია ირანთან „ატომური" ხელშეკრულების დადების მიმართ „მეტისმეტად" მიიჩნია.

აფასებს რა რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების დაპირისპირებას ირანის საკითხის გამო, „**ნეზავისიმაია გაზეტა**" ვარაუდობს, რომ მოხდება „მეორე ირანგეიტი". მიმომხილველს მოჰყავს ელცინის სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა ამერიკელ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ: „ირანთან კონტაქტში ნამდვილად არის მსოფლიო და სამხედრო ენერგეტიკის ელემენტები. დღესდღეობით ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ ისინი განვაცალკევოთ...". ანუ, სამხედრო პროგრამა უქმდება, რჩება მხოლოდ მშვიდობიანი ატომური სადგური. „თუ გავიხსენებთ რუსეთის ხელმძღვანელობის წინანდელ გამონათქვამებს", — განაგრძობს გაზეთი, — მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ მოსკოვი უბრალოდ ატყუებდა მსოფლიო გაერთიანებას, როდესაც ამბობდა, რომ ეს კონტრაქტი ეხება მხოლოდ მშვიდობიან ბირთვულ თანამშრომლობას".

მოსკოვში შუქი მოეფინა კიდევ ერთ გარემოებას: **ევროპის სახელმწიფოებმა მკვეთრად გაამკაცრეს თავიანთი პოზიციები ჩეჩნეთის საკითხის მიმართ. კანცლერმა კოლმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რუსეთსა და ევროპის კავშირს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები ამიერიდან მჭიდროდ დაუკავშირდება ჩეჩნეთის სიტუაციას.** ამ გარემოებას ამწვავებს ის ამბავი, რომ როგორც ყველა ოპოზიციურ თუ ნეიტრალურ გაზეთს მიაჩნია, ჩეჩენთა პარტიზანული ომი ფედერალური ჯარების წინააღმდეგ (რომელზეც მრავალგზის უთქვამთ, რომ დაიწყებაო), პრაქტიკულად უკვე დაიწყო.

მოსკოველი ჟურნალისტები ყურადღებით ადევნებენ თვალს რუსეთ-უკრაინის ურთიერთობის განვითარებას, აანალიზებენ თანამეგობრობის სტილთა გამონათქვამებს. „**როსიისკიე ვესტი**" მოჰყავს სერგი ფილატოვის ასეთი გამონათქვამი: „რუსეთ-უკრაინის ურთიერთობაში არის საკითხები, რომელთა გადაწყვეტა არ არის დამოკიდებული არც ამ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებზე და თვით ხალხებზე, და არც მოსახლეობაზე. ეს ის საკითხებია, რომლებიც ჩვენ მემკვიდრეობით გვერგო. ისინი უნდა გადავწყვიტოთ ძალიან ფრთხილად და მოთმინებით. ხელაღებას ისტორიაში არასდროს არ მოუტანია სიკეთე".

ჩვენს პრაგმატიკულ ხანაში ფატალიზმი მაინც ვერ სარგებლობს განსაკუთრებით დიდი ნდობით. ყველაფერს წყვეტს მატერიალური დამოკიდებულება ერთმანეთზე. სწორედ ამიტომ, როგორც „**პოსტ-ფაქტუმის**" სააგენტო იუწყება, უკრაინამ საჯაროდ გამოაცხადა, რომ აღმოაჩინა ოქროს უდიდესი საბადო, რომელიც სასიკეთო სიტუაციის პირობებში სამრეწველო ათვისების დროს რამდენიმე ათეულ წელიწადს ეყოფა. ეს ფაქტი გავლენას მოახდენს სახელმწიფოს მატერიალურ პრესტიჟზე. ყოველ შემთხვევაში, აღმოჩენა ძალზე დროულია.

უნდა ვთქვათ, რომ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობის პრაქტიკის განხილვაში რუსეთის პრესა გამოირჩევა აზრების სიჭრელით და თავისი პოზიციების განსამტკიცებლად იშველიებს სხვადასხვა ავტორიტეტებს. ზოგჯერ, როგორც ამას აკეთებს „**იზვესტია**". ავტორები ერთმანეთს ეტაკებიან ერთსა და იმავე გვერდზე, მაგალითად, ზბიგნევ ბჟეზინსკი ასეთ რჩევას აძლევს „მცირე ხალხებს": **„არ შეიძლება დიდ მეზობელს ეპყრობოდე, როგორც მუდმივ მტერს, სანამ იგი მართლა მტრად არ გექცევა... მცირე სახელმწიფოებს ეს მხოლოდ არგებს".** ხოლო ვაშინგტონიდან მიღებულ კორესპონდენციაში „იზვესტიას" მოჰყავს მეორე რჩევა — სამართალდამცველი ს. კოვალიოვისა, რომელმაც ამერიკელებს უთხრა: **„მხოლოდ არჩევნების უფლება და ზუგაშვილენისა და მხარდამჭერის მიზანმიმართული შეხამება დაეხმარება რუსეთის სახელმწიფოს, რათა მან შეასრულოს თავისი ისტორიული როლი ქვეყანაში როგორც აყვავებისა და უშიშროების გარანტმა, როგორც მეზობელი ქვეყნებისადმი მუდმივი საფრთხის თავიდან აცილებისა და საიმედოობის, თანასწორი პარტნიორობის საწინდარმა".**

„**ნეზავისიმაია გაზეტა**" გამოვიდა რუსეთის ისტებლიშმენტის მორიგი შეფასებით. წამყვან პოლიტიკოსთა რეიტინგს არ განუცდია რაიმე ცვლილება. კვლავინდებურად ლიდერობს ბორის ელცინი, მას მიჰყვებიან სახელმწიფოს მეთაური ვიქტორ ჩერნომირდინი, მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი და სახელმწიფოს სათათბიროს თავმჯდომარე ივანე რიბკინი. რესპონდენტთა გარკვეული სიმპათიებით კვლავინდებურად სარგებლობენ ქირინოვსკი, ძიუგანოვი და ლებედი. რუსი ერის მესია სოლჟენიცინი პირველ ორმოცდაათ კაცშიც კი ვერ შევიდა, — ხოლო გორბაჩოვი — სამოცდაათში. მათ არც თუ ისე ჩამორჩა ცნობილი ნავროდი — ქვეყნები არ ივიწყებენ თავიანთ გმირებს.

„**მეგაპოლის-ექსპრესის**" მონაცემებით კი სახალხო ფავორიტად გამოდის ანატოლი ჩუბაისი. პირადად მე, აზრთა ასეთი სხვადასხვაობა მიმაჩნია სოციოლოგიური მექანიზმის არასრულქმნილების შედეგად. ალბათ, დამეთანხმება ჩერნომირდინიც, რომელმაც, მიუხედავად თავისი სტაბილური იმიჯისა, საბოლოოდ უარყო ის ვარაუდები, რომ პრეზიდენტის პოსტისთვის იბრძვის.

„**როსიისკიე ვესტი**" ეხება ჩვენთვის ახლობელ თემას. ფედერაციის სასაზღვრო სამსახურის დირექტორი ანდრია ნიკოლაევი გვიამბობს რუსეთის ეროვნული ინტერესების შესახებ „საზღვრისპირა სივრცეებში", რომლებშიც ბუნებრივია, გულისხმობს მომიჯნავე სახელმწიფოების საზღვრებს. დირექტორი ჩივის, რომ სსრ კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთს საზღვარგარეთ დარჩა თავისი სახმელეთო, საზღვაო, საავიაციო საშუალებებისა და სამხედრო პუნქტების ორმოცი პროცენტი, მათ შორის, ბაზირების ადგილები, მართვის პუნქტები და კავშირები, ყაზარმები და სხვა ინფრასტრუქტურა. მაგრამ ახლა, — ამშვიდებს მკითხველებს ნიკოლაევი, — შეიქმნა ახალი სასაზღვრო ჯგუფები „საქართველო", „უკრაინა", „თურქმენისტანი".

ასე რომ, საზღვრები კვლავ ჩაკეტილი იქნება და ჩვენ შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ მიუხედავად იმისა, რომ ქირინოვსკიმ ტაჯიკეთში გააკეთა ასეთი განცხადება, რასაც „**მოსკოვსკიე ნოვოსტი**" იუწყება. მან წინადადება წამოაყენა შექმნან მე-40 არმია გრომოვის მეთაურობით ავღანეთში, და დააწესონ მედალი „ქაბულის აღებისათვის".

იური მოსეშვილი.

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის
კანონი
„საქართველოს საპატრიარქოს სახელმწიფო ბიუჯეტებში გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

„საქართველოს საპატრიარქოს სახელმწიფო ბიუჯეტებში გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 თებერვლის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., № 15, მუხ. 291) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გათავისუფლდნენ სახელმწიფო ბიუჯეტებში გადასახადებისაგან საქართველოს საპატრიარქო, მასში შემავალი ეპარქიები, ეკლესიები, სასულიერო სასწავლებლები, ეკლესიის მსახურნი ეკლესიიდან მიღებული შემოსავლისაგან გაანგარიშებული საშემოსავლო გადასახადის ნაწილში“.

II. დაემატოს კანონს შემდეგი შინაარსის მე-2 მუხლი:

„2. გათავისუფლდნენ სახელმწიფო ბიუჯეტებში გადასახადებისგან საქართველოს საპატრიარქოს საწარმოები საკუთარი წარმოების პროდუქციის ნაწილში, აგრეთვე საპატრიარქოს საგარეო ეკონომიკური განყოფილება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საწარმოები ამ პუნქტით გათვალისწინებული შეღავათებით მიღებულ მთელ შემოსავალს ახმარენ საქართველოს საპატრიარქოს განვითარებას და ჩარიცხავენ მის ანგარიშზე“.

III. კანონის მეორე მუხლი ჩაითვალოს მესამე მუხლად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1995 წლის 5 აპრილი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროს მეთაურთა შემადგენლობისათვის ვადამდე სპეციალური წოდებების მინიჭების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროს მეთაურთა შემადგენლობას განსაკუთრებული დამსახურებისათვის ვადამდე მიენიჭოს:

პოლიციის პოლკოვნიკის სპეციალური წოდება:

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკს **ტრისტან გელიაშვილს** — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სასჯელთა აღსრულების მთავარი სამმართველოს I საგამოძიებო იზოლატორის უფროსს.

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკის სპეციალური წოდება:

პოლიციის მაიორს **ჯემალ ზოიძეს** — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამძებრო სამმართველოს ინსპექტორულ-ოპერატიული მუშაობის განყოფილების უფროს ინსპექტორს;

პოლიციის მაიორს **თამაზ იმნაიშვილს** — საქართველოს რესპუბლიკური ფიზკულტურულ-სპორტული კლუბის „დინამოს“ გუნდის სპორტსმენს.

პოლიციის მაიორის სპეციალური წოდება:

პოლიციის კაპიტანს **ლუდმილა გოგიაშვილს** — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური წარმომადგენლობის დაცვის პოლიციის განყოფილების კადრების ჯგუფის უფროს ინსპექტორს;

პოლიციის კაპიტანს **გოჩა შევარდნაძეს** — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს თბილისის აეროპორტის პოლიციის სახაზო განყოფილების უფროსის მოადგილეს.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
„მოქალაქეთა მიერ საქართველოს რესპუბლიკის საზღვარზე ნაღდი ვალუტის გატანის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 6 იანვრის № 1 ბრძანებულებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის თაობაზე

მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტის წინადადება და „მოქალაქეთა მიერ საქართველოს რესპუბლიკის საზღვარზე ნაღდი ვალუტის გატანის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 6 იანვრის № 1 ბრძანებულების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი დადგენილი ნორმების ზევით ფულის (ვალუტის) ნიშნების რესპუბლიკიდან გატანისას საკომისიო გადასახადს იხდიან შემდეგი ოდენობით;

— 501 აშშ დოლარიდან 10.000 აშშ დოლარამდე (ან ამ თანხის ეკვივალენტი) თანხის 2 (ორი) პროცენტი;

— 10.001 აშშ დოლარიდან და მეტი (ან ამ თანხის ეკვივალენტი) თანხის 3 (სამი) პროცენტი.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 6 მაისი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
საერთაშორისო თეატრალური პროგრამის „ოქროს საწმისის“ შესახებ

სტამბოლის საქალაქო თეატრმა და თბილისის მეტეხის თეატრმა შეიმუშავეს ერთობლივი თეატრალური პროგრამა „ოქროს საწმისი“, რომელიც 1995 წლიდან 2001 წლამდე ითვალისწინებს შავი ზღვის ქვეყნების თეატრების შემოქმედებით თანამშრომლობას დევიზით „ხელოვნება საზღვრების გარეშე“. პირველი გასტროლები ჩატარდება მიმდინარე წლის აგვისტოში ბათუმში, ფოთში, ქუთაისსა და თბილისში და პროგრამა საფუძვლად დაედება „შავი ზღვის ქვეყნების თეატრის ინსტიტუტის“ შექმნას.

სტამბოლისა და თბილისის თეატრების ინიციატივის მხარდაჭერის მიზნით:

1. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს, აგრეთვე თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთის მერიებს ხელი შეუწყონ პროგრამა „ოქროს საწმისით“ გათვალისწინებული საგასტროლო სპექტაკლების მაღალ დონეზე ჩატარებას.

2. განკარგულების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მთავარ სახელმწიფო მრჩეველს კულტურასა, მეცნიერებასა და განათლებაში კობა იმედაშვილს.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
ა. ჭითანავას საქართველოს რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მთავარი სახელმწიფო კოორდინატორის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ანზორ ჭითანავა საქართველოს რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მთავარი სახელმწიფო კოორდინატორის მოადგილედ.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
შ. ხალვაშის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

აჭარული [illegible] განვითარების საქმეში გამოჩენილი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მწერალი **შოთა ხალვაში** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
1995 წელს მოსწავლეთა და სტუდენტთა საზაფხულო არდადეგების ორგანიზების სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ

მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის წინადადება და მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის 1995 წლის საზაფხულო არდადეგების ორგანიზების მიზნით:

1. შეიქმნას 1995 წელს მოსწავლეთა და სტუდენტთა საზაფხულო არდადეგების ორგანიზების სახელმწიფო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ირაკლი მენაღარიშვილი — კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე;

— კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს რესპუბლიკის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე;

ნანა ბილაშვილი — საქართველოს გიდებისა და სკაუტების ასოციაციის პრეზიდენტი;

თენგიზ გაზდელიანი — საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრი;

ზურაბ გეგეჭკორი — საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი;

კობა ბილაშვილი — ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

მურთაზ ჭანკალიანი — საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების მინისტრი;

დავით ზუბიტაშვილი — ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კონცერნის თავმჯდომარე;

დავით იაკობიძე — საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი;

კობა იმედაშვილი — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი კულტურასა, მეცნიერებასა და განათლებაში;

თამაზ კვაჭანტირაძე — საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრი;

ნუგზარ ქლენტი — მომხმარებელთა საზოგადოებების ალიანსის თავმჯდომარე;

ზაზა სიხარულიძე — საქართველოს პარლამენტის სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ირაკლი ტუღუში — საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარე;

თემურ ფიფია — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის რეგიონების მართვის სამსახურის უფროსი;

რევაზ შავიშვილი — კონტროლის პალატის თავმჯდომარე;

ავთანდილ ჯორბენაძე — საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი;

ოთარ ხუფენია — სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის თავმჯდომარე.

2. მოწონებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის წინადადება [illegible] ჩამოყალიბებული ახალი ეკონომიკური ურთიერთობების გათვალისწინებით ბავშვთა საზაფხულო დასვენებისათვის სახელმწიფო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების განაწილების საკონკურსო წესის შემოღების თაობაზე.

3. დაევალოს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს ახალგაზრდული პროგრამებისა და სოციალური დაცვის ეროვნულ ფონდთან, აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდთან ერთად ორი კვირის განმავლობაში შეიმუშაოს და სახელმწიფო კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინოს შესაბამის უწყებებთან შეთანხმებული ბავშვთა საზაფხულო დასვენების ორგანიზაციისათვის საჭირო თანხების აკუმულირებისა და განაწილების მექანიზმი.

4. დაევალოს 1995 წელს მოსწავლეთა და სტუდენტთა საზაფხულო არდადეგების ორგანიზების სახელმწიფო კომისიას, მიმდინარე წლის 20 მაისამდე შეიმუშაოს საზაფხულო არდადეგების ჩატარების სახელმწიფოებრივი ხელშეწყობის ღონისძიებათა გეგმა და გრაფიკი.

5. დაევალოთ კომისიას და საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგებისათვის გამიზნული ობიექტები (ბანაკები, სანატორიუმები) მოამზადონ აღნიშნული ღონისძიების განსახორციელებლად.

ე. შევარდნაძე



სკოლა
ცხრა მცნება

პატარა პლაკატი, რომელზეც ეს ცხრა მცნება ეწერა, თბილისის ერთ-ერთი სკოლის სამასწავლებლოს კედელზე ვნახე. წავიკითხე და ვიფიქრე: რა კარგი იქნებოდა ასეთი პლაკატი ყველა ოჯახში რომ ჰქონდეთ-მეთქი... ყველგან, სადაც ყმაწვილი იზრდება.

კერძო სკოლა „ჭეჭილს“ მალე სამი წელი შეუსრულდება. ის თბილისის 56-ე სკოლის შენობაში იმყოფება. როდესაც ქალბატონმა მანანა პარკაძემ მისი დაარსება გადაწყვიტა, თბილისში მხოლოდ ერთი ასეთი სასწავლებელი იყო და მისი არსებობაც დაუჯერებელი ჩანდა, იმდენი მოწინააღმდეგე ჰყავდა თვით ამ იდეას, ისე უჩვეულოდ (და მკრეხელურად!) ესმოდა ყურს სკოლასთან მიმართებაში „კერძო“ და „კომერციული“.

რამ გადააწყვეტინა ფიზიკოს ქალს, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტს, ჩინებული ოჯახის პატრონს ამ სადავიდარაბო საქმისათვის ხელის მოკიდება? საბედნიეროდ, არა კომერციულმა ინტერესებმა. მთავარი და გადამწყვეტი ის იყო, რომ შვილიშვილები წამოიზარდნენ და ოჯახს საფიქრალი გაუჩნდა: რომელ სკოლაში მიებარებინათ? სწორედ მაშინ მოუვიდა აზრად საკუთარი სკოლის გახსნა, სადაც შეძლებდა თავისი დიდი ხნის ნაფიქრალისთვის ხორცის შესხმას.

მეორე მიზეზი კი, ალბათ, ის იყო, რომ საგანმანათლებლო მოღვაწეობა წინაპრებიდან მოსდგამს. მის დიდ პაპას გრიგოლ ლოლაძეს 1902 წელს გორში საკუთარი სახსრებით დაუარსებია ორწლიანი სასწავლებელი. პედაგოგებად მოწვეული ჰყოლია ორი მღვდელი — ერთი ძველ აღთქმას ასწავლიდა, მეორე — ახალ აღთქმას, თვითონ და მისი მეუღლე — მათემატიკას, ქართულს და რუსულს.

ქალბატონმა მანანამ მიჩვენა დროჟამისგან გაყვითლებული სურათი, რომელზეც იმ სასწავლებლის პედაგოგები და შეგირდები არიან აღბეჭდილი. ამ სურათს უკანასკნელი (და გადამწყვეტი) არგუმენტის როლი შეუსრულებია განათლების სამინისტროსთან ბჭობაში: „ჭეჭილს“ არსებობის უფლება მისცეს.

— **ჩვენი დევიზია: „დღევანდელი სკოლა — ხვალინდელი ცხოვრებისათვის!“** — ამბობს დირექტორი, — **მიზანი — ყმაწვილის პიროვნული ნებისა და შესაძლებლობების გამოვლენა, განვითარება; ზნეობრივი და ინტელექტუალური განვითარებისათვის საიმედო საძირკვლის მომზადება“.**

განსაკუთრებით ორიგინალურსა და არაჩვეულებრივს, ცხადია, ეს დევიზი არ შეიცავს, თანამედროვე სკოლის ყველა ხელმძღვანელი, ალბათ, მიზნად ამასვე ისახავს. მაგრამ, ერთია — დასახვა და მეორე — მიღწევა. ეს უკანასკნელი პედკოლექტივის მოწადინებაზე და კომპეტენციაზეა დამოკიდებული.

„ჭეჭილში“ რესპუბლიკის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სკოლების მართლაც გამორჩეული პედაგოგები არიან მიწვეული. ვინ აცნობს მესამეკლასელ გოგო-ბიჭებს ხელოვნების ისტორიასა და მითოლოგიას? წარმოიდგინეთ, ხელოვნებათმცოდნეობის აღიარებული ავტორიტეტი, პროფესორი კიტი მაჩაბელი! ამ სკოლაში ასწავლიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გივი ჩივაძე (ქიმია), თსუ დოცენტი გურამ გოგიშვილი (მათემატიკა), პედაგოგიკის უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი ფარნაოზ ლომაშვილი (ისტორია), პარიზის მეცნიერების ისტორიის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი ვახტანგ პარკაძე... მაგრამ მთავარი აქ წოდებები როდია, მთავარი ის არის, რომ ენთუზიასტთა კოლექტივი შეიკრა.

ამ სკოლაში ჯერჯერობით პირველი, მეორე, მესამე და მეშვიდე კლასებია. პირველკლასელები 9-დან 13 საათამდე შეისწავლიან ქართულ და ინგლისურ ენებს, მათემატიკას. მეორე და მესამეკლასელები — რუსულ ენასაც. შემდეგ ცხელ სადილს მიირთმევენ, ცოტას ისვენებენ. დღის მეორე ნახევარი რელიგიის საფუძვლებს, ბუნებისმეტყველებას, სახვით ხელოვნებას, პლასტიკას, რიტმიკას, ქართულ ცეკვას და კარატეს ეთმობა.

უფროსკლასელები ტრადიციულ დისციპლინებთან ერთად შეისწავლიან ხელოვნების ისტორიას (ხელოვნების მუზეუმში რეგულარული გასვლებით), ეთიკას, ესთეტიკას, მითოლოგიას, რიტორიკას.

დამთრგუნველად ხომ არ მოქმედებს ყმაწვილებზე ესოდენ ტევადი სასკოლო პროგრამა?

— არა, — მეუბნება სკოლის დირექტორი, — **გაესაუბრეთ ჩვენს ბავშვებს და დარწმუნდებით, რომ ისინი სხვებზე მეტად ლაღები და ხალისიანები არიან. სწავლების ინტენსივობის ცვალებადი რიტმი, მხიარული წუთისვენებები, ჯანსაღი ზნეობრივი ატმოსფერო (ძალიან ვცდილობთ ასეთი გარემოს დამკვიდრებას!) თვითონ მოითხოვს სრულფასოვან ინტელექტუალურ და ემოციურ დატვირთვას და ყმაწვილებიც ხალისით მიილტვიან ცოდნისკენ.**

თითქოს ამ სიტყვების დასასაბუთებლად იღება კაბინეტის კარი და შემოდის (როგორც შემდგომ ირკვევა) მეშვიდეკლასელი ბიჭის მშობელი.

— ქალბატონო მანანა, ჩემი შვილი დღეს ვერ მოვიდა..., მამა გაუჯავრდა და ამით დასაჯა — სკოლაში არ გამოუშვა...

ჯერ ვიფიქრე, ყურმა ხომ არ მომატყუა-მეთქი? დასჯის ამგვარი მეთოდი დიდად გავრცელებული არ უნდა იყოს ჩვენში. შემდეგ დღეებში დავრწმუნდი: თურმე, მართლაც შეიძლება არსებობდეს სკოლა, სადაც ბავშვებს მიუხარიათ. და „ჭეჭილიც“ ასეთია.

დირექტორის მონოლოგი:

— ხშირად მეკითხებიან, რამ გადამაწყვეტინა ამ სკოლის გახსნა. ვუპასუხებ: არ მინდა სხვებმა გამოიარონ ის, რაც მე გამოვცადე. იცით, ახლაც ხშირად მესიზმრება, რომ ხუთი წერაში სამიანი მივიღე და სიმწრის ოფლში გახვითქული მეღვიძება... ხუთი წერა ჩემთვის სატანჯველი იყო, სხვა საგნები, განსაკუთრებით მათემატიკა — სიხარული და ნეტარება... მათემატიკის ერთ მასწავლებელს ვიცნობ, რომელიც ცუდი კალიგრაფიისთვის ნიშანს აკლებს მოსწავლეებს. დღეს — კომპიუტერებისა და დისპლეების ეპოქაში!

ახლანდელი რეფორმა ბევრს შეცვლის სკოლის ცხოვრებაში. ბევრი არქაიზმი წარსულს ჩაბარდება. ჩემთვის განსაკუთრებით მიუღებელი რა არის? აი, თუნდაც, ნიშნის გაფეტიშება. დაუწერს მასწავლებელი მოსწავლეს ორიანს და მერე მთელი მეოთხედის მანძილზე ბავშვიც და მშობელიც უკან დასდევენ — გამოგვასწორებინეო. ნეტავ, ვინ მოიგონა ასეთი კანონი: „2“-ის შემდეგ „5“-ის დაწერა არ შეიძლებაო! რატომ არ შეიძლება, თუ მოსწავლემ მართლა ხუთზე იცის?

ჩემი მოწაფეობისას გამრავლების ტაბულას ლექსივით ვიზუთხავდით. ჩვენს სკოლაში ბატონი გურამ გოგიშვილი უპირველესად შემოქმედებით მხარეს აქცევს ყურადღებას. იგი ცდილობს (და აღწევს კიდეც), რომ ბავშვებმა დამოუკიდებლად იაზროვნონ, რომ მათ თავიდანვე ჩამოუყალიბდეთ აზროვნების მათემატიკური სტილი. როცა მის გაკვეთილს ვესწრები, ისეთ სიამოვნებას ვღებულობ, თითქოს კლასიკური მუსიკის მშვენიერ კონცერტს ვუსმენდე. მიხარია, როცა ვხედავ: დაფასთან დგას ჩაფიქრებული 8 წლის კაცი და აზროვნებს.

• • •

მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, ქალბატონ მილადა კერვალიძის უწმინდესი საზრუნავია სიტყვის ხიბლი [illegible] ყმაწვილებს ჩანს, ბევრ[illegible] მიუღწევია: [illegible] გაკვეთილზე მეორე და მესამეკლასელები ლექსებს რომ კითხულობენ, ის ლექსები ქართული პოეზიის მარგალიტებია. მესამეკლასელი ბავშვების დაწერილი მოთხრობები ნამდვილად ჩაგაფიქრებთ, საერთოდ ყმაწვილის შესაძლებლობებზე.

მის გაკვეთილზე (განსაკუთრებით მაშინ, როცა [illegible] ზღაპრის თუ მოთხრობის გარჩევაა, როცა ბოროტისა და კეთილის სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილია) კლასი ანთებულია. ბევრი ვერ გაუძლებდა ამ 45-წუთიან დუღილს, ამ ჟრიამულსა და ალიაქოთს. ის კი კმაყოფილია: ბავშვები აზროვნებენ, აქტიურობენ, ზნეობრივ პოზიციას იმკვიდრებენ.

„ჭეჭილში“ მეხუთე კლასამდე მოსწავლეებს მეოთხედურ შეფასებებს არ უწერენ. „არ მინდა თავიდანვე ორიანის, სამიანის დაღი დავასვა ყმაწვილებს, არასრულფასოვნების კომპლექსი შევქმნოთ“, — ამბობს სკოლის დირექტორი.

რა შეხედულების არის ქალბატონი მილადა სკოლაში დამკვიდრებულ ასეთ „ლიბერალიზმზე“?

— ოცდაერთი წელიწადია ვასწავლი — მეუბნება იგი. — ამ ხნის განმავლობაში არადამაკმაყოფილებელი ნიშანი ბევრი დამიწერია. და, ბოლოს, ასეთ დასკვნამდე მივედი: რაც ნაკლებ ორიანს დაწერ, მით უკეთეს შედეგს მიიღებ. ამაზე ბევრი მიფიქრია, ბევრი ცდა ჩამიტარებია. გნებავთ, ერთს — გიამბობთ: ერთხელ გამოვიძახე მეორეკლასელი მოსწავლე. გაკვეთილი არ იცოდა. ორიანი არ დავუწერე, მაგრამ ვუსაყვედურე და გავაფრთხილე, ხვალ გაგიძახებ-მეთქი. მაგრამ არც ხვალ იცოდა და არც ზეგ... კვირის ბოლო იყო. შევპირდი: თუ ორშაბათს სამივე გაკვეთილს ჩამაბარებ, სამ ხუთიანს დაგიწერ-მეთქი. წარმოიდგინეთ, სამივე ჩამიბულბულა და მეც პირობა შევუსრულე. ის დღე იყო და ის დღე — გაკვეთილმოუმზადებელი აღარ მოსულა. სადაც საყვედურმა და გაფრთხილებამ არ გაჭრა, წახალისებამ ნაყოფი გამოიღო.

როგორ უყვართ მასწავლებლები პირველკლასელებს! გეხვევიან, შემოგფოფინებენ, მოფერება უნდათ. სად ქრება მერე ის სიყვარული?..

მახსოვს, ბატონ შალვა ამონაშვილის წიგნი რომ გამოვიდა, პედაგოგების აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. იქ ასეთი თავი იყო: „მშობლებო, დაიცავით თქვენი შვილები მასწავლებლებისგან!“ უნდა გითხრათ, რომ მაშინ მეც იმ აღშფოთებას ვიზიარებდი, მაგრამ შემდეგ, ქალაქის მეთოდისტად მუშაობისას (წელიწადში ას გაკვეთილს მაინც ვესწრებოდი), არაერთხელ გამხსენებია ამონაშვილის სიტყვები. ...ერთ სკოლაში გაკვეთილზე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ხელოვნება მიჩვენა. ნამდვილი მოჯადოებულივით ვუსმენდი. შესვენებაზე მასთან ერთად დერეფანში მოვდიოდი და უეცრად ორ მოჭიდავე ბიჭს წავაწყდით თავზე. შემდეგ გაკვეთილზე მასწავლებელმა ის ბიჭები წამოაყენა და უთხრა: თქვენი ბედი, რომ დღეს დამსწრე გვყავს, თორემ ახლა თქვენ კუთხეში კი არ დადგებოდით, დაწვებოდითო. ეს ისეთი გამომეტყველებით იყო ნათქვამი, რომ თავზარი დამეცა...

• • •

სკოლადამთავრებულებს „ჭეჭილიდან“ საფუძვლიანი ჰუმანიტარული, მათემატიკური და საბუნებისმეტყველო განათლება გაჰყვებათ. კარგად ეცოდინებათ ორი უცხო ენა — ინგლისური, რომელსაც პირველი კლასიდან შეისწავლიან და ფრანგული ან გერმანული (არჩევით, მეოთხე კლასიდან). ამას ითვალისწინებს სასკოლო პროგრამა და მისი განხორციელება ამ სასწავლებლის კოლექტივს ნამდვილად ხელეწიფება.

... მეშვიდეკლასელებს ფიზიკას ქალბატონი მანანა ასწავლის. დაამთავრებს რომელიმე თავს (ვთქვათ, ნიუტონის კანონებს) და მომდევნო გაკვეთილზე კლასში შედის ბატონი ვახტანგ პარკაძე (ქართული მეცნიერების ისტორიის ღვაწლმოსილი მკვლევარი), ფოტო-სლაიდებით, ილუსტრაციებით ხელდამშვენებული. ის მოუთხრობს ყმაწვილებს მეცნიერთა ცხოვრებას, აღმოჩენების ისტორიას, კურიოზებს, რომლებიც, როგორც ცნობილია, უხვად მოიპოვება სახელგანთქმულ სწავლულთა ბიოგრაფიებში.

ამ გაკვეთილებმა მეშვიდეკლასელ ყმაწვილებს თუ საგნის სიყვარული არა, მისდამი ინტერესი მაინც უნდა გაუღვიძონ. და თუ გადაწყვეტენ თავიანთი ბედი ფიზიკის მეცნიერებას დაუკავშირონ, მეცხრე კლასიდან ამ სკოლაში შემოღებული დიფერენცირებული სწავლება საშუალებას მისცემთ საფუძვლიანი ცოდნა მიიღონ.

„ჭეჭილით“ დაინტერესდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში ბატონი გოჩა ჩოგოვაძე. მან ეს სკოლა აირჩია საბაზოდ საფრანგეთის სკოლებთან ურთიერთობისათვის. უკვე გადაიდგა კიდეც თანამშრომლობისთვის პირველი ნაბიჯები. სკოლა ჩართულია „იუნესკოს“ პროგრამაში.

• • •

ყველა მასწავლებელს თავისი საზრუნავი აქვს. რელიგიის საფუძვლების ახალგაზრდა, სათნო და საყვარელ მასწავლებელს ნატო ტყემალაძეს თავის მთავარ ამოცანად ის მიაჩნია, რომ მოყვასის სიყვარული და მიტევების უნარი ჩაუნერგოს თავის აღსაზრდელებს. ქართულის მასწავლებელი ნანა გოგოლაშვილი ცდილობს იმას მიაღწიოს, რომ მისი ყმაწვილების მეტყველებაში არაქართულმა სიტყვამ არ გაიჭაჭანოს, ხოლო რუსულის გაკვეთილზე ქალბატონ ტატიანა კანომასთან და ინგლისურზე, ქალბატონ ლორა არჩვაძესთან ქართული ტაბუდადებული.

ქალბატონ ლორასთვის მიუღებელია მთარგმნელობითი მეთოდი. მის პირველკლასელ ჟორჟს (სხვა დროს — გიორგის) შეხედვაზე გონებაში სიტყვა „მაგიდა“ კი არ უნდა წამოუტივტივდეს, არამედ ინგლისური „ე თეიბლ“. დაუღალავად აზეპირებინებს ყმაწვილებს ფრაზებს, რომელთა ხმარება ხშირად მოუწევთ. და ახლა, ეს ციცქნა გოგო-ბიჭები ერთი ამოსუნთქვით წარმოთქვამენ საკმაოდ გრძელ წინადადებებს.

„მე არა მაქვს ფანქარი, კეთილი ინებეთ, და მომეცით“...

„მე მცხელა, ნება მიბოძეთ, გავიხადო ზედა ტანსაცმელი“...

„ნება მიბოძეთ, გავესაუბრო ჩემს მეგობარს“, — და გოგონა უკანა მერხიდან დგება და პირველ რიგში მჯდომ ამხანაგთან მიდის, რაღაცას ეჩურჩულება, ორი ბავშვი ტანსაცმლის საკიდთან დგას, ერთი იხდის, მეორე იცვამს. კიდევ ერთი მასწავლებლის ნებართვით საკლასო ოთახს ტოვებს... (ჩემი პირველი კლასი მაგონდება: „ხელები უკან! მხრები გაშალეთ! არ გაიხედოთ! არ მოიხაროთ!..“)

აქ კი... რა არის ეს — ანარქია? ორიოდ წუთში ვრწმუნდები: სავსებით მართვადი ანარქია. მასწავლებელმა თითქოს ჯადოსნური ჯოხი აიქნიაო — ყველა თავის ადგილზეა, სახატავ რვეულზე თავდახრილი. სიუჟეტს მასწავლებელი კარნახობს (რა თქმა უნდა, ინგლისურად): „მე ქოლგის ქვეშ ვზივარ, რათა თავი დავიცვა მზისგან“. ბავშვები ხატავენ მზეს და ქოლგის ქვეშ შეფარებულ მისის ლორას.

ინტენსიური მუშაობის 15-20 წუთი და მხიარული წუთისვენება: თამაში-შეჯიბრი მიხვედრილობაზე, საზრიანობაზე. სულ მალე მერხებთან სამი გამარჯვებული რჩება. დანარჩენები, ვინც „ჩაიჭრა“, მასწავლებლის ირგვლივ შეჯგუფებულნი, თამაშის დასასრულს მხიარული ყიჟინით ესალმებიან გამარჯვებულებს. და მისის ლორა, ამ ხალისიანი გათამაშების აზარტიანი რეჟისორი, მაღალი, სახეღიმილიანი დგება დაფასთან და ოდნავ მბრძანებლური ჟესტით, ძლიერი ხმით გაკვეთილს თავის კალაპოტში აბრუნებს.

• • •

„**ჭეჭილს**“ მკაფიო, საკუთარი ხელწერა აქვს და ეს გაპირობებულია არა ორიგინალობის სურვილით, არამედ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ახლებურად გააზრებით. ვიდრე ჩვენი რესპუბლიკის განათლების სისტემა ესოდენ ნანატრი, ყოვლისმომცველი რეფორმისთვის ემზადება, ვიდრე განათლების კონცეფციების განხილვებზე ვნებები ბობოქრობს, აქა-იქ, დიდ და პატარა, სახელმწიფო თუ საავტორო სკოლებში, წარმოჩენილი თუ უჩინო პედაგოგები თავად ატარებენ პატარ-პატარა რეფორმებს, ეძიებენ მეთოდებს და გზებს ყმაწვილების გულებისკენ. მადლობა მათ! მადლობა, უწინარეს ყოვლისა, იმისათვის, რომ უყვართ ბავშვები; იმისათვის, რომ უყვართ და იციან თავისი საგანი და ცდილობენ, კიდევ მეტად განივრცონ თვალსაწიერი; მადლობა მათი მონაპოვარი მეთოდებისთვის, რომელთა წყალობით ახერხებენ სასწავლო პროცესში მოზარდთა ეფექტიან ჩართვას; მადლობა იმისათვის, რომ ძალა შესწევთ მართონ გაკვეთილი, კლასი; მოასწრონ მოუსწრებელი — აიყოლიონ მოსწავლეები ახალი მასალის, უამრავი დავალების ათვისება-მომზადებაში; დაბოლოს, მადლობა იმისათვის, რომ შეუძლიათ იმხიარულონ ბავშვებთან ერთად, იხუმრონ და იცინონ, ზოგჯერ — საკუთარ თავზეც: იუმორის გრძნობასმოკლებულ მასწავლებელს დღევანდელ სკოლაში არ დაედგომება.

„ჭეჭილში“, საბედნიეროდ ჰყავთ ასეთი პედაგოგები, ხოლო სამასწავლებლოს კედელზე გაკრული პლაკატი შეგვიძლიათ მათ მანიფესტად ჩავთვალოთ.

აი ისიც:

თუ ბავშვს გამუდმებით აკრიტიკებენ, ის სიძულვილს სწავლობს.

თუ ბავშვს ცხოვრება შუღლსა და კინკლაობაში უხდება, ის აგრესიულობას სწავლობს.

თუ ბავშვს დასცინიან, ის გულჩათხრობილობას ეჩვევა.

თუ ბავშვს წამდაუწუმ საყვედურობენ, მას სამუდამოდ გაჰყვება დამნაშავეობის გრძნობა.

თუ ბავშვს შემწყნარებლობის ატმოსფეროში ზრდიან, ის მოთმინებას სწავლობს.

თუ ბავშვს ამხნევებენ, ის საკუთარი თავის რწმენას სწავლობს.

თუ ბავშვს აქებენ, ის მადლიერებას სწავლობს.

თუ ბავშვი პატიოსან ხალხში იზრდება, ის სწავლობს სამართლიანობას.

თუ ბავშვი მშვიდად და უსაფრთხოდ ცხოვრობს, ის ადამიანებისადმი ნდობას სწავლობს.

ნანული ბარათაშვილი.

• • •

სურათებზე: (ზემოთ) მანანა პარკაძე მოსწავლეებთან; გორის ორკლასიანი უფასო სკოლის მასწავლებელთა და შეგირდთა ერთი ჯგუფი. სურათი გადაღებულია 1915 წელს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

ჩეკის შესახებ

ზოგადი განმარტებები:

ეს კანონი აწესრიგებს ჩეკის გაცემის, მოქმედების, ინდოსირების, თავდებობის, გადახდისა და აქედან გამომდინარე შედეგების, აგრეთვე მასთან დაკავშირებული პრეტენზიების წარდგენის წესს.

ამ კანონში გამოყენებულ სახელწოდებებს, თუ არ არსებობს განსაკუთრებული მითითება, აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

„ჩეკი“ — დადგენილი ფორმის ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეიცავს ჩეკის გამცემის წერილობით დავალებას საბანკო დაწესებულებისადმი გაანაღდოს ჩეკში აღნიშნული თანხა;

„პირი“ — როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირი;

„ინდოსამენტი“ — ჩეკზე წარწერა გადაცემის შესახებ;

„ინდოსანტი“ — პირი, რომელმაც წააწერა ჩეკზე;

„ინდოსატი“ — პირი, რომელმაც მიიღო ჩეკი ინდოსამენტით;

„აქცეპტი“ — გადამხდელის ხელმოწერა იმის თაობაზე, რომ მან ჩეკი მიიღო გასანაღდებლად დადგენილ ვადაში და თანახმაა გაანაღდოს;

„ავალი“ — საჩეკო თავდებობა;

„ცესია“ — სხვა პირისათვის მოთხოვნის უფლების დათმობა;

„საბანკო დაწესებულება“ — საჯარო ან კერძო დაწესებულება, რომელსაც მეწარმეობის წესით უფლება აქვს განახორციელოს საბანკო საქმიანობა.

თავი 1
ჩეკის ფორმა

მუხლი 1. ჩეკის ფორმა

ჩეკი შეიცავს:
1) სიტყვას „ჩეკი“ დოკუმენტის სათაურში და ტექსტში იმ ენაზე, რომელზეც შედგენილია ტექსტი.
2) უპირობო დათქმას მითითებული თანხის გადახდის შესახებ;
3) გადამხდელის დასახელებას;
4) განაღდების ადგილს;
5) ჩეკის გამოწერის ადგილსა და თარიღს;
6) ჩეკის გამომწერის ხელმოწერას.

2. ჩეკს, რომელსაც არ გააჩნია ჩამოთვლილი რეკვიზიტები, გარდა ამ მუხლში განსაზღვრული შემთხვევებისა, ჩეკის ძალა არა აქვს.

3. რაიმე განსაკუთრებული მითითების უქონლობისას გადამხდელის დასახელების გვერდით აღნიშნული ადგილი მიიჩნევა განაღდების ადგილად. თუ გადამხდელის დასახელების გვერდით რამდენიმე ადგილია მითითებული, ჩეკის განაღდების ადგილად მიიჩნევა პირველად დასახელებული ადგილი.

4. თუ არ არსებობს სხვა მითითება, ჩეკის განაღდების ადგილად მიიჩნევა გადამხდელის ძირითადი ადგილსამყოფელი.

5. ჩეკი, რომელშიც არ არის ნაჩვენები გამოწერის ადგილი, მიიჩნევა გამოწერილად იმ ადგილას, რომელიც მითითებულია გამომწერის დასახელების გვერდით.

მუხლი 2. ჩეკი, გამოწერილი მხოლოდ საბანკო დაწესებულებაზე

1. ჩეკი შეიძლება გამოწერილ იქნეს მხოლოდ იმ საბანკო დაწესებულებაზე, რომელშიც ინახება ჩეკის გამომწერის სახსრები, რაც მას უფლებას აძლევს საერთო წესით განკარგოს ეს სახსრები ჩეკის საშუალებით.

2. დოკუმენტი, გამოწერილი არა საბანკო დაწესებულებაზე, თუნდაც მას ჰქონდეს ჩეკის სახელწოდება, ჩეკად არ ითვლება.

3. ჩეკი არ საჭიროებს თანხმობას განაღდების შესახებ (აქცეპტს). ჩანაწერს ჩეკზე აქცეპტის შესახებ არავითარი ძალა არა აქვს.

მუხლი 3. ჩეკში მითითებული თანხის მიმღები

1. ჩეკი შეიძლება გამოიწეროს გასანაღდებლად:
1) კონკრეტული პირის სახელზე „განკარგულებით“ ან ამ მითითების გარეშე (საორდერო ჩეკი);
2) კონკრეტული პირის სახელზე „არა განკარგულებით“ ან სხვა თანაბარი მითითებით (სახელობითი ჩეკი);
3) წარმდგენზე.

2. ჩეკს, რომელიც გამოწერილია კონკრეტული პირის სახელზე ან წარწერით „ან წარმდგენზე“ ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი წარწერით, აქვს წარმდგენზე გამოწერილი ჩეკის ძალა.

3. ჩეკი, რომელშიც არ არის მითითებული თანხის მიმღები პირი, ითვლება ჩეკად წარმდგენზე.

მუხლი 4. ჩეკის გამოწერა

1. ჩეკი შეიძლება გამოიწეროს ჩეკის გამცემის განკარგულებით. ის შეიძლება გამოიწეროს მესამე პირზე.

2. ჩეკი არ შეიძლება გამოიწეროს თვით ჩეკის გამცემის სახელზე, გარდა შემთხვევისა, როდესაც ჩეკის გამოწერა ხდება თვით ჩეკის გამცემის ერთი ორგანიზაციიდან მეორე ორგანიზაციაზე. ასეთი ჩეკი არ შეიძლება გამოიწეროს წარმდგენის სახელზე.

მუხლი 5. ჩეკში აღნიშნული თანხის პროცენტი.

ჩეკზე ნებისმიერი წარწერა პროცენტის გადახდის შესახებ ბათილად ითვლება.

მუხლი 6. განსხვავება ჩეკში თანხის აღნიშვნისას

1. თუ ჩეკში თანხა აღნიშნულია სიტყვიერად და რიცხვით, მათ შორის განსხვავებისას ძალაშია სიტყვიერად აღნიშნული თანხა.

2. თუ ჩეკში თანხა აღნიშნულია რამდენჯერმე, მათ შორის განსხვავებისას ძალაშია სიტყვიერად აღნიშნული უმცირესი თანხა.

მუხლი 7. ჩეკზე ხელმოწერა

თუ ჩეკს აქვს იმ პირის ხელმოწერა, რომელსაც არ შეუძლია იკისროს ჩეკიდან გამომდინარე ვალდებულებები, ან ყალბი ხელმოწერა, ეს გავლენას არ იქონიებს სხვა დანარჩენი ხელმოწერების ნამდვილობაზე.

მუხლი 8. წარმომადგენელი უფლებამოსილების გარეშე

პირი, რომელიც სათანადო უფლებამოსილების გარეშე აწერს ხელს ჩეკს, როგორც სხვისი წარმომადგენელი, თვითონ აგებს პასუხს ჩეკისთვის, და ჩეკის განაღდების შემთხვევაში აქვს ისეთივე უფლებები, როგორიც თავისი უფლებამოსილების გადაჭარბებისას.

მუხლი 9. ჩეკის გამცემის პასუხისმგებლობა.

ჩეკის გამცემი პასუხისმგებელია ჩეკის განაღდებისთვის.. ყოველგვარი პირობა, რომლითაც ჩეკის გამცემი იხსნის პასუხისმგებლობას, ბათილია.

თავი 2
ჩეკის გადაცემა (ინდოსირება

მუხლი 10. ინდოსამენტი

1. კონკრეტულ პირზე გამოწერილი ჩეკი მითითებით — „განკარგულებით“ ან უამისოდ, შეიძლება გადაიცეს ინდოსამენტის მეშვეობით.

2. კონკრეტულ პირზე გასანაღდებლად გამოწერილი ჩეკი მითითებით — „განკარგულების გარეშე“.. ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმებით, შეიძლება გადაიცეს მხოლოდ ჩვეულებრივი ცესიის ფორმით.

3. ინდოსამენტი შეიძლება შესრულდეს ჩეკის გამცემის ან ჩეკით ვალდებული სხვა პირის სასარგებლოდაც. ამ პირებს თავის მხრივ შეუძლიათ ჩეკის შემდგომი ინდოსირება.

მუხლი 11. ინდოსამენტის მოქმედება

1. ინდოსირება უპირობო უნდა იყოს. მისი შემზღუდავი ნებისმიერი პირობა ბათილია.

2. ნაწილობრივი ინდოსირება ბათილია. ასევე ბათილია გადამხდელის ინდოსამენტი.

3. ჩეკის მფლობელისათვის შესრულებული ინდოსამენტი საბლანკო ინდოსამენტის ტოლფასია.

მუხლი 12. ინდოსამენტის გაფორმება

1. ინდოსამენტი შესრულდება ჩეკზე ან დანართზე (ჩეკზე დართული ფურცელი). იგი ხელმოწერილი უნდა იყოს.

2. ინდოსამენტში შეიძლება თანხის მიმღები არ აღინიშნოს, ან შეიძლება იყოს მხოლოდ ინდოსანტის ხელმოწერა (საბლანკო ინდოსამენტი). ამ უკანასკნელ შემთხვევაში ინდოსამენტის ნამდვილობისათვის იგი უნდა წააწეროს ჩეკის მეორე გვერდს ან პირველ ფურცელს.

მუხლი 13. უფლების გადაცემა ინდოსამენტის საშუალებით.

1. ინდოსამენტით ჩეკიდან გამომდინარე ყველა უფლება გადაიცემა.

2. თუ ინდოსამენტი საბლანკოა, ჩეკის მფლობელს შეუძლია:
1) შეავსოს იგი თავისი ან სხვა პირის სახელით;
2) მოახდინოს ჩეკის შემდგომი ინდოსირება საბლანკო ინდოსამენტით ან რომელიმე კონკრეტულ პირზე;
3) გადასცეს ჩეკი მესამე პირს ბლანკის შეუვსებლად და ჩეკის ინდოსირების გარეშე.

მუხლი 14. ინდოსანტის პასუხისმგებლობა

1. ინდოსანტი პასუხს აგებს ჩეკის განაღდებისათვის იმ შემთხვევაში, თუ არ არის ამის საწინააღმდეგო წარწერა.

2. ინდოსანტს შეუძლია აკრძალოს ჩეკის შემდგომი ინდოსირება. ასეთ შემთხვევაში, ის არ არის პასუხისმგებელი იმათ წინაშე, ვის სასარგებლოდაც მოხდება ჩეკის შემდგომი ინდოსირება.

მუხლი 15. ინდოსირებული ჩეკის მფლობელი

პირი, რომელსაც ხელთ აქვს ინდოსირებული ჩეკი, ითვლება ჩეკის კანონიერ მფლობელად. თუ იგი დაამტკიცებს თავის უფლებას ინდოსამენტთა უწყვეტი რიგით. ამ შემთხვევაში გადახაზულ ინდოსამენტებს ძალა არა აქვს.

მუხლი 16. ინდოსანტის პასუხისმგებლობა რეგრესის წესით

„წარმდგენზე“ გამოწერილი ჩეკის ინდოსანტი პასუხს აგებს რეგრესის წესით.

მუხლი 17. ჩეკის დაკარგვა

თუ პირმა რაიმე მიზეზის გამო დაკარგა ჩეკი, ახალი მფლობელი, იმისგან დამოუკიდებლად, ჩეკი წარმდგენზეა თუ ინდოსირებულია. ამტკიცებს ჩეკზე თავის უფლებას ამ კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად და მხოლოდ მაშინ არის ვალდებული დააბრუნოს ჩეკი, თუ იგი შეიძინა უპატიოსნო გზით, ან არ იცოდა, მაგრამ შეეძლო სცოდნოდა, რომ წინა მფლობელს არ ჰქონდა უფლება ეს ჩეკი სხვისთვის დაეთმო.

მუხლი 18. პრეტენზია ჩეკზე

პირებს, რომელთაც წარედგინათ ჩეკიდან გამომდინარე სარჩელი. არ შეუძლიათ წარუდგინონ მფლობელს პრეტენზია, დაფუძნებული პირად ურთიერთობაზე ჩეკის მფლობელთან ან წინა მფლობელთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მფლობელი ჩეკის შეძენისას განზრახ მოქმედებდა დებიტორთა საზიანოდ.

მუხლი 19. ჩეკზე შესაძლო სხვა წარწერები

თუ ჩეკზე არის წარწერა: „თანხა გადასახდელად“, „ინკასო“, „მინდობილობით“ ან სხვა სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ უბრალო დავალებებს, რაც ჩეკის გადაცემად არ ჩაითვლება, ჩეკის წარმდგენს შეუძლია განახორციელოს ჩეკიდან გამომდინარე ყველა უფლება, მაგრამ მისი ინდოსირება შეუძლია მხოლოდ როგორც რწმუნებულ პირს.

ასეთ შემთხვევაში, ჩეკით ვალდებულ პირებს შეუძლიათ წარუდგინონ ჩეკის წარმდგენს მხოლოდ ის პრეტენზია, რომელიც ინდოსანტის მიმართ შეიძლებოდა ჰქონოდათ.

მუხლი 20 ინდოსამენტის ვადა

1. ინდოსამენტი, პროტესტის ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმების განხორციელების შემდეგ, ან წარდგენის ვადის დადგომისას, ითვლება უბრალო გადაცემად (ცესიად).

2. ინდოსამენტის დაუთარიღებლობის შემთხვევაში ითვლება, რომ იგი შესრულებულია პროტესტამდე ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმების განხორციელებამდე, ან წარდგენის ვადის დადგომამდე, სანამ სხვა რამე არ არის დამტკიცებული.

3. უფლებამოსილი პირის ინდოსამენტი არ კარგავს ძალას არც თავდების სიკვდილის და არც მისი ქმედუუნარობის შემთხვევაში.

თავი 3
თავდებობა (ავალი)

მუხლი 21. თავდებობა მთელ ან ნაწილობრივ თანხაზე

1. ჩეკის განაღდება შეიძლება გარანტირებული იქნეს თავდებობის (ავალის) საშუალებით, ჩეკის მთელ თანხაზე ან თანხის ნაწილზე.

2. თავდებობას აფორმებს მესამე პირი ან თვით ჩეკზე ხელმომწერი პირი, გარდა გადამხდელისა.

მუხლი 22. თავდებობის გაფორმება

1. თავდებობა აღინიშნება ჩეკზე ან მის დანართზე.

2. ის გამოიხატება სიტყვებით „მიცემულია თავდებობა“, ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმებით. მას ხელს აწერს თავდები.

3. პირი, რომელიც ხელს აწერს ჩეკის წინაპირზე, ითვლება თავდებად, თუ ის ჩეკის გამცემი არ არის.

4. თავდებობაში ნაჩვენები უნდა იყოს, ვის უდგებიან თავდებად. ასეთი აღნიშვნის უქონლობისას ითვლება, რომ თავდებობა მიცემული აქვს ჩეკის გამცემს.

მუხლი 23. თავდების უფლებები და პასუხისმგებლობა

1. ჩეკისთვის თავდები ისევე აგებს პასუხს, როგორც ის, ვისაც იგი თავდებად დაუდგა. თავდებობა მოქმედია მაშინაც, როცა ის ძალის არმქონე ჩანს რაიმე სხვა მიზეზით, გარდა გაფორმებისას დაშვებული დეფექტისა.

2. თავდები ჩეკის განაღდების შემთხვევაში, იძენს უფლებას იმის მიმართ, ვისაც იგი თავდებად დაუდგა და ყველა იმათ მიმართ, რომლებიც ვალდებული არიან ამ უკანასკნელის წინაშე წინამდებარე კანონის შესაბამისად.

თავი 4
ჩეკის წარდგენა და განაღდება

მუხლი 24. ჩეკის განაღდების ვადა

1. ჩეკის განაღდება ხდება წარდგენისთანავე. ნებისმიერი დათქმა (წარწერა), რომელიც ამას ეწინააღმდეგება, ბათილია.

2. ჩეკი, წარდგენილი გასანაღდებლად იმ დღემდე, რომელიც ჩეკში ნაჩვენებია როგორც გადაცემის დღე, განაღდება წარდგენის დღეს.

მუხლი 25. გაცემული ჩეკის მოქმედება

გაცემული ჩეკი ძალაში რჩება, როგორც ჩეკის გამცემის სიკვდილის, ასევე მისი არაქმედუნარიანად აღიარების შემთხვევაში.

მუხლი 26. განაღდების გაფორმება

ჩეკის განაღდებისას გადამხდელს ჩეკის დაბრუნების შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს მფლობელის ხელწერილი თანხის მიღების შესახებ.

მუხლი 27. გადაცემული ჩეკის განაღდება

გადამხდელი, რომელიც ახდენს გადაცემული ჩეკის განაღდებას, ვალდებულია შეამოწმოს ინდოსამენტთა რიგის თანმიმდევრობის სისწორე, მაგრამ არა ინდოსანტთა ხელმოწერის ნამდვილობა.

თავი 5
განსხვავებული და საანგარიშსწორებო ჩეკი

მუხლი 28. ჩეკის ნიშნები

1. ჩეკის შესაძლო გამოყენების შეზღუდვის მიზნით ჩეკის გამცემს ან მფლობელს უფლება აქვს ჩეკი მონიშნოს (ნიშანი დაადოს) ორი პარალელური დიაგონალური ხაზით ჩეკის წინა პირზე.

2. იმ შემთხვევაში, როცა ორ პარალელურ ხაზს შორის არ არის რაიმე ჩანაწერი ან სიტყვა „ბანკი“ კონკრეტული დასახელებით, ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სიტყვები, ჩეკი ითვლება უბრალო განსხვავებულ ჩეკად. თუ პარალელურ ხაზებს შორის ჩაწერილია საბანკო დაწესებულების ზუსტი დასახელება, ჩეკი ითვლება სპეციალურ განსხვავებულ ჩეკად.

3. უბრალო განსხვავებული ჩეკი შეიძლება გადაიქცეს სპეციალურ განსხვავებულ ჩეკად. სპეციალური განსხვავებული ჩეკი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გადაიქცეს უბრალო განსხვავებულ ჩეკად.

4. პარალელური ხაზების ან საბანკო დაწესებულების დასახელების გადახაზვა ბათილად ითვლება.

მუხლი 29. მონიშნული ჩეკის განაღდება

1. უბრალო განსხვავებულ ჩეკს გადამხდელი უნაღდებს მხოლოდ საბანკო დაწესებულებას ან გადამხდელის კლიენტს.

2. სპეციალურ განსხვავებულ ჩეკს გადამხდელი უნაღდებს მხოლოდ ჩეკში მითითებულ საბანკო დაწესებულებას, თუ ეს უკანასკნელი თვითონ არის გადამხდელი, მაშინ — მხოლოდ თავის კლიენტს.

3. განსხვავებული ჩეკი ბანკმა შეიძლება შეიძინოს მხოლოდ თავისი კლიენტისგან ან სხვა ბანკისგან, ამასთან ბანკს შეუძლია ჩეკის ინკასოთი გადაცემა მხოლოდ ზემოაღნიშნული პირებისათვის.

4. სპეციალურ განსხვავებულ ჩეკში მითითებული თანხა, რომელშიც ჩაწერილია არა უმეტეს ორი ბანკის დაწესებულების დასახელება, გადამხდელს შეუძლია გაანაღდოს მხოლოდ მაშინ, თუ ერთი მათგანი იძლევა მითითებას საანგარიშსწორებო დაწესებულებაზე ჩეკის ინკასოთი გადაცემის შესახებ.

5. გადამხდელი ან ბანკის დაწესებულება ზემოაღნიშნული წესების დარღვევისას პასუხს აგებს მიყენებული ზარალისათვის ჩეკში აღნიშნული თანხის ფარგლებში.

მუხლი 30. საანგარიშსწორებო ჩეკი

1. ჩეკის გამცემს. აგრეთვე მის მფლობელს შეუძლია აკრძალოს ჩეკის ნაღდი ფულით განაღდება, ჩეკის წინა პირზე დიაგონალური წარწერით „ანგარიშსწორებისათვის“ ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმებით.

2. ასეთი ჩეკის თანხა ჩამოიწერება გადამხდელის ანგარიშიდან და შეიტანება ჩეკის წარმდგენის ანგარიშზე.

3. გადახაზულ სიტყვას „ანგარიშსწორებისათვის“ არავითარი გავლენა ჩეკის მოქმედებაზე არა აქვს.

4. გადამხდელი ზემოაღნიშნული წესის დარღვევისათვის პასუხს აგებს მიყენებული ზარალის გამო ჩეკში აღნიშნული თანხის ფარგლებში.

თავი 6
პრეტენზიები ჩეკის გაუნაღდებლობასთან დაკავშირებით

მუხლი 31. ჩეკის გაუნაღდებლობასთან დაკავშირებული პრეტენზიის საფუძვლები

ჩეკის მფლობელს შეუძლია პრეტენზია წარუდგინოს ინდოსანტს, ჩეკის გამცემს ან ჩეკით ვალდებულ სხვა პირებს, თუ დროულად წარდგენილი ჩეკი არ განაღდებულა და განაღდებაზე უარი დადასტურებულია;
1) ოფიციალური აქტით (პროტესტით);
2) გადამხდელის დათარიღებული წარწერით იმ ჩეკზე, რომელშიც მითითებულია ჩეკის წარდგენის თარიღი;
3) საანგარიშსწორებო დაწესებულების დათარიღებული განცხადებით იმის შესახებ, რომ ჩეკი დროულად იყო წარდგენილი, მაგრამ არ განაღდებულა.

მუხლი 32. პროტესტი ჩეკზე

1. პროტესტი ან სხვა დამოწმება უნდა გაფორმდეს ჩეკის წარდგენის ვადის გასვლამდე.

2. თუ ჩეკი წარდგენილია წარდგენის ვადის ბოლო დღეს, პროტესტი ან სხვა დამოწმება შეიძლება გაფორმდეს ვადის დადგომის მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 33. შეტყობინება ჩეკის გაუნაღდებლობის შესახებ.

1. ჩეკის მფლობელი ვალდებულია ჩეკის გაუნაღდებლობის შესახებ შეატყობინოს თავის ინდოსანტსა და ჩეკის გამცემს პროტესტის ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმების განხორციელების დღიდან ოთხი სამუშაო დღის განმავლობაში, ან შენიშვნის „დაბრუნდეს ხარჯების გარეშე“ არსებობის შემთხვევაში — ჩეკის წარდგენის მომდევნო დღიდან ოთხი სამუშაო დღის განმავლობაში. ყოველი ინდოსანტი შეტყობინების მიღებისას მოვალეა ორი სამუშაო დღის განმავლობაში აცნობოს ეს თავის ინდოსანტს, მათი დასახელების (გვარის) და მისამართის ჩვენებით, ვისაც ასეთი შეტყობინება უკვე გაეგზავნა. ეს გრძელდება ჩეკის გამცემის შეტყობინებამდე. ზემოაღნიშნული ვადა გამოიანგარიშება შეტყობინების მიღების პირველი დღიდან.

2. ზემოაღნიშნული თანამიმდევრობით ჩეკის გამოცემისათვის შეტყობინებისას ამავე ვადაში უნდა ეცნობოს ეს მის თავდებსაც.

3. თუ ინდოსანტს არა აქვს მითითებული თავისი მისამართი ან ჩანაწერი გაურკვეველია, საკმარისია ეცნობოს მის წინა ხელმომწერ ინდოსანტს.

4. შეტყობინება შეიძლება იყოს ნებისმიერი ფორმის, მათ შორის ჩეკის უბრალო დაბრუნების გზითაც. შეტყობინების გამგზავნი ვალდებულია ამტკიცოს, რომ მან შეტყობინება გაგზავნა დადგენილ ვადაში, ითვლება, რომ ვადა არ არის დარღვეული, თუ შეტყობინება ჩაბარდა დადგენილ ვადაში საფოსტო განყოფილებას.

5. პირი, რომელმაც შეტყობინება დადგენილ ვადაში ვერ გაგზავნა, არ კარგავს თავის უფლებებს, იგი პასუხისმგებელია თავისი დაუდევრობით მიყენებული ზარალისათვის, მაგრამ მხოლოდ ჩეკზე აღნიშნული თანხის ფარგლებში.

მუხლი 34. შემთხვევა, როდესაც პროტესტის გაფორმება არ არის აუცილებელი.

1. ჩეკის გამცემს, ინდოსანტს ან თავდებ პირს, წააწერენ რა ჩეკზე სიტყვას „დაბრუნდეს ხარჯების გარეშე“, ან „პროტესტის გარეშე“, ან სხვა თანაბარმნიშვნელოვან დამოწმებას და მოაწერენ მას ხელს, შეუძლიათ გაათავისუფლონ ჩეკის მფლობელი პროტესტის გაფორმებისაგან, ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი მტკიცებისაგან, წამოყენებულ მოთხოვნებზე მისი უფლებების დაცვით.

2. ეს ჩანაწერი არ ათავისუფლებს ჩეკის მფლობელს ჩეკის დაწესებულ ვადაში წარდგენისა და აუცილებელი შეტყობინების გაგზავნის მოვალეობისაგან. ვადების დაუცველობის მტკიცების მოვალეობა ეკისრება იმას, ვინც დაინტერესებულია ისარგებლოს ამ გარემოებებით ჩეკის მფლობელის მიმართ.

3. თუ შენიშვნა ჩეკის გამომწერის ჩაწერილია, იგი მოქმედია ყველა ხელმომწერისათვის, ხოლო თუ იგი შესრულებულია ინდოსანტის ან თავდების მიერ, შენიშვნა სავალდებულოა მხოლოდ ამ უკანასკნელისთვის. თუ ჩეკის გამცემის შენიშვნის მიუხედავად, მფლობელი აფორმებს პროტესტს ან სხვა თანაბარმნიშვნელოვან დამოწმებას, მასვე ეკისრება გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. თუ შენიშვნა ჩაწერილია ინდოსანტის ან თავდების მიერ, პროტესტის გაფორმების ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმების გაფორმების ყველა ხარჯი ეკისრება ჩეკის ყველა ხელმომწერს.

მუხლი 35. ჩეკის განაღდებისათვის პასუხისმგებლობა.

1. ჩეკით ვალდებული ყველა პირი სოლიდარულად აგებს პასუხს ჩეკის მფლობელის წინაშე. მფლობელი უფლებამოსილია წარუდგინოს სარჩელი როგორც ყველა ამ პირს, ასევე ერთ მათგანს, ან რამდენიმეს ერთდროულად, მიუხედავად იმ თანამიმდევრობისა, რომლითაც მათ ვალდებულება იკისრეს.

2. იგივე უფლებით სარგებლობა შეუძლია ჩეკის ხელმომწერ ყველა პირს, რომელმაც ჩეკი გაანაღდა.

3. ჩეკით ვალდებული ერთ-ერთი პირის მიმართ სარჩელი არ წარმოადგენს დაბრკოლებას სხვა პირებისაგან სახდელის გადახდევინებისათვის, მაშინაც კი, თუ თვითონ იკისრეს ვალდებულება იმ პირის შემდეგ, რომელსაც სარჩელი უკვე წარედგინა.

მუხლი 36. სარჩელი ჩეკის გამო.

ჩეკის მფლობელს სარჩელის წარდგენით შეუძლია მოითხოვოს განაღდება:
1) ჩეკის გადაუხდელი თანხისა;
2) სარგებლისა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოდენობით ჩეკის გასანაღდებლად წარდგენის დღიდან;
3) ხარჯებისა, რომლებიც დაკავშირებულია პროტესტთან ან სხვა თანაბარმნიშვნელოვან დამოწმებასთან, ასევე შეტყობინების გაგზავნასთან.

მუხლი 37. რეგრესის უფლება.

ჩეკის გადამხდელ პირს უფლება აქვს, წინამორბედ ინდოსანტს მოსთხოვოს:
1) მის მიერ განაღდებული მთელი თანხა;
2) სარგებელი ექვსი პროცენტის ოდენობით ჩეკის გასანაღდებლად წარდგენის დღიდან;
3) მის მიერ გაწეული ხარჯები.

მუხლი 38. ჩეკის გამნაღდებელი პირის უფლებები.

1. ჩეკით ვალდებულ ნებისმიერ პირს, რომლის მიმართაც შეიძლება წარდგენილ იქნეს სარჩელი, ჩეკის განაღდების შემდეგ უფლება აქვს, მოითხოვოს ჩეკის დაბრუნება პროტესტით ან სხვა თანაბარმნიშვნელოვან დამოწმებასთან ერთად და ხელწერილი ჩეკის განაღდების შესახებ (ბათილობა).

2. ნებისმიერ ინდოსანტს, ჩეკის განაღდების შემდეგ, უფლება აქვს, ამოშალოს, როგორც თავისი, ასევე მისი მომდევნო ინდოსანტების ინდოსამენტი.

მუხლი 39. დაბრკოლება ჩეკის წარდგენის ან პროტესტის გაფორმებისას.

1. თუ დაუძლეველი დაბრკოლების გამო (რომელიმე სახელმწიფოს კანონი ან სტიქიური უბედურება) შეუძლებელი იყო დადგენილ ვადაში წარდგენილიყო ჩეკი ან გაფორმებულიყო პროტესტი ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმება, მაშინ დადგენილი ვადა შეიძლება გაგრძელდეს.

2. ჩეკის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს თავის ინდოსანტს, ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული დაბრკოლების შესახებ და აღნიშნოს ეს ჩეკში ან მის დანართში, მიუთითოს თარიღი და ხელი მოაწეროს. შემდგომი მოქმედება ხორციელდება ამ კანონის 33-ე მუხლით განსაზღვრული წესით.

3. დაუძლეველი ძალის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, ჩეკის მფლობელმა დაუყოვნებლივ უნდა წარადგინოს ჩეკი გასანაღდებლად და თუ საჭირო იქნება, გააფორმოს პროტესტი ან განახორციელოს სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმება.

4. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება თოთხმეტ დღეზე მეტხანს, იმ დღიდან, როცა თვითონ ჩეკის მფლობელმა წარდგენის ვადის გასვლამდე აცნობა თავის ინდოსანტს ამ დაბრკოლების შესახებ, სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს მაშინაც, თუ პროტესტი ან თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმება არ იყო გაფორმებული.

5. დაუძლეველ ძალად არ ითვლება გარემოებები, რომლებიც ეხება პირადად ჩეკის მფლობელს ან იმ პირებს, რომლებსაც მან მიანდო ჩეკის წარდგენა ან პროტესტის განცხადება ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმების განხორციელება.

თავი 7
ჩეკის ეგზემპლარების შესახებ

მუხლი 40. ჩეკის ეგზემპლარების სიმრავლე.

ნებისმიერი ჩეკი, გარდა ჩეკისა „წარდგენაზე“, რომლის გამოწერისა და განაღდების ადგილები სხვადასხვა ქვეყანაში ან სხვადასხვა კონტინენტზე, ანდა ერთსა და იმავე ქვეყანაში, მაგრამ სხვადასხვა კონტინენტზე მდებარეობენ, შეიძლება გამოიწეროს რამდენიმე ერთნაირ ეგზემპლარად. ამ ეგზემპლარებზე უნდა დაისვას თანამიმდევრობით ნომერი თითოეული ჩეკის ტექსტში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველი ეგზემპლარი დამოუკიდებელ ჩეკად მიიჩნევა.

მუხლი 41. ეგზემპლარის განაღდება, პასუხისმგებლობა

1. ერთი ეგზემპლარის განაღდება ძალას უკარგავს დანარჩენ ეგზემპლარებს მაშინაც, როცა ასეთი დათქმა არ ყოფილა.

2. თუ ინდოსანტმა ეგზემპლარები გადასცა სხვადასხვა პირებს, ისიც და მომდევნო ინდოსანტებიც პასუხს აგებენ მათ მიერ ხელმოწერილი ყველა ეგზემპლარისათვის, რომლებიც არ იყო დაბრუნებული.

თავი 8
ცვლილებები ჩეკში

მუხლი 42. ცვლილებები ტექსტში.

ჩეკის ტექსტში ცვლილების შეტანის შემთხვევაში ამ ცვლილების შეტანის შემდეგ ხელმომწერი პირები პასუხს აგებენ შეცვლილი ტექსტის შინაარსის შესაბამისად, ხოლო ის პირები, რომელთაც ხელი მოაწერეს ცვლილებების შეტანამდე, პასუხს აგებენ პირველადი ტექსტის შინაარსისთვის.

თავი 9
ხანდაზმულობა

მუხლი 43. ხანდაზმულობის ვადა.

1. მფლობელის მიერ სარჩელის შეტანის ვადა ინდოსანტების, ჩეკის გამომწერის და ჩეკით ვალდებულ სხვა პირთა მიმართ გასულად ითვლება წარდგენის დღიდან ექვსი თვის შემდეგ.

2. სარჩელი ჩეკით ურთიერთვალდებულ პირთა შორის დაფარულად ითვლება ექვსი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა ვალდებულმა პირმა გაანაღდა ჩეკი, ან მის მიმართ სარჩელის წარდგენის დღიდან.

თავი 10
სპეციალური დებულებები

მუხლი 44. ჩეკის წარდგენისა და პროტესტის დღეები

1. ჩეკის განსაღდებლად წარდგენა და პროტესტი შეიძლება განხორციელდეს სამუშაო დღეს.

2. თუ ჩეკთან დაკავშირებული რომელიმე მოქმედება, კერძოდ, გასანაღდებლად წარდგენა, პროტესტი ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმება, უნდა შესრულდეს განსაზღვრული ვადის განმავლობაში, რომლის უკანასკნელი დღე კანონით დაწესებული უქმე დღეა, მაშინ აღნიშნული ვადა გაგრძელდება მომდევნო სამუშაო დღემდე. უქმე დღე, რომელიც ხვდება ვადის მიმდინარეობის დროს, ითვლება ვადის ანგარიშში.

მუხლი 45. ვადების გამოთვლა.

ამ კანონით გათვალისწინებულ ვადებში არ ჩაითვლება ის დღე, საიდანაც ვადის მიმდინარეობა იწყება.

მუხლი 46. შეღავათიანი დღეები.

არავითარი შეღავათიანი (გრაციული) დღეების დაწესება არც კანონმდებლობით და არც სასამართლოს მიერ არ დაიშვება.

თავი 11
დამატებითი წესები

მუხლი 47. უკანონო გამდიდრება.

ჩეკის გამომწერი, რომლის სარეგრესო ვალდებულება გასანაღდებლად ჩეკის დაგვიანებით წარდგენის ან ხანდაზმულობის გამო შეწყვეტილია, მანამდე რჩება ჩეკის მფლობელის წინაშე ვალდებულად, ვიდრე მისი ზარალით უკანონო სარგებელს მიიღებდეს.

პრეტენზია ხანდაზმულობის გამო, ძალას კარგავს ჩეკის გამოწერიდან ერთ წელიწადში.

მუხლი 48. დაკარგული ჩეკი და პროტესტის აქტი.

1. დაკარგული ან განადგურებული ჩეკი გამოცხადების გზით შეიძლება ძალადაკარგულად ცნონ. გამოცხადების ვადა შეადგენს სულ ცოტა ორ თვეს. ამ მოქმედების დაწყების შემდეგ უფლებამოსილ პირს, თუ ჩეკი დროულად არის გასანაღდებლად წარდგენილი, მაგრამ გადამხდელს არ გაუნაღდებია, შეუძლია განაღდება მოსთხოვოს ჩეკის გამომწერს, თუ ის ძალადაკარგულად ცნობამდე იძლევა გარანტიას.

2. დაკარგული ან განადგურებული პროტესტის აქტი შეიძლება შეიცვალოს მოწმობით პროტესტის განცხადების შესახებ, რომელსაც გასცემს დოკუმენტის დამოწმებული ასლის შემნახავი დაწესებულება. მოწმობაში შეტანილი უნდა იყოს პროტესტის შინაარსი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1995 წლის 19 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

„ჩეკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„ჩეკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1995 წლის 19 აპრილი.

საქართველოს სახელმწიფოს
მეთაურის
ბრძანებულება

„სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების დროებითი საფირმო გადასახადის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 26 დეკემბრის № 405 ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების დროებითი საფირმო გადასახადის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 26 დეკემბრის № 405 ბრძანებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები:

1. ბრძანებულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და საზკვების საწარმოების, ორგანიზაციებისა (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) და ინდივიდუალური მეწარმეობისათვის მოგების (საშემოსავლო) გადასახადის ნაცვლად დაწესდეს ფიქსირებული საფირმო გადასახადი მათ მიერ დაკავებული საერთო ფართობის მიხედვით შემდეგი ოდენობით:

— 10 კვადრატულ მეტრამდე საერთო ფართობის ობიექტისათვის 10 (ათი) აშშ დოლარის შესაბამისი ოდენობის ეროვნული ვალუტა;

— 10-დან 50 კვადრატულ მეტრამდე ფართობის ობიექტებისათვის — ყოველ დამატებით კვადრატულ მეტრზე 1 (ერთი) აშშ დოლარის შესაბამისი ოდენობის ეროვნული ვალუტა“.

2. ბრძანებულების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შემცირდეს საფირმო გადასახადის ოდენობა 40 პროცენტით სოფლის ტერიტორიაზე მდებარე ობიექტებისათვის.

დროებითი საფირმო გადასახადი არ ვრცელდება ცეკავშირისა და კავშირგაბმულობის სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებზე.

ქ. თბილისის ტერიტორიაზე იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მოქმედებს თბილისის მერიის საქალაქო კოლეგიის გადაწყვეტილებით დაწესებული დროებითი ფიქსირებული საფირმო გადასახადი“.

3. ბრძანებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. ნება დაერთოთ მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს დაუწესონ ინდივიდუალურ მეწარმეებს, რომელთაც არ გააჩნიათ სავაჭრო, საზკვების და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, ფიქსირებული საფირმო გადასახადი ამ საქმიანობიდან მოსალოდნელი შემოსავლების ოდენობიდან გამომდინარე წლიური შედეგების მიხედვით დეკლარაციის წარდგენის წესის შენარჩუნებით:

ინდივიდუალურ მეწარმეებს, რომლებიც იხდიან ფიქსირებულ საფირმო გადასახადს, წლის განმავლობაში გადახდილი გადასახადის თანხა ჩაეთვლებათ წლიური შედეგებიდან გამომდინარე საგადასახადო ორგანოში წარდგენილი დეკლარაციის მიხედვით გაანგარიშებულ საშემოსავლო გადასახადში, თუ საშემოსავლო გადასახადის თანხა აღემატება ფიქსირებული საფირმო გადასახადის თანხას“.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 6 მაისი.

გამოძიება

გასროლა დერეფანში,

ანუ როგორ დაასრულა სიცოცხლე ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა

კაცი ერთხანს გარინდული იჯდა სკამზე, მოკლე, ვიწრო დერეფნის ბოლოს. მალე წამოდგა და ნერვიულად დაარტყა ბოლთა. 4-5 ნაბიჯი წინ და უკან. ერთხელ, ორჯერ... კაბინეტების კარები დროდადრო იღებოდა, შედიოდნენ, გამოდიოდნენ. ვიღაც მიესალმა კიდეც. ინსტიქტურად დაუქნია თავი: ნაცნობი სახე იყო, ძალზე ნაცნობი, მაგრამ თავში აზრები ირეოდა და ერთმანეთს არ ებმოდა. მერე, თითქოს რაღაცამ უბიძგაო, შარვლის საქამრიდან სწრაფად ამოიღო დამბაჩა, საფეთქელზე მიიდო და ჩახმახს გამოკრა...

დაახლოებით 18 საათი და 7 წუთი იყო. 1994 წლის 9 სექტემბერი.

სენსაციური გასროლა უმალ გახმიანდა მთელ საქართველოში და ექოდ ათასი ჭორი აგორდა, ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი, როგორც სახელგატეხილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი მოწმე, თავიდან მოიცილეს და მკვლელობა თვითმკვლელობად გაასაღეს.

თითქოს განგებო, პირველივე საგაზეთო პუბლიკაციაში ორი შეცდომა გაიპარა: საქართველოს პროკურატურის შენობაში, მორიგი დაკითხვის შემდეგ თვითმკვლელობით დასრულდა სიცოცხლეო.

ეს პროკურატურის შენობაში არ მომხდარა, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში მოხდა.

არც დაკითხვა ყოფილა მორიგი, პირველი, ერთადერთი დაკითხვა გახლდათ...

მაშ ასე: სისხლის სამართლის საქმე № 7494854 — დემურ ნოეს ძე დვალიშვილის თვითმკვლელობის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით. აღიძრა 1994 წლის 9 სექტემბერს, დაიხურა 1995 წლის 3 მაისს.

დადგენილება: შეწყდეს სისხლის სამართლის საქმე დ. ნ. დვალიშვილის თვითმკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით, დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო — გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი, იუსტიციის მრჩეველი თენგიზ კვარაცხელია.

ეს დასკვნა გამომძიებლის ხანგრძლივი, გამოწვლილვითი კვლევის შედეგია. გამოცდილმა, პროკურატურის ორგანოებში მუშაობის 20 წლის სტაჟის მქონე იურისტმა კარგად იცოდა, რომ საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოქცეული ამ გახმაურებული საქმის ყოველი წვრილმანი გამადიდებელი შუშით უნდა შემოწმებულიყო, ყოველი, ერთი შეხედვით უტყუარი ფაქტი ეჭვის სასწორით აწონილიყო, რათა პასუხი გაეცა კითხვაზე: იყო თუ არა ეს თვითმკვლელობა?

●

1994 წლის 9 სექტემბერს ბატონი დემურ დვალიშვილი მოწმედ იყო გამოძახებული შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში კომერციულ ბანკ „ოპიზარის" საქმიანობასთან დაკავშირებით.

ოფიციალური ცნობა:

საგამოძიებო დეპარტამენტში 1994 წლის 4 აგვისტოს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ფირმა „თუბალის" პრეზიდენტის, საქართველოს კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის თავმჯდომარის მოადგილის ჯ. ხიმშიაშვილის მიმართ, რომელმაც 1993 წლის გაზაფხულზე ბანკ „ოპიზარიდან" სესხად გამოიტანა 500 მილიონი რუბლი და მიიმალა (წინასწარი მონაცემებით, დღეისათვის იგი დაკავებულია ქ. ბათუმში). სხვათა შორის, ხიმშიაშვილმა 1994 წლის აპრილში უსაქონლო ოპერაცია გააფორმა ფირმა „სოფლის ნობათის" პრეზიდენტთან მამაცაშვილთან, რომელსაც „ოპიზარიდან" წინა წელს მიღებული სესხის — 500 მილიონი რუბლის (იმდროინდელი კურსით 900 ათასი დოლარი) დასაფარავად ჩაარიცხინა 1,026 მილიარდი კუპონი, რაშიც 2400 დოლარი გადაუხადა.

ბუნებრივია, წინასწარი გამოძიება დაინტერესდა თვით კომერციული ბანკ „ოპიზარის" საქმიანობით.

ეს ბანკი საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რეგისტრაციაში გაატარა 1993 წ. 4 თებერვალს. მისი დამფუძნებლები არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო „მელიოსი" (გენერალური დირექტორი — კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის თავმჯდომარის თემურ ჟორჟოლიანის ვაჟი მიხეილ ჟორჟოლიანი), გამოჩენილ მამულიშვილთა ჩამომავლების საქველმოქმედო ფონდი (თავმჯდომარე — თემურ ჟორჟოლიანის და ლამარა ჟორჟოლიანი) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო „ქირონი", რომლის დირექტორი დაფუძნების დროს იყო ლევან ბუხრაშვილი, ხოლო შემდეგ კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის წევრი ახან მანთაშევი (ამჟამად ორივე მათგანი იძებნება).

დაარსებიდან 11 დღის შემდეგ „ოპიზარმა" ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის დ. დვალიშვილის განკარგულებით მიიღო მოკლევადიანი, შეღავათიანი კრედიტი 1 მილიარდი რუბლის ოდენობით, რაც იმ დროის კურსით ეფარდება 2 მილიონ 400 ათას დოლარს. იმავე წლის 25 მარტს „ოპიზარმა" კვლავ მიიღო კრედიტი ეროვნული ბანკიდან (ისევ დ. დვალიშვილის განკარგულებით), ამჯერად 2 მილიარდ 400 მილიონი რუბლის ოდენობით, რაც მაშინდელი კურსით 3,4 მილიონ დოლარს უდრიდა. ე. ი. სულ „ოპიზარმა" ეროვნული ბანკიდან მიიღო მოკლევადიანი შეღავათიანი კრედიტები 3,4 მილიარდი რუბლის, ანუ 6 მილიონი დოლარის ოდენობით.

„ოპიზარმა" ეროვნული ბანკიდან მიღებული კრედიტებიდან ყველაზე დიდი რაოდენობა — 66,4 პროცენტი, ანუ 2257,5 მილიონი რუბლი (მაშინდელი კურსით 4,5 მილიონი დოლარი) ჩაურიცხა ფირმა „ქირონს", რომლის პრეზიდენტიც ამ დროისათვის იყო ახან მანთაშევი (იგი თანხის ჩარიცხვის შემდეგ მიიმალა).

„ოპიზარს" დიდძალი თანხები აქვს ჩარიცხული ფირმებისა თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოების „სავის" (500 მილიონი რუბლი), „ბექას" (450 მილიონი რუბლი), „იალბუზის" (117 მილიონი რუბლი), „ლიკა-მ"-ის (560 მილიონი რუბლი) და სხვათათვის, კვების პროდუქტების შემოტანის განაცხადებით. მაგრამ ამ თანხების უდიდესი ნაწილი (ზოგჯერ მთლიანადაც) არამიზნობრივად არის გამოყენებული ან მითვისებული.

„ოპიზარმა", იმ მოტივით, რომ მისგან კრედიტის მიმღები ფირმები აჭიანურებდნენ ვალის დაბრუნებას (ბანკის ხელმძღვანელობა არავითარ ქმედით ზომებს არ ახორციელებდა კრედიტების გამტანი ფირმების მიმართ) რამდენჯერმე მიმართა წერილით ეროვნულ ბანკს კრედიტის დაფარვის გადავადებაზე. მისი ეს მოთხოვნა დ. დვალიშვილის განკარგულებით დაკმაყოფილდა და ვადა გადაწეული იქნა 1993 წლის ბოლომდე. მიუხედავად ამისა, „ოპიზარმა" სახელმწიფოსაგან მიღებული სესხი — 3,4 მილიარდი რუბლი დაგვიანებით, „დაუფარა" ეროვნულ ბანკს კუპონებით, შესაბამისი კურსით 1:1-ზე.

ე. ი. ბანკ „ოპიზარის" მიერ რუბლებით აღებული კრედიტები (შეფარდებით — 5294486 დოლარი) დაფარულ იქნა 1993 წლის ბოლოსა და 1994 წლის თებერვალში, სულ 29805 დოლარის ოდენობით. ამდენად, გამოიყენეს რა კუპონების გაუფასურება, სახელმწიფოს დაუბრუნეს 5270681 დოლარით ნაკლები.

1994 წლის 25 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა აღძრა საქმე (№7494257) კომერციულ ბანკ „ოპიზარისა" და მის მომსახურებაში მყოფი ფირმების მუშაკთა მიმართ.

1994 წლის 6 დეკემბერს „თუბალისა" და „ოპიზარის" საგამოძიებო საქმეები გაერთიანდა და გამოძიება გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატმა გააგრძელა.

●

დაკითხვაზე დ. დვალიშვილის გამოძახება 9 სექტემბრამდე არ მოხერხდა — გაირკვა, რომ იგი თბილისში არ იმყოფებოდა. როგორც კი ეკონომიკურ დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის მე-4 განყოფილების უფროსმა ვლადიმერ ბაკურაძემ მისი დაბრუნება შეიტყო, 9 სექტემბერს, დილით, ტელეფონით დაურეკა და შინაგან საქმეთა სამინისტროში მოსვლა სთხოვა. მანქანა არ მყავს და ეგებ თქვენ თვითონ წამიყვანოთო, უპასუხა. ვ. ბაკურაძემ დაახლოებით 11 საათზე მიაკითხა ავტომანქანით. სამინისტროს შესასვლელთან მათ ბატონ დემურის სიძის ძმა, ამავე სამინისტროს მუშაკი ალექსანდრე აბუაშვილი შემოხვდათ. საუბრით ერთად ავიდნენ მე-4 სართულზე, საგამოძიებო დეპარტამენტში, მაგრამ დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გ. ქარჩაშაძე თანამშრომლებთან თათბირს ატარებდა და ვ. ბაკურაძემ დ. დვალიშვილი თავის სამუშაო ოთახში წაიყვანა, სხვა დერეფანში. აქ მას ა. აბუაშვილმა მიაკითხა, ძმის სიმამრს ჰკითხა, რამეში ხომ არ გჭირდებითო. არაო, უპასუხა. ვ. ბაკურაძემ კი დაამედა, სახლში მევე დავაბრუნებო.

ვ. ბაკურაძემ გ. ქარჩაშაძეს შიგა ტელეფონით შეატყობინა დავალების შესრულება, შემდეგ კი ბატონი დემური მასთან მიაცილა.

ასე წვრილად იმიტომ ვყვები, რომ გამოძიებას იმის დადგენაც მოუხდა, დ. დვალიშვილი დაკითხვაზე იძულებით, „ბადრაგით" ხომ არ იყო მიყვანილი.

საგამოძიებო დეპარტამენტში გ. ქარჩაშაძე დ. დვალიშვილს ზოგადად გაესაუბრა (ასე ვთქვათ, აქეთურზე-იქითურზე), შემდეგ კი საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილეს რ. შარაშენიძეს გამოუძახა და სტუმარი წარუდგინა.

რ. შარაშენიძემ იგი თავის სამუშაო ოთახში გაიყვანა. საუბრისას გაირკვა, რომ მოწმეს კრედიტების გაცემის საკითხებზე ზუსტი პასუხის გაცემა არ შეეძლო მისი ყოფილი მდივნის რუსუდან გარდაფხაძის ჩანაწერების ჟურნალის გარეშე და მასთან დარეკვის უფლება ითხოვა.

რუსუდან გარდაფხაძე საგამოძიებო დეპარტამენტში დაახლოებით 14 საათზე მოვიდა და ჩანაწერების 78-გვერდიანი ჟურნალი მოიტანა. ეს ჟურნალი შემდეგ რაღაც ლეგენდარული იდუმალებით მოიბურა საზოგადოებრიობის თვალში. ბარემ აქვე ვიტყვი: ეს არის მდივნის ჩვეულებრივი ჩანაწერები, თუ ვინ როდის იყო ბანკის პრეზიდენტთან მიღებაზე. თ. ჟორჟოლიანის გარდა, მასში უხვად არის წარმოდგენილი დღეს ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა გვარები, რაზეც ახლა ცალკე შემოწმება მიმდინარეობს. ამრიგად, იგი გამოძიებისთვის კარგი გზამკვლევია. ამას გვიან მიხვდა დ. დვალიშვილი, ამიტომაც დაჟინებით ითხოვდა მის დაბრუნებას.

რ. შარაშენიძის კაბინეტში ყოფილი მდივანი თავის ყოფილ უფროსს შეხვდა, ესაუბრა კიდეც. შემდეგ რ. გარდაფხაძე განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა მამუკა შონიამ გაიყვანა დასაკითხად. დაკითხვა 15 საათსა და 50 წუთზე დამთავრდა. რ. გარდაფხაძემ ჩვენებით დაადასტურა, რომ თ. ჟორჟოლიანი დადიოდა მიღებაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან. ეს დადასტურდა მიღებაზე მყოფ პირთა ჩანაწერების ჟურნალითაც. გამომძიებელმა რ. გარდაფხაძეს შავი ჩანაწერების ჟურნალი ჩამოართვა და შინ გაუშვა. შემდეგ დ. დვალიშვილი მიიწვია თავის ოთახში.

ერთხანს საქართველოში შექმნილ საერთო მდგომარეობაზე ისაუბრეს, შემდეგ კი გამომძიებელი ჩვენების ჩამორთმევას შეუდგა. დაკითხვა დაიწყო 17 საათზე და დამთავრდა 18 საათსა და 05 წუთზე (ასეა ფიქსირებული ოქმში).

აქაც მოხდა თხრობის გაჭიანურება, მაგრამ ესეც მკითხველისთვის იმის წარმოსაჩენად, რომ დვალიშვილი არ „უწამებიათ 7-საათიანი განუწყვეტელი დაკითხვით", როგორც ზოგიერთი ლაპარაკობდა მაშინ.

ბატონმა დემურმა ჩვენება თავისი ხელით დაწერა. აი, ისიც:

საქმის ირგვლივ დასმულ კითხვებზე მოგახსენებთ შემდეგს. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტად ვმუშაობდი 1992 წლის ნოემბრის ბოლოდან 1993 წლის 11 ოქტომბრამდე. ჩემი ეროვნულ ბანკში მუშაობის პერიოდში გამოიყოფოდა საკრედიტო რესურსები ძირითადად რესპუბლიკაში სხვა ქვეყნებიდან მოსახლეობისათვის აუცილებელი პროდუქტებისა და სხვა საქონლის შემოსატანად. კრედიტების გამოსაყოფად ეროვნულ ბანკში შემოდიოდა წერილობითი თხოვნები ზემდგომი ორგანოებიდან, ბანკებიდან და საწარმოებიდან. ჩემს მიერ ხდებოდა ამ მომართვების განხილვა (საკრედიტო რესურსების გამოსაყოფად საჭირო პროექტები, დასაბუთებები, გაანგარიშებები) და გადაეცემოდა სათანადო რეზოლუციით ვიცე-პრეზიდენტს ან სამმართველოს. სამმართველოს ხელმძღვანელობა განიხილავდა პრეზიდენტის რეზოლუციის შესაბამისად მასალებს და კრედიტის მთხოვნელი ბანკის ხელმძღვანელობის მონაწილეობით ფორმდებოდა ხელშეკრულება კრედიტის გამოყოფის თაობაზე, სადაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო, და ფაქტობრივადაც ასე ხდებოდა, კრედიტის გაცემის პირობები. როგორც მახსოვს, 1993 წელს ბანკ „ოპიზარზე" ეროვნული ბანკიდან გაცემული იქნა კრედიტები სასურსათო პროდუქტების შესაძენად. ბანკ „ოპიზარზე" გაცემულ კრედიტებთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ჩემი მუშაობის პერიოდში ეროვნულ ბანკში ჩემს სამუშაო ოთახში რამდენიმეჯერ იყო ბატონი თემურ ჟორჟოლიანი, ბოლოს ჩემთან მოსვლისას მან დააყენა საკითხი ბანკ „ოპიზარისათვის" გაცემული კრედიტის განვადების შესახებ, რაც სათანადო განხილვის შემდეგ, დაკმაყოფილებულ იქნა. მე წარმომედგინა ბანკ „ოპიზარის" 1993 წლის 13 თებერვლის № 02 წერილი, რომლითაც იგი ეროვნული ბანკისაგან ითხოვდა 2 მილიარდ 400 მილიონი მანეთის კრედიტის გამოყოფას. ასევე წარმომედგინა ბანკ „ოპიზარის" 1993 წლის 24 სექტემბრის № 43/01 წერილი, რომლითაც იგი ითხოვდა ადრე მიღებული სესხის (2,4 მილიარდი მანეთი) სარგებლობის ვადის გაგრძელებას. ამ წერილების ირგვლივ გიპასუხებთ, რომ ორივე წერილზე ჩემი რეზოლუციებია: აღნიშნული თანხა გაცემულ იქნა კომბანკ „ოპიზარზე" 1993 წლის 25 მარტს, ხოლო 1993 წლის 24 სექტემბერს გაცემული სესხის სარგებლობის ვადის გაგრძელებაზე შუამდგომლობით მოვიდა კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის თავმჯდომარე თემურ ჟორჟოლიანი. თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა ჩემს მიერ. მე წარმომედგინა კომერციულ ბანკ „ოპიზარის" 1993 წლის 11 მარტის № 21/01 და 12 მაისის (1993 წ) № 91/06 წერილი 1993 წლის 15 თებერვლისათვის ეროვნული ბანკიდან კომბანკ „ოპიზარისათვის" გამოყოფილი კრედიტის —1 მილიარდი მანეთის ოდენობით, სარგებლობის ვადის გაგრძელების შესახებ და გიპასუხებთ, რომ ორივე წერილზე ჩემი რეზოლუციაა და ბანკის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კრედიტი ერთი მილიარდი მანეთის ოდენობით გაცემულ იქნა კომბანკ „ოპიზარზე" ჩემი რეზოლუციით სასურსათო პროდუქტების შემოსატანად რესპუბლიკაში.

კითხვა: თქვენ აჩვენეთ, რომ ბანკ „ოპიზარზე" გაცემულ კრედიტებთან დაკავშირებით თქვენთან რამდენჯერმე იყო მოსული კონსტიტუციურ-მონარქისტული პარტიის თავმჯდომარე თ. ჟორჟოლიანი. რა თხოვნით ან რა მიზნით იყო მოსული იგი თქვენთან?

პასუხი: კითხვა ჩემთვის გასაგებია და გიპასუხებთ, რომ თ. ჟორჟოლიანმა ჩემთან საუბრისას დააყენა საკითხი ბანკ „ოპიზარისათვის" კრედიტის გამოყოფის თაობაზე და ეს თანხები გამოყენებული იქნებოდა საქართველოში აუცილებელი სასურსათო პროდუქტების შემოსაზიდად. თუ როგორ იქნა გამოყენებული ეს თანხები, ჩემთვის უცნობია, როგორ დაიფარა გამოყოფილი კრედიტი, არ ვიცი.

ჩვენება დაწერილია ჩემი ხელით. დვალიშვილი.

ჩვენების ჩამორთმევისას დ. დვალიშვილმა რამდენჯერმე ჰკითხა გამომძიებელს, რა ბედი ეწევა ჩემი მდივნის მიერ წარმოდგენილ ჩანაწერების ჟურნალსო. უპასუხეს, ჟურნალში არსებული ჩანაწერების შესწავლამდე მისი დაბრუნების უფლება არ გვაქვსო. შემდეგ დაემშვიდობა გამომძიებელს და გარეთ გავიდა.

მაგრამ იგი შინ არ წასულა. ერთხანს დერეფანში იდგა, მერე სკამზე ჩამოჯდა. ამ დროს რ. შარაშენიძემ ჩაიარა და ახლა მას სთხოვა, ჩანაწერების ჟურნალი დამიბრუნეთო. კვლავ უარი მიიღო. შემდეგ დერეფანში შემოსული, დასაკითხად გამოძახებული კომერციული ბანკის „ინოვაციის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და ასოციაცია „ერქვანის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე კობა ჯიბლაშვილი მიესალმა (ცნობისთვის: ამ დაკითხვის შემდეგ კ. ჯიბლაშვილი პირდაპირ გამომძიებლის ოთახში დააპატიმრეს). კაბინეტებში რ. შარაშენიძისა და კ. ჯიბლაშვილის შესვლის შემდეგ რამდენიმე წამში სროლა გაისმა (მ. შონია: „შემოვიდა სამმართველოს უფროსის მოადგილე რ. შარაშენიძე და მითხრა, რომ დ. დვალიშვილი ითხოვდა შავი ჩანაწერების ჟურნალის დაბრუნებას. ამ დროს გარედან მოგვესმა სროლის ხმა"; კ. ჯიბლაშვილი: „...მივესალმე დ. დვალიშვილს, რომელიც იდგა № 425 ოთახის მახლობლად და იყო უხასიათოდ, როცა გამომძიებელთან შევედი, მაშინვე მომესმა სროლის ხმა").

მაგრამ ამ საბედისწერო წამებშიც იგი მარტო არ ყოფილა დერეფანში. ცოტა მოშორებით მისკენ ზურგით იდგა საგამოძიებო სამმართველოს მუშაკი ნიკოლოზ კალანდაძე, რომელიც თანამშრომელს ელოდებოდა სახლში ერთად წასასვლელად. როცა სროლის ხმაზე მიიხედა, თვალი შეასწრო როგორ ეცემოდა დვალიშვილი.

დავით მაღლაფერიძემ კი თავისი კაბინეტის ღია კარიდან დაინახა, როგორ ამოიღო დერეფანში მოსიარულე დ. დვალიშვილმა „წელის არედან პისტოლეტი, სწრაფად მიიდო მარჯვენა საფეთქელთან და ისროლა. სროლის შედეგად გადაიხარა და გულაღმა წაიქცა დერეფანში".

გამომძიებელს მოუხდა უტყუარად დაემტკიცებინა, რომ სროლის დროს უშუალოდ დ. დვალიშვილის გვერდით არავინ იმყოფებოდა.

სულთმობრძავი დ. დვალიშვილი სასწრაფო დახმარების მანქანით გადაიყვანეს თბილისის პირველ საავადმყოფოში, სადაც იგი გარდაიცვალა.

როგორც ვთქვი, ჭორი უმალ აგორდა, ზოგიერთი მათგანი პრესაშიც კი გახმიანდა. „შინაგან საქმეთა სამინისტროში სასწრაფო დახმარების ექიმის შესვლას აფერხებდნენო", „ერთი გამოცდილი ექსპერტი ირწმუნება, გვამს თვითმკვლელობის ნიშანწყალიც არ ეტყობოდაო", „დვალიშვილმა თავი „მაკაროვით" მოიკლა, მისი სხეულიდან კი „ტტ" სისტემის პისტოლეტის ტყვია ამოიღესო", „ექსპერტებს გვამს გაკვეთაში ხელს უშლიდნენო"...

ჭორი ჭორია, მაგრამ გამომძიებელმა თენგიზ კვარაცხელიამ მაინც საგულდაგულოდ შეამოწმა ყველა მათგანი.

სასწრაფო დახმარების სადგურის ექიმი ზოია კვანტრიშვილი: „ჩემთვის შინაგან საქმეთა სამინისტროში ხელი არავის შეუშლია. პირიქით, დახმარება გამიწიეს დვალიშვილის გადაყვანის ორგანიზაციაში". (გვ. 198).

ნეიროქირურგი გიორგი გოგიტაშვილი (დ. დვალიშვილის ახლობელი, რომელიც გაკვეთას ესწრებოდა): „ექსპერტ-ექიმის ვ. მაღრაძისათვის გვამის გამოკვლევისას ხელი არავის შეუშლია, არც ვისგან გამიგონია, რომ ეთქვას, ხელს მიშლიდნენო" (გვ. 127).

ნივთმტკიცებად წარმოდგენილია „მაკაროვის" პისტოლეტი №გუ 2332 და გასროლილი ტყვიის გული. სხვათა შორის, ტყვია სხეულში არ ჩარჩენილა, თავის ქალაში გამჭოლად გაიარა და შემთხვევის ადგილზე მიაკვლიეს. ექსპერტმა დაადასტურა, რომ სასიკვდილო დაზიანება სწორედ მან მიაყენა დ. დვალიშვილს და იგი სწორედ ამ პისტოლეტიდან იყო გასროლილი.

ყველაზე რთული აღმოჩნდა პასუხი კითხვაზე: დ. დვალიშვილისა იყო თუ არა „მაკაროვი" № გუ 2332, რომლითაც მოხდა გასროლა?

მართლაც, საიდან გაჩნდა ეს პისტოლეტი? იგი ოფიციალურად არ ჰქონია მიცემული დ. დვალიშვილს (ტაბელური „მაკაროვი" № ზა 1690, რომელიც ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის დროს მისცეს მას, სამუშაოდან გათავისუფლების შემდეგ ჩააბარა), რეგისტრირებული არ არის შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ სამმართველოსა და შეიარაღების სამსახურში, ეროვნულ გვარდიაში, თავდაცვის სამინისტროში, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფში...

და მაინც დ. დვალიშვილის ტანსაცმლისა და პისტოლეტის მიკრონაწილაკების ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ მას საგამოძიებო დეპარტამენტში დაკითხვაზე ყოფნისას ჰქონდა „მაკაროვის" სისტემის № გუ 2332 აღურიცხავი პისტოლეტი.

როგორ შეიტანა იგი დაკითხვაზე გამოძახებულმა კაცმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში? აქ პოლიციის მუშაკები უხერხულად იჩეჩავენ მხრებს, ვინ იფიქრებდა იარაღი თუ ექნებოდაო, მოწმედ გამოძახებული კაცის გაჩხრეკა კი გულშიც არ გაგვივლია, მით უფრო, რომ შენობაში ორი ოფიცრის თანხლებით შემოვიდაო

●

იმ დღეს თითქოს არაფერი მიანიშნებდა ასეთ ტრაგიკულ დასასრულზე. ტრაგედია მაინც მოხდა: პირველივე დაკითხვის შემდეგ.

ახლა ძნელია დაზუსტებით ითქვას, რამ უბიძგა დემურ დვალიშვილს ამ საბედისწერო ნაბიჯისაკენ. მხოლოდ ვარაუდი შეიძლება. ასეთი ვარაუდი გამოთქვა კიდეც გამომძიებელმა თ. კვარაცხელიამ № 7494854 საქმესთან დაკავშირებით გამოტანილ დადგენილებაში: დ. **დვალიშვილმა თავი მოიკლა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტად მუშაობის პერიოდში მის მიერ კომერციულ ბანკ „ოპიზარისათვის" დიდი ოდენობით გაცემული კრედიტებით სარგებლობის ვადის უსაფუძვლოდ გაგრძელების, აგრეთვე მის დაფარვამდე ზემოხსენებული ბანკისათვის ახალი კრედიტის დიდი ოდენობით გაცემისათვის მოსალოდნელი მხილების გამო.**

ამ გაცემისა თუ გადავადების კანონიერება არცთუ უსაფუძვლო ეჭვს ბადებდა და ბატონ დემურს, ადრე თუ გვიან, მოუხდებოდა პასუხი გაეცა, ვინ და რამ აიძულა მას გაკეთება (ამ კითხვაზე, ალბათ, პასუხი ბოლოს მაინც გაიცემა იმ სისხლის სამართლის საქმით, რომელსაც პროკურატურა იძიებს კომერციულ ბანკ „ოპიზარისა" და სხვა ფირმების მიმართ). რაკი მდივნის წარმოდგენილი ჟურნალი არ დაუბრუნეს, დ. დვალიშვილი მიხვდა, რომ მოუწევდა განმარტების მიცემა მასში ჩაწერილ სხვა პირთა შესახებაც, ასეთნი კი, როგორც ვთქვით, ცოტანი როდი არიან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მისი ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის პერიოდის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა კარგა ხანია მწვავე საპარლამენტო დებატების საგანი (მავანთათვის კი პოლიტიკური დივიდენდების დაგროვების წყარო) იყო და დ. დვალიშვილს ნერვები ისედაც უკიდურესად დაჭიმული ჰქონდა.

თავი მოიკლა. მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შიშით? აფექტის გამო და არა დინჯი განსჯის შედეგად? ვინ იცის! მართლაც ჩაუწვდომელი და ამოუცნობია ადამიანის ბუნება. მყისიერი გაელვება აზრისა, მოუზომელ და გამოუსწორებელ ნაბიჯს გადაგვადგმევინებს. მკვდარზე ან კარგი, ან არაფერიო, ლათინები ამბობდნენ. მე კი ვიტყვი: დემურ დვალიშვილი მართლა პატიოსანი კაცი იყო.

დაბოლოს: თქმა არ უნდა, რომ სახიფათო მოწმის სიკვდილით ბევრმა ამოისუნთქა შვებით. მაგრამ დიდი ხნით?!..

ალეკო ასლანიშვილი.

რედაქციისაგან: რათა მკითხველს შთაბეჭდილება არ შეექმნას, თითქოს ამ პუბლიკაციით დარღვეულია უდანაშაულობის პრეზუმფცია, განვმარტავთ, რომ წინასწარი გამოძიების მონაცემები კომერციულ ბანკ „ოპიზარისა" და მის მომსახურებაში მყოფი ფირმების საფინანსო საქმიანობის შესახებ იბეჭდება საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით.

***ავტორი და რედაქცია ბოდიშს უხდიან ბატონ დემურ დვალიშვილის ოჯახის წევრებს იმ ტკივილისათვის, რომელიც ამ პუბლიკაციამ შეიძლება მიაყენოს მათ.**

ცხოვრება კაცისა

ჩვენმა თანამემამულემ 55 წლის წინათ დაკარგული მოქალაქეობა დაიბრუნა

(დასასრული)

ლობლად ვალგრანდეს მთებში გადმოიყვანეს, სადაც იგი (ბატალიონი) „ვალგრანდე მარტირეს" სახელით ომის დამთავრებამდე მამაცურად იბრძოდა.

1944 წლის ივნისში, პარტიზანთა გამუდმებული თავდასხმებით და დივერსიებით შეწუხებულმა გერმანელებმა მთელი ჩრდილო იტალიის, მათ შორის ლაგო მაჯორის მიდამოების, სერიოზული, ხანგრძლივი წმენდა და ჩხრეკა დაიწყეს. მაშინ ამ სასტიკ ოპერაციას მრავალი პატრიოტი, მათ შორის ბევრი ქართველიც შეეწირა. მტრის ტყვიას ვერც ლავრენტი გადაურჩა. თანამებრძოლებმა იგი, მკერდში მძიმედ დაჭრილი, სოფელ ჩიკონიასთან განლაგებულ საველე ლაზარეთში დატოვეს. აქ მეთაურის, ქირურგის, ექთნისა და მზარეულის მოვალეობასაც კი, ერთი ქალიშვილი, წითელი ჯვრის მედდა მარია პერონი ასრულებდა. სწორედ მარიას მზრუნველობამ და ოქროს ხელებმა დაუბრუნეს ლავრენტის სიცოცხლე.

ამასობაში პარტიზანთა ირგვლივ ატმოსფერო სულ უფრო მძაფრდებოდა. გერმანელთა რკალი ჩიკონიასაც უახლოვდებოდა. სამი ათეული დაჭრილი, უძლური ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. მაშინ, პარტიზანთა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა საშიშროების ზონიდან ლაზარეთის განრიდება. ასეთ უსაფრთხო ადგილად კი ვალგრანდეს ერთ-ერთი მაღალი მთის ფერდობზე, თითქმის ყველასათვის უცნობი და ძნელად მისადგომი გამოქვაბული მიიჩნიეს. ორი-სამი ღამის უძილო, დამქანცველი შრომის შემდეგ, საკაცით თუ ხელით, პარტიზანებმა შესძლეს ყველა დაჭრილის გამოქვაბულში გადაყვანა.

მალე პარტიზანები თავიანთ გზას გაუდგნენ, ხოლო 32 დაჭრილი, უმწეო მამაკაცი, მიუვალ გამოქვაბულში ერთი ახალგაზრდა ქალის იმედად და ამარად დარჩა!

აბა, რას წარმოიდგენდნენ მაშინ, რომ მათ, გარესამყაროს მოწყვეტილთ, გამოქვაბულში გამომწყვდეულთ, მთელი ზაფხული მარტოობაში ეწერათ დარჩენა!

თუმცა, პირველი რამდენიმე დღე კავშირები კიდევ არსებობდა, ცოტა პროდუქტებიც და წამლებიც მოიმარაგეს, მაგრამ შემდეგ, ფაშისტთა გამძვინვარებული რეპრესიების გამო, გზები მთლიანად ჩაიკეტა, გარე სამყაროსთან ყველა კავშირი გაწყდა....

და აი, სწორედ მაშინ გამოჩნდა მარიას დიდი ქალობა, ჭეშმარიტი გმირობა. ახლა ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რა პირობებში უხდებოდა ამ უშიშარ, სიკეთითა და სათნოებით სავსე ქალს, მარტოდმარტოს, უმძიმესი ოპერაციების გაკეთება, დაჭრილთა მკურნალობა, მათი გამოკვება, თითოეულ მათგანში იმედისა და რწმენის შთანერგვა....

შემდეგ ამ თემაზე ბევრი დაიწერა. მარიას სახელი და თავდადება მთელმა იტალიამ გაიგო, ლეგენდად იქცა.

გეტყვით მოკლედ: ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა. მარიამ შეძლო შეუძლებელი. ძირითადში ყველა მისი პაციენტი განიკურნა. ბევრი კვლავ ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. გამოჯანმრთელების შემდეგ ლავრენტი ერთ ხანს, როგორც თანაშემწე, ეხმარებოდა ლაზარეთის უფროსს. შემდეგ ბატალიონს დაუბრუნდა და ფაშისტებისაგან იტალიის განთავისუფლების ბოლო დღემდე პირნათლად იხდიდა თავის პატრიოტულ ვალს. თუმცა, როგორც კი თავისუფალ დროს იხელთებდა, ჩიკონიაში, საველე ლაზარეთში ამოყოფდა ხოლმე თავს...

პოპულარული იტალიური გაზეთის „ლა სტამპას" 1975 წლის 7 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა საკმაოდ ვრცელი სტატია „მათ ერთმანეთი პარტიზანული ომის დროს გაიცნეს" („რუსი ჯარისკაცისა და წითელი ჯვრის მედდის ქორწინების 30 წლისთავი"), სადაც მარია პერონი იგონებს: „... და აი, როგორც იქნა დადგა ბარად ჩამოსვლის ნანატრი დროც. 25 აპრილიდან (გამარჯვების დღე იტალიაში, ვ. ე.) რამდენიმე დღის შემდეგ, ვილა კვერჩა დი პალანცაში ლავრენტი სერიოზულად მიცხადებს — დიდი სურვილი მაქვს შენი ცოლად შერთვისა და თუ ამაზე დათანხმდები, იტალიაში დავრჩებიო. გამიკვირდა: ჩვენ ხომ განსხვავებული ზნე-ჩვეულებისა და რწმენის (მარია კათოლიკე იყო, ლავრენტი — მართლმადიდებელი, — ვ. ე.) ადამიანები ვიყავით. მაგრამ ყველაფერი დავძლიეთ და 5 აგვისტოს დონ ანტონიო ფიორამ ჩიკონიას პატარა ეკლესიაში ჯვარი დაგვწერა".

როდესაც ამ სიტყვებს ამბობდა, ქალბატონი მარია უკვე მძიმე, განუკურნებელი სენით იყო შეპყრობილი. ექიმებისა და მეგობრების რჩევით მან რომში, ბიოფიზიკის ევროპულ ცენტრში ხანგრძლივი მკურნალობის კურსი გაიარა. იქიდან გახალისებული დაბრუნდა. „ტკივილები მომიხსნეს, ავადმყოფობა მომაშორეს და 30 წელი მომაკლეს, — უთქვამს იგი იმავე გაზეთის კორესპონდენტს, — ისევ დავდივარ, ვმოძრაობ, შემიძლია დავბრუნდე ჩემს მთებში. კვირას წავალ ჩიკონიაში და ვილოცებ იმ ეკლესიაში, სადაც 30 წლის წინათ ჯვარი დავიწერეთ".

ჩიკონიაში კი მართლაც წავიდა, მაგრამ ამის შემდეგ ქალბატონ მარიას დიდხანს არ უცოცხლია, ორიოდე წლის შემდეგ გარდაიცვალა.

მაშინ ჩრდილო იტალიაში ამბობდნენ, პალმირო ტოლიატის გარდაცვალების შემდეგ, იტალიას არ ახსოვს მსგავსი პატივით ვინმე გაესვენებინოთო. მხოლოდ მეათე დღეს დაასაფლავეს მიცვალებული — ამ დროისათვის მარიას მიერ გადარჩენილი ადამიანები მსოფლიოს ყველა კუთხეში იყვნენ მიმოფანტული — ავსტრალიაში, არგენტინაში, ბრაზილიაში, ამერიკაში... ყველამ ისურვა ჩამოსვლა და უკანასკნელი პატივის მიგება მათი მხსნელი და მფარველი ქალისათვის, რომელიც მათ თვალში თითქმის წმინდანის რანგში იყო აყვანილი. იტალიის პრეზიდენტი სანდრო პერტინი, წარსულში თვითონაც სახელგანთქმული პარტიზანი, საგანგებოდ ჩამოვიდა რომიდან ქართველების საამაყო რძლის უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად...

• • •

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ბატონი ლავრენტი ახლა 76 წლისაა. აღარ მუშაობს, პენსიაზეა. კვლავ ვერბანია-ინტრაში ცხოვრობს. მარტო ამ ქალაქში კი არა, მთელი ნოვარის უზარმაზარ პროვინციაში დაფასებული კაცია. მეგობრები და მეზობლები თავს ევლებიან. ყველა ზეიმის თუ შეკრების აქტიური მონაწილე და სასურველი სტუმარია. და მაინც, მარიას დაკარგვის შემდეგ შესამჩნევად შეიცვალა, მართალია, შვილები დაიზარდნენ, მაგრამ ლორენცო ოჯახით მილანში დასახლდა, ჯულია საცხოვრებლად პალანცაში გადავიდა. არც ერთი შორს და არც მეორე, მაგრამ სახლში მაინც სიცარიელემ დაისადგურა. მოსაღამოვდება თუ არა და საკუთარ თავთან მარტო დარჩება, ფიქრები აეშლება, მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრება, მრავალსერიიანი ფილმივით, თვალწინ ჩაუვლის. აგონდება ბავშვობის წლები, რაჭის დიდებული მთები, გამრჯე, მოსიყვარულე დედ-მამა, მშობლიური კერა, სადაც სიამტკბილობით 7 და-ძმა აღიზარდა.

სოფელში დიდხანს არაფერი იცოდნენ მის შესახებ, ყველას დაღუპული ეგონა. კიდევ კარგი მამა, ვარდენი დამშვიდებული ჩავიდა საფლავში — სიკვდილამდე ორიოდე წლით ადრე, შვილიც იხილა საღ-სალამათი, რძალიც გაიცნო და შვილიშვილებიც. ეს იყო 1967 წელს, როცა ლავრენტი თავისი ოჯახით პირველად ჩამოვიდა საქართველოში.

ბოლო წლებამდე, როცა ნოსტალგია მოეძალებოდა ხოლმე, ადგებოდა და ერთი ან ორი თვით სამშობლოში გამოემგზავრებოდა. გულს იჯერებდა ბავშვობის მეგობრებთან შეხვედრით, ძმის, დების, უამრავი ნათესავ-მოყვრის მონახულებით, უახლოეს ადამიანთა საფლავების მოკითხვით... შემდეგ, როცა ეროვნულმა მოძრაობამ იმძლავრა და საქართველომ დიდი ხნის ნანატრი დამოუკიდებლობა მიიღო, სიხარულით ცას ეწია, მალე თავისუფალ სამშობლოს ეწვევა. ცოტათი კი შეწუხდა, როცა სალამოთი ქუჩაში გავლა არ ურჩიეს და რაჭაშიც გაუჭირდა წასვლა, მაგრამ არაფრად მიიჩნია — მალე ყველაფერი დაწყნარდება და ჩემს ხალხს ბედნიერი ცხოვრება დაუდგებაო.

როცა ერთი წლის შემდეგ საქართველოში კვლავ მოუნდა ჩამოსვლა და ვიზის მისაღებად ძველებურად მილანში რუსეთის გენერალურ საკონსულოს (რომელიც ადრე პასპორტითაც უზრუნველყოფდა ლავრენტის) მიადგა, უარით გამოისტუმრეს — დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეებს აღარ ვემსახურებითო. ახლაღა გაახსენდა ბატონ ლავრენტის, რომ იგი არც იტალიის მოქალაქეა და აღარც დამოუკიდებელი საქართველოსი. ამასობაში ძველ პასპორტსაც ვადა გასვლოდა და ასე და ამგვარად ჩვენი ნარკვევის გმირი სამშობლოსაკენ გზამოჭრილი, ჰაერში გამოკიდული აღმოჩნდა.

არადა, როგორ უნდოდა ჩამოსვლა, დების — თამარისა და ნინოს მონატრებაზე რომ არაფერი ვთქვათ, უმცროსი ძმა — ირაკლი, ერთი წლის წინათ ქუთაისში რომ გარდაიცვალა, დაუტირებელი დარჩა. უპასპორტოდ ან ვადაგასული პასპორტით საზღვარზე ვინ გაატარებდა.

ყველაფერი ეს შარშან ზაფხულში, ჩემი მეგობრის, ცნობილი იტალიელი პარტიზანისა და მხატვრის ანჯელო დელ ვევერის ოჯახში შეხვედრისას მიამბო. კაცი ტიროდა ლამის: — ვფიქრობდი, ამ სიბერეში წელიწადში ერთხელ მაინც მოვინახულებ ჩემს სამშობლოს, მაგრამ ამაოდ — იტალიიდან რომ გავიდე, პასპორტია საჭირო. პასპორტი რომ მივიღო, რომელიმე ქვეყნის მოქალაქე უნდა ვიყო, იტალიის მოქალაქეობა აქამდე არ მიმიღია, ახლა სირცხვილიც კია ამ საკითხის დაყენება, საქართველოს მოქალაქეობისათვის კი იქ წასვლაა საჭირო, ისიც არ ვიცი, მომცემენ თუ არა. რაღაც მოჯადოებული წრეა, პირდაპირ...

ვეცადე დამემშვიდებინა. წამოვიღე მისი ვადაგასული საბჭოთა პასპორტი და განცხადება. შევპირდი დახმარებას. არაფერი გამოვიდა. მითხრეს, ეს პასპორტი საერთოდ ხმარებიდან გამოდის, ახალი ქართული პასპორტის მისაღებად კი საქართველოს მოქალაქეობაა საჭიროო.

დახმარებისათვის მივმართე იუსტიციის სამინისტროს. მოქალაქეობის საკითხი სწორედ აქ მზადდება და იხილება. მინისტრი, ბატონი თედო ნინიძე, შესაბამისი სამმართველოს უფროსი, ახალგაზრდა კაცი არჩილ ლორია გულისყურით მოეკიდნენ თხოვნას, მაგრამ მოქმედი კანონმდებლობა უამრავ ბარიერებს ქმნის. ბოლოს ჩამაწერინეს რაც იყო საჭირო, პირველ რიგში — რამდენიმე აუცილებელი ცნობა და საბუთი იტალიიდან.

წლეულს თებერვალში, იტალიაში ყოფნისას კვლავ შევხვდი ბატონ ლავრენტის, მან და მისმა ქალიშვილმა ერთ კვირაში ყველა საბუთი მომიმზადეს, მათ შორის იტალიის პარტიზანთა ეროვნული ასოციაციის შუამდგომლობა ჩვენი სახელმწიფოს მეთაურთან, იტალიის პრეზიდენტის სანდრო პერტინის ხელმოწერილი საპატიო დიპლომი, რომლითაც ჩვენი თანამემამულე ფაშიზმისაგან იტალიის განთავისუფლებაში შეტანილი წვლილისათვის დააჯილდოვეს და რაც ასევე მნიშვნელოვანია, ნოტარიუსით დამოწმებული, ჩემს სახელზე გაცემული საგანგებო მინდობილობა, — რომ მაქვს რწმუნება ვიმოქმედო ლავრენტი ჯაფარიძის სახელით...

სამიოდე კვირის წინათ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა ეს საკითხი და ერთსულოვნად მიანიჭა ბატონ ლავრენტის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა. დღეს კი, როგორც ხედავთ, პრესაში გამოქვეყნდა სახელმწიფოს მეთაურის შესაბამისი ბრძანებულება.

55 წლის წინათ ბედისა და ქვეყნის უკუღმართობით დაკარგული მოქალაქეობა, როგორც იქნა, კანონიერ პატრონს დაუბრუნდა!

გილოცავ, ბატონო ლავრენტი, ამ ბედნიერ დღეს! გილოცავ, რომ ეს დღე ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავს დაემთხვა.

ერთია მხოლოდ — ჩვენი კანონმდებლობით მოქალაქეობის მიღებისას ფიცის დადებაა საჭირო, მაგრამ დიდ ცოდვად არ უნდა ჩაითვალოს, თუ ბატონი ლავრენტი ფიცის სიტყვებს საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ წარმოსთქვამს.

ვახტანგ ეშანჯია,

ჟურნალისტი, საზოგადოება „საქართველო-იტალიის" პრეზიდენტი.

• • •

სურათზე: პარტიზანები (მარცხნიდან) — ლავრენტი ჯაფარიძე, მარია პერონი, ზაქრო მაისურაძე. 1945 წლის მაისი.

„გრეკო" სახელმწიფო კონტროლის მომხრეა

აი, უკვე წელიწადია, რაც თბილისში მოქმედებს საქართველოში უდიდესი და თანამედროვე ქართულ-ამერიკული ერთობლივი საწარმოს ბენზინგასამართი „გრეკო". მაგრამ ისიც კი, რომელსაც ოკეანისგაღმელი პარტნიორი ჰყავს ფრენკ გრენკის — აღმოსავლეთის საგრაფოთა კალიფორნიის ნავთობის კომპანიის პრეზიდენტის სახით, ამ დროის განმავლობაში, პრაქტიკულად, ვერა და ვერ ჩაება კონკურენციაში და ვერ ახდენს ზეგავლენას ბენზინის საცალო ვაჭრობის სისტემაში ფასწარმოქმნაზე. ერთი ლიტრი ბენზინის ღირებულება კი ამ დროის განმავლობაში, როგორც ცნობილია, 800-დან 2500 რუსულ რუბლამდე გაიზარდა. ხოლო სადღეისოდ შეადგენს 1700 რუბლს. მაინც რა ხდება? ამ საწარმოს ხომ, რომლის საიმპორტო ოპერაციებს ხელმძღვანელობს თვად ფ. გრენკი, შეუძლია დამოუკიდებლად შემოიტანოს ბენზინი საქართველოში თურქეთიდან ან საბერძნეთიდან, რომლის ერთი ლიტრის ღირებულება, „გრეკოს" პრეზიდენტის თეიმურაზ კობიძის აღიარებით, თბილისში ჩამოტანითურთ ჯდებოდა და ჯდება მაქსიმუმ 16 ცენტი. მართალია, შემოტანილი ბენზინის მარკები არ შეესაბამება ეკოლოგიურ სტანდარტებს და მათზე უკვე დიდი ხანია უარი თქვეს ცივილიზებულმა ქვეყნებმა.

მისი აზრით, საქართველოში მოქმედ ბენზინის საბითუმო მოწოდების კომპანიებს, მათ შორის კი უდიდესი ოთხს არ აღემატება, ამ საქმეში აქვთ მოგება — ერთი ერთზე, ესე იგი 100 პროცენტი. ამავე დროს, როგორც თ. კობიძემ თქვა, ფ. გრენკმა კომპანია „გრეკოს" ურჩია შემოიფარგლოს 20 პროცენტის მოგებით. და მაინც, „გრეკო" იძენს რა ბენზინს ძირითადად რესპუბლიკური იმპორტიორებისაგან, ფაქტობრივად იკლებს შესაძლებლობას შექმნას კონკურენცია ბენზინის ბაზარზე. მეორე მხრივ, „გრეკოსაც" შეიძლება გავუგოთ, 100 პროცენტი ყოველთვის სჯობს 20 პროცენტს. საქართველოში დადგენილი ხელოვნურად მომატებული მონოპოლიური ფასები ხელს აძლევს „გრეკოს" იმიტომაც, რომ სარგებლობს ერთობლივ საწარმოზე გავრცელებული შეღავათებით, გიხდის მხოლოდ ფიქსირებულ გადასახადს, რომელიც თვეში 100 ამერიკული დოლარის ეკვივალენტურია. ამასთან დაკავშირებით გვაგონდება ფ. გრენკის გამონათქვამი თბილისში გამართულ ამასწინანდელ პრესკონფერენციაზე, სადაც იგი ამტკიცებდა, რომ საქართველოში ბენზინმაფია არ არის.

ამავე დროს თ. კობიძემ აღნიშნა, რომ ამგვარი ქაოსი ბენზინის იმპორტ-ექსპორტსა და საცალო ვაჭრობაში, უდავოდ, გამანადგურებელია ავტომანქანების მფლობელთათვის. და ეს მანამდე გაგრძელდება, სანამ სახელმწიფო თვითონ მკაცრ კონტროლს არ გაუწევს ამ ბიზნესს, ამასთან უნდა ჰქონდეს ეფექტიანი საგადასახადო სისტემა, რომელიც, ისევე როგორც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ფასწარმოქმნის სისტემაში, იცავდეს უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოს ინტერესებს, ეს კი იმავდროულად ნიშნავს მის მოქალაქეთა ინტერესების დაცვასაც.

თენგიზ ჩხიკვაძე,

სენსაცია

როგორ ფიქრობთ, რას შეეძლო გაეერთიანებინა მხატვრები და დიქტატორები, პოლიტიკოსები და როკ-ვარსკვლავები, კინომსახიობები და მილიონერები? როგორც აღმოჩნდა, ისინი სარგებლობდნენ იმ დროს უბრალო მოკვდავთათვის ხელმიუწვდომელი მკურნალობის ახალი მეთოდით, რომელსაც უჯრედოვანი, ან ფეტალური ქირურგია ეწოდა.

სიჭაბუკის ელექსირი ნაპოვნია?

ორი ათასწლეულია ადამიანები ეძებენ სიჭაბუკისა და ჯანმრთელობის ელექსირს, მაგრამ... მას მხოლოდ ზღაპრებში პოულობდნენ. დღეს უჯრედოვან ქირურგიას „სინამდვილედ გადაქცეულ ზღაპარს", „მედიცინაში მომხდარ რევოლუციას!" „სასწაულს" უწოდებენ ისინიც კი, ვისაც იშვიათად თუ დაეუფლება ხოლმე აღფრთოვანებული ემოციები. მათ შეიძლება გაუგო. ფეტალური ქირურგია ამუხრუჭებს დაბერების პროცესს, იცავს კიბოსაგან, ამარცხებს ადრე უკურნებელ სნეულებებს — დაუნისა და პარკინსონის დაავადებებით დაწყებული და უნაყოფობითა და იმპოტენციით დამთავრებული.

ცნობა. სხვადასხვა დროს ფეტალური ქირურგიის პაციენტები იყვნენ ფრენკ სინატრა, მარლენ დიტრიხი, ჟაკლინ ონასისი, იგორ სიკორსკი, მაროკოს მეფე, ბრუნეის სულთანი, ტიტო, ჩაუშესკუ, კონრად ადენაუერი, მენაჰემ ბეგინი, ფიდელ კასტრო, რიჩარდ ნიქსონი, ფერდინანდ მარკოსი, ჟორჟ სიმენონი, თომას მანი, ჩარლზ ჩაპლინი, სოფი ლორენი, უინსტონ ჩერჩილი, დუაიტ ეიზენჰაუერი, რონალდ რეიგანი, ჰერბერტ ფონ კარაიანი, ჰენრი მილერი, პაბლო პიკასო, სალვადორ დალი, გრეტა გარბო, ალფრედ ჰიჩკოკი, ლიზ ტეილორი, მერილინ მონრო, ჯონ როკფელერი, ჯიმი კარტერი, ჯონ კენედი და მრავალი სხვა.

დახურული წყაროებით, ამ მეთოდიკით ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობაც (საბჭოთა პერიოდისა), მეატომე მეცნიერებიც სარგებლობდნენ.

რაში მდგომარეობს მისი არსი? ჯერ კიდევ XIX საუკუნეში აღმოაჩინეს უნიკალური სამკურნალო ეფექტი, რომლის მიღწევა შესაძლებელია ავადმყოფის ორგანიზმში ცხოველების ან ადამიანების ჩანასახის ცოცხალი უჯრედების შეყვანით.

თავისთავად მკურნალობის პრინციპი მარტივია. ჩანასახოვანი უჯრედებისაგან, რომელსაც იღებენ არა უმეტეს 18 კვირის ასაკის ნაყოფისაგან, დგება ხსნარი, რომელიც შეჰყავთ კანქვეშ, წინამდებარე ჯირკვალში, საკვერცხეებში, თავის ტვინში, თირკმლებში და ა. შ. ამ დროს არ წარმოიქმნება. როგორც ტრანსპლანტაციის ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, იმუნური შეთავსებადობის პრობლემები. ეს იმიტომ, რომ ჩანასახოვანი უჯრედები არ შეიცავენ ანტიგენებს და, მაშასადამე, ავადმყოფის ორგანიზმს არ შეუძლია მათი გამოცნობა და უარყოფა. ამრიგად, ამ მეთოდმა შესაძლებლობა შექმნა უბრალოდ გადაეწყვიტა შეთავსებადობის პრობლემა, რომელზეც წარუმატებლად მუშაობდა მეცნიერთა არა ერთი თაობა.

გადანერგილი ფეტალური (ჩანასახოვანი) უჯრედები ზრდის მძლავრი ფაქტორია. ისინი მობილიზაციას უკეთებს და სტიმულს აძლევს ორგანიზმის საკუთარ დამცავ ძალებს, ის კი, თავის მხრივ, წყვეტს სად და რამდენი ჩანასახოვანი უჯრედი გაგზავნოს. ესე იგი, ორგანიზმი თითქოს თვითონ ირჩევს მკურნალობის როგორც ფორმას, ისე ხარისხს. პრეპარატის მოქმედება, როგორც წესი, იწყება ერთი თვის შემდეგ და ერთი ინექცია საკმარისია ორი წლიწადი.

როგორ მიმდინარეობს თვით ოპერაცია? ჩვეულებრივი აბორტის შემდეგ ჩანასახის ნეშტს ყოფენ ქსოვილთა ცალკე ჯგუფებად (ტვინი, თირკმელზედა ჯირკვლები, ღვიძლი, სათესლე ჯირკვლები და ა. შ.), შემდეგ ქსოვილებს იკვლევენ გენეტიკური დეფექტების, მუცლისშიდა ინფექციების გამოსავლენად, განისაზღვრება ზრდის ჰორმონის კონცენტრაცია. მიღებულ მასალას ნიშანს ადებენ და აკონსერვებენ კონტეინერებში ზედაბალ ტემპერატურაზე (—196 გრ. ცელსიუსით). ასეთ პირობებში უჯრედები რამდენიმე წელიწადი ინახება და საჭიროებისამებრ გამოიყენება ოპერაციებისათვის.

აი, ასეთია მეთოდიკის მთელი სამედიცინო ნაწილი. განსაცვიფრებელ ეფექტიანობასთან ერთად — მეთოდის საოცარი ტექნიკური სიმარტივე.

მაგრამ... არსებობს ეთიკური ხასიათის ერთი საჩოთირო მომენტი. ის არ წარმოშობილა, ვიდრე ასეთნაირად მკურნალობდნენ პრეზიდენტებსა და მეფეებს, ფინანსურ მაგნატებსა და ჰოლივუდის ვარსკვლავებს. მაგრამ, როცა გაჩნდა შესაძლებლობა ამ მეთოდის ფართო სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენებისა, მას მოწინააღმდეგენი გაუჩნდა.

ბოლო ოცი წლის განმავლობაში უჯრედოვანი თერაპიის გარშემო ამერიკაში დიდი ვნებათა ღელვა იყო. ჯერ ფეხზე დადგომა ვერ მოესწრო, რომ ამ მეთოდის ირგვლივ უამრავი მითი, ჭორი, სენსაცია დახვავდა. ჩანასახოვანი უჯრედების გამოყენების წინააღმდეგ კატეგორიულად გაილაშქრა ეკლესიამ. ასეთი ზეწოლის შედეგად 1988 წელს რონალდ რეიგანმა აკრძალა ამ გამოკვლევათა დაფინანსება. მაგრამ, ამას არ შეუჩერებია სამეცნიერო სამუშაოები, ის იატაკქვეშეთში გადავიდა. ზოგიერთი სწავლულისათვის კი ეს მათი პროფესიული და შემოქმედებითი დრამის მიზეზად იქცა. ისინი იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ სამედიცინო კვლევა-ძიება, დაეტოვებინათ შეერთებული შტატები.

და, თუმცა ახლანდელმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა თავისი მმართველობის უკვე მესამე დღეს გააუქმა აკრძალვა, მაგრამ ამერიკა ხუთი წლით ჩამორჩა ამ მიმართულებაში, რომელსაც „მომავლის მედიცინას" უწოდებენ. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კონცეფციაში მკაფიოდ არის მითითებული — ყველაფერი, რაც კეთდება ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შესანარჩუნებლად — ეთიკურად გამართლებულია. უჯრედოვან თერაპიაში კი გამოიყენება 300-400 გრამიანი ნაყოფის ნეშტები. იმის ნაცვლად, რომ განადგურდეს (ჩაუშვან უნიტაზში ან დაწვან ღუმელებში), ისინი გამოჯანმრთელების იმედს აძლევენ უიმედო ავადმყოფებს.

სადღეისოდ ამერიკაში ეს საკითხი გადაწყვეტილია. შეერთებული შტატების კონგრესში ახლახან მოისმინეს ფეტალური ქსოვილების გამოკვლევის პრობლემათა საკითხი და დაამტკიცეს რამდენიმე კანონდებულება. ჯერ ერთი, ქალმა მანამდე უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ორსულობის შეწყვეტის შესახებ, ვიდრე დადგებოდეს საკითხი ჩანასახოვანი ქსოვილების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. მეორე: ქალმა არ უნდა იცოდეს ვინ მიიღო აბორტის მასალა, რათა გამოირიცხოს აბორტის მცდელობა ნათესავთა, მეგობართა მკურნალობის მიზნით, ანდა გამორჩენისათვის. მესამე ორსულობის შეწყვეტის ტექნიკა უნდა ითვალისწინებდეს ქალის უსაფრთხოების პრინციპებს.

საოცარია, მაგრამ ჩვენი მედიცინა ამ საკითხებში სათანადო დონეზე აღმოჩნდა. და თუ ამერიკაში საბოლოო დასკვნებს მხოლოდ ახლა აკეთებენ, თანაც მღელვარე დებატების შემდეგ, რუსეთში ამ მიმართულებით უკვე კარგა ხანია მუშაობენ.

დღეისათვის რუსეთის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის მეანობისა და გინეკოლოგიის სრულიად რუსეთის ცენტრში, ლაბორატორიაში, რომელსაც პროფესორი გენადი სუხიხი თავკაცობს, არის საჭირო მოწყობილობა, პერსონალი და შესაძლებლობა „ფეტალური ქსოვილების ბანკის" შესაქმნელად და მათი სერტიფიკაციისათვის. ეს ლაბორატორია ქსოვილებს უგზავნის სხვადასხვა კლინიკას, სადაც სპეციალისტები მათ იყენებენ მძიმე დაავადებათა სამკურნალოდ. მაგალითად, ადამიანის რეპროდუქციის რესპუბლიკურ ცენტრში ანდრე აკოფიანის ხელმძღვანელობით ფეტალური ტრანსპლანტაციის მეთოდებს წარმატებით იყენებენ უნაყოფობის, იმპოტენციის და ქრონიკული პროსტატის მკურნალობისას.

სამამულო სპეციალისტებმა გადაწყვიტეს აგრეთვე ეთიკური საკითხი, რომლის გამოც ამერიკაში ამდენი შუბი დაილეწა. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ბიომაშის" იმუნოლოგიის ლაბორატორიაში, რომელსაც დიმიტრი ზიბინი ხელმძღვანელობს, პრაქტიკულად დამთავრებულია შემუშავება მეთოდიკისა, სადაც ფეტალური ქირურგიის საფუძვლად გამოყენებული იქნება არა ადამიანის, არამედ ცხოველთა ჩანასახოვანი უჯრედები.

რა მომავალი ელის ფეტალურ ქირურგიას, ამას მომავალი გვიჩვენებს. შევძლებთ ღვარძლისაგან გამოვარჩიოთ მარცვალი? თუ რევოლუციურ მეთოდს ელის იმ განსაცდელის გადალახვა, რომელიც გაიარეს გენეტიკამ, ფსიქოლოგიამ, კიბერნეტიკამ? არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფსევდომორალისტთა აყოლის ცდუნება ამერიკას ხუთი წლის უმოქმედობად დაუჯდა. ჩვენ რაღა დაგვიჯდება? რამდენი დაკარგული სიცოცხლე?

ტატიანა პოლიაკოვა,
ვიქტორ რომანენკო.

„არგუმენტი ი ფაქტი" № 6.

ხსოვნა

გიორგი ხოლოდაშვილი

გარდაიცვალა ცნობილი შემოქმედი, ტურიზმში შეუპოვარი, მისი განვითარებისათვის თავდადებული, დამსახურებული მუშაკი, ომის ვეტერანი, პერსონალური პენსიონერი გიორგი (ჟორა) ბაგრატის ძე ხოლოდაშვილი.

დაიბადა 1914 წელს ქ. თბილისში. სხვადასხვა დროს იყო ბაკურიანის, ბორჯომის, ყაზბეგის, თელავის, თებერდის, ლაგოდეხის ტურბაზების კომბინატების დირექტორი. იგი მრავალჯერ დაჯილდოვდა საპატიო სიგელებით, მედლებით, მადლობებით, არჩეული იყო ადგილობრივი საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატად. მან უდიდესი წვლილი შეიტანა საკავშირო და ადგილობრივი მარშრუტების შესწავლის, დაფუძნების და გახსნის საქმეში და ამით გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული ტურიზმის განვითარებაში.

ხოლოდაშვილის პირად საქმეში ინახება ძალიან ბევრი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკიდან, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, ტურისტულ ორგანიზაციებიდან და ცალკეული ტურისტებისაგან მიღებული მადლობები, რომლებიც სხვადასხვა მარშრუტებით სხვადასხვა დროს ჩამოდიოდნენ საქართველოში და ისვენებდნენ იმ ობიექტებში, სადაც დირექტორი — ხელმძღვანელი გიორგი ხოლოდაშვილი იყო.

ბატონი გიორგი იყო შესანიშნავი მეოჯახე — მეუღლე, მამა და ბაბუა...

დაუვიწყარი იქნება ბატონი გიორგის ხსოვნა. მსუბუქი იყოს მის გულზე დაყრილი ქართული მიწა. ზეციურ ნათელში სუფევდეს მისი სული.

საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტი; ტურიზმის რესპუბლიკის ვეტერანთა საბჭო.

თენგიზ ავალიშვილი

ქართველ ოფიცერთა რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი პიროვნება, კაცთმოყვარე, მხიარული და ენერგიული ოფიცერი, პოლკოვნიკი თენგიზ ავალიშვილი.

თენგიზ ავალიშვილი დაიბადა 1925 წელს ქ. თბილისში. თბილისის 86-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში მოეწყო. 1943 წელს, როგორც მოწინავე კომკავშირელი, გაიგზავნა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში, სადაც მუშაობდა ამწყობად, ამწყობ ზეინკლად. აქ აირჩიეს და მუშაობდა ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მეორე მდივნად.

1946 წელს გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში. 1950-1951 წლებში გაიარა ქალაქ ლვოვის ოფიცერთა გადამზადების კურსები და სამსახური გააგრძელა საბჭოთა არმიის რიგებში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

1955 წლის დეკემბერს გადმოყვანილი იქნა საქართველოს სამხედრო კომისარიატის სისტემაში, სადაც მუშაობდა ნაწილის ოფიცრად, თეთრიწყაროსა და დუშეთის რაიონების სამხედრო კომისრად, მარნეულის რაიონის სამხედრო კომისრის მოადგილედ, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის მეორე განყოფილების უფროსად.

ქართული არმიის შექმნის პირველ დღეებშივე აქტიურად ჩაერთო მის მშენებლობაში და პირნათლად ცდილობდა თავისი ცოდნა და გამოცდილება გადაეცა ახალგაზრდებისათვის.

ყოველთვის დაფასებული იყო თენგიზ ავალიშვილის სამსახური, იგი დაჯილდოებულია მრავალი მედლითა და საჩუქრით.

თენგიზ ავალიშვილი იყო ენერგიული ოფიცერი, თავისი საქმის კარგი მცოდნე, შესანიშნავი მეგობარი და ბრწყინვალე მამულიშვილი. მას ახასიათებდა უმაღლესი პასუხისმგებლობა მასზე დაკისრებული საქმის მიმართ, ოჯახის განსაკუთრებული სიყვარული, მეგობრებისადმი ერთგულება და პატივისცემა.

რარიგ ძნელია მისი ჩვენგან წასვლა და რარიგ ძლიერია და მარადიულია მისდამი ჩვენი სიყვარული და დატოვებული ხსოვნა, რომელსაც არდავიწყება ჰქვია სახელად.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატი.

ინფორმაცია

უზენაესი სასამართლოს დარბაზიდან

1994 წლის 22 დეკემბერს მ. მეშველიანი და მ. კენჭოშვილი ხონში სტუმრად იმყოფებოდნენ ერთ-ერთ ოჯახში, სადაც სუფრასთან შელაპარაკება მოუხდათ გ. ჯიბუხიასთან, რაც სულ მალე სერიოზულ ჩხუბში გადაიზარდა. გაბოროტებულმა მეშველიანმა და კენჭოშვილმა გადაწყვიტეს მოეკლათ გ. ჯიბუხია, ჩაუსაფრდნენ გზაზე და ქვის თავში ჩარტყმით სიცოცხლეს გამოასალმეს იგი.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ჩადენილი დანაშაული დააკვალიფიცირა სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით და ორივე დამნაშავეს 12-12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახური.

რაო, ბატონო მელაო?

1995 წლის 12 მაისს, ღამით სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში ლუბა გზირიშვილის ეზოდან ქათმები და კურდღლები მოიპარეს.

პოლიციის რაიონული განყოფილების მუშაკებმა დაადგინეს, რომ ამ ხელობაში ტრადიციულად განაფული მელიების გვარს წარმატებით გაუწია კონკურენცია სოფლელმა თამარ ჯანიაშვილმა.

იმ ღამეს ძაღლები რატომღაც დუმდნენ.

მელათა მოდგმა კი ისტორიის გაუხუნარ ფოლიანტებში დაფიქსირებულ მისი ღირსების დამადასტურებელ სტრიქონებს იზეპირებდა: „ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო".

ცივი ომის რეციდივი

14 მაისს ფოთის ნავსადგურის სარეჟიმო ტერიტორიაზე გაქურდეს კონტეინერი, რომელშიც ამერიკიდან გამოგზავნილი სომხეთისათვის განკუთვნილი სიგარეტი „მალბორო" იყო ჩატვირთული. ადგილობრივმა სატრანსპორტო პოლიციამ ოპერატიულად იმოქმედა და დააკავა ნავსადგურის მეამწე ვლადიმერ ილიას ძე, დიას, ვლადიმერ ილიას ძე ოლონდ კრივცოვი, რომელიც, საბედნიეროდ, ფოთში ლენინგრადის ქუჩაზე ცხოვრობს.

ლენინგრადის ქუჩის მცხოვრები ბრალდებული კატეგორიულად ადგას ვერსიას, რომ მან თავისი ქმედებით აღკვეთა მოძმე სომეხი ხალხის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დივერსია.

„შეიცან თავი შენი"

„მდაბალ ძალებს არ უნდა მივცეთ აღზევების საშუალება, ყველა შემთხვევაში, გამარჯვება გონების მხარეზე უნდა იყოს"

ორი-სამი თვის წინათ, ქობულეთის რაიონში, სანადირო თოფით, მამამ წვერულვაშაყრილი, ზრდასრული ვაჟები დახოცა.

ასეთი შემთხვევები იშვიათი რომ იყოს, შესაძლოა, გავჩუმებულიყავე, ხმა არ ამომეღო, მაგრამ იმდენად ხშირია, ხანდახან ეფიქრობ, რაიმე კანონზომიერებას ხომ არა აქვს ადგილი-მეთქი.

ვფიქრობ, ამ უცნაური მკვლელობების არსზე, მამოძრავებელ ძალებზე. კრიმინალური ქრონიკა კი, ძირითადად, სიტყვამუნწია, იტყობინება — წაკამათდნენო! რაღაც ვერ გაუგესო ერთმანეთს! საქმეთა, ასე მარტივად იყოს საქმე, თუმცა მეტის გაგებასაც არავინ ცდილობს და ამ მოკლე მშრალი ქრონიკით იმაყოფილებს ცნობისმოყვარეობას.

რაკი ორია, სამია, ოთხია, ნიშნავს, რომ მრავალია, ამიტომ დროულია პრობლემის საყოველთაო ხასიათზე ვიმსჯელოთ. და რომ მრავალია, ამაზე შემდეგი მაგალითებიც მეტყველებს.

ჩოხატაურში ბლაგვი საგნის თავში ჩარტყმით — მეზობელმა მეზობელი მოკლა;

თიანეთში რძალმა, სანადირო თოფით, მამამთილს მოუსწრაფა სიცოცხლე, მკვლელი ხელწერილით გაუშვეს.

გორშიც მეზობელმა მეზობელი გაიმეტა;

ამავე რაიონში, ოჯახურ გარემოში, ცოლ-ქმრულ დუელში ქმარმა გაიმარჯვა.

რუსთავშიც დატენილი დამბაჩა ქმარმა ცოლისკენ მიმართა, თავისი უგუნური მოქმედების შედეგი რომ იხილა, თვადაც თავი მოიკლა.

შესაძლოა, ვერც მე „დავუძვრე" მშრალი ქრონიკის დადგენილ ჩარჩოებს. რთული თემაა, თანაც ჩვენი საზოგადოება კვლავაც ვერ იტანს, მის ნეგატიურ მხარეებზე რომ საუბრობენ ხმამაღლა.

ძალიან ცოტა იწყებს ცხოვრებას თვითშემეცნებით, ცოტა ფიქრობს სიკვდილ-სიცოცხლის საზრისზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, თავის ადგილზე გარემომცველ სამყაროში, საზოგადოებაში, ოჯახში! ფილოსოფიური კრიზისი გზას უხსნის მდაბალ ძალებს, ბოროტებას და ყოველგვარი უბედურების სათავე ხდება.

ადამიანი უფრო და უფრო ნაკლებად ებრძვის თავის თავში და თავის საცხოვრისში მოკალათებულ ეშმაკეულს, ღვთიდღლე მიწიერი სურვილების, ინსტინქტების მონა ხდება, რომელთა დაუკმაყოფილებლობამ ლამის მთელ სამყაროზე გამოაცხადებინოს ომი, გაამეტებინოს ძმა, შვილი, საკუთარი სისხლხორცი.

თუ პიროვნება ძლიერია, თავად ეძებს და პოულობს კიდეც ცხოვრების საზრისს, კუპითა და ავტომატით, ქვეყანა, ცხოველური ინსტიქტებით მოაზროვნე უსუსური კაცი კარგავს მას და ნელ-ნელა იღუპება.

საკაცობრიო მოწინავე აზრი, მათ შორის, ქრისტიანული მორალი ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს ადამიანის გაკეთილშობილებას, გაადამიანებას. საუბედუროდ, ეს მცდელობა ყოველთვის წარმატებით არ გვირგვინდებოდა. არადა, რამდენი დაკარგა მსოფლიომ, ქრისტეს მცნებებით რომ არ იცხოვრა, თუნდაც ბრძენ სოკრატეს არ მოუსმინა და „შეიცან თავი შენი" სიცოცხლისა და მოღვაწეობის დევიზად არ გაიხადა.

ცრემლ უნდა ვებრძოლოთ

წყალტუბოში სიძემ სიდედრი მოკლა თოფით. ზოგიერთმა, შესაძლოა, ირონიულად გაიცინოს:

— სიდედრია და, ალბათ, დაიმსახურაო!

ნუ გაგეცინებათ! — აქედან იწყება სამყაროს დაღუპვა, ადამიანის მგლური ბუნების, მდაბალი ძალების გონებაზე გამარჯვების ლამის შეუქცევადი პროცესი.

ზუგდიდში მეზობელმა მეზობელი გაისტუმრა საიქიოს.

თბილისში, დიდუბეში, ვინმე გალუსტიანი, ნადირაშვილი და რაზმაძე წაკამათდნენ. 56 წლის ნადირაშვილმა დანით დაჭრა რაზმაძე და გალუსტიანი, ამ უკანასკნელმა კი ბოლოწამტვრეული ბოთლი ჩაარტყა ნადირაშვილს. საბოლოოდ, „ბრძოლის ველზე" ორი გვამი დარჩა.

ფილოსოფიურ კრიზისს ზოგიერთი შეუქცევად ეკონომიკურ კრიზისს უკავშირებს — დამშეულმა მგელმა დანდობა არ იცისო. კოლოც ასე მწარედ იმიტომ იკბინება, შია და სისხლი წყურიაო.

ვენდოთ ამ „სიბრძნეს?"

მაშინ ისიც დავასაბუთოთ, რომ ადამიანი ამქვეყნად მხოლოდ ჭამის, სტომაქის ამოყორვაზე ზრუნვისა და, საერთოდ, ბოროტებისთვის არის მოვლენილი! მაშინ, სადღა წავიღოთ ჩვენი ამაღლებული წარმოდგენები სიკეთეზე, გატანაზე, მოთმინებასა და ურთიერთსიყვარულზე?

„1935 წელს შემზარავი წერილი მივიღე — წერს მიხაილ ზოშჩენკო თავის შესანიშნავ წიგნში „გონებისათვის", — გლეხმა (ვორონეჟის ოლქში) შურისძიების ნიადაგზე ნაჯახით დაჩეხა და ამოხოცა მეზობლის მთელი ოჯახი. მეზობლებს დიდი ხნის დავა ჰქონდათ ერთმანეთში და აი, სიძულვილით გააფთრებულმა გლეხმა ჩაიდინა ეს საშინელი სისხლიანი დანაშაული.

რა თქმა უნდა, მას სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯეს. საკანში ეს გაუნათლებელი კაცი წიგნების კითხვას შეუდგა და შემთხვევით ჩემი „დაბრუნებული ახალგაზრდობა" ჩაუვარდა ხელში.

არ ვიცი, რისი გამოტანა შეძლო წაკითხულიდან, მაგრამ ერთი რამ მაინც გაისაცნაურა, მიხვდა, რომ ადამიანს შეუძლია და უნდა უხელმძღვანელოს კიდეც საკუთარ თავს.

ამ მარტივი აზრით გაოგნებულმა მომწერა წერილი, ყველაფერი ეს ადრევე რომ მცოდნოდა, დანაშაულს არასოდეს ჩავიდენდი, მაგრამ რა ვიცოდი, თუ საკუთარი გრძნობების მართვა და მოთოკვა შესაძლებელი იყოო".

მდაბალ ძალებს არ უნდა მივცეთ აღზევების საშუალება, ყველა შემთხვევაში „გამარჯვება გონების მხარეზე უნდა იყოს".

გრძნობების, ინსტინქტების პრიმატი ტანჯვისა და უბედურების მეტს არაფერს უქადის ადამიანს.

ის გონიერი არსებაა და მისი არსებობისათვის ბრძოლაც გონიერი უნდა იყოს!..

ზაურ მაკარაძე.

სპორტი

განხილვა გადაიდო

ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის 28-ე ტურის მატჩები ასე დამთავრდა: „სამტრედია"-„ივერია" 3:0, „კოლხეთი"-„ზუგდიდი" 4:0, „კახეთი"-„სამგურალი" 4:2, „ბათუმი"-„დილა" 2:1, „შევარდენი"-„მარგვეთი" 1:1, „ტორპედო"-„მეტალურგი" 2:1, „დურუჯი"-„გურია" 3:1.

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურ კომისიას უნდა განეხილა „ზუგდიდი"-„დინამოს" შეხვედრის შემდეგ თბილისელთა მიერ შეტანილი პროტესტი, მაგრამ გვერდითი მსაჯისა და მასპინძელთა წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო „განაჩენის" გამოტანა 24 მაისისათვის გადავადდა.

ნაკრები დაკომპლექტდა

გუშინ საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბესიკ ლიპარტელიანმა დაასახელა ის 12 სპორტსმენი, რომელიც დღეს ინგლისის ქალაქ ბირმინგემში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე გაემგზავრება. ჩვენი ქვეყნის ღირსებას ამჯერად დაიცავენ ნიკოლოზ დერიუგინი, ვლადიმერ სტეფანია, დავით ბერძენიშვილი, რევაზ ჩხეიძე, ვახტანგ ნაცვლიშვილი (ჟურნალისტთა გამოკითხვით სეზონის საუკეთესო კალათბურთელი), დავით თორთლაძე, ირაკლი ვაშაკიძე, პაატა გურასპაული, ირაკლი ბაქრაძე, მიხეილ კობეშავიძე, დუდუ დადიანი და გია სანაძე.

გთავაზობთ საქართველოს ნაკრები გუნდის შესარჩევი შეხვედრების კალენდარს: 24 მაისი — საქართველო-პოლონეთი; 25 მაისი — საქართველო-დანია, 26 მაისი — საქართველო-ინგლისი, 27 მაისი — საქართველო-უელსი და 28 მაისი — საქართველო-ლუქსემბურგი.

შეგახსენებთ, რომ ამ ჯგუფიდან შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლებას სამი საუკეთესო მოიპოვებს.

ქართველთა მედლები

ამ დღეებში ქართველმა მოჭიდავეებმა და მოჭადრაკეებმა ევროპის ჩემპიონატების 7 მედალი მოიპოვეს.

ძიუდო

გიორგი ვაზაგაშვილი (60 კგ) — „ვერცხლი".

ივერი ჯიქურაული (86 კგ) — „ვერცხლი"

თავისუფალი ჭიდაობა

ელდარ კურტანიძე (82 კგ) — „ვერცხლი"

სამბო

იოსებ ჯანანაშვილი — „ბრინჯაო.

მამუკა ახალბედაშვილი — „ბრინჯაო".

ჭადრაკი

16 წლამდე ასაკის გოგონები: **ინგა ხურციძე** — „ვერცხლი".

20 წლამდე ასაკის ჭაბუკები. გუნდური ტურნირი. **საქართველო (გიორგი ბახტაძე, დავით მჭედლიშვილი, ირაკლი შენგელია, გიორგი ფარეხიშვილი)** — „ბრინჯაო".

მეუღლე ვალია, შვილი გიორგი, მშობლები გელა, იზოლდა, ძმა გიორგი, და თამარი გულბანები, ბებია ნინა აფრიაშვილი, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
გუჩა გელას ძე გულბანი
პანაშვიდი 21, 22, V, 4 ს., გამოსვენება 23 V, 8 ს., გია აბესაძის ჩიხი 4.

დედა ნუნუ კოპალეიშვილი, მამა თენგიზ, და ხათუნა, ბებია თამარ ფერაძეები, ხიცოლა ნუნუ გეგეშიძე, დეიდები ნელი, მანანა კოპალეიშვილები, ბიძაშვილები საშა, შორენა ფერაძეები, დეიდაშვილები ვიქტორ, ეთერ, შავიძეები, მარიკა, ნინო ჩხიკვაძეები, სიძეები მამუკა ციმინტია, ლადო ხუციშვილი, ალიკო ხუნწარია, დისწული ლევან ციმინტია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
თამარ თენგიზის ასული ფერაძე
პანაშვიდი 21, 22 V, 4 ს., გამოსვენება 23 V, 2 ს., ყიფშიძის 4 (I სადარბაზო).

მეუღლე დოდო კოპალეიშვილი, შვილები ნინო, კახა ზერგედავები, დედა ვარდიშა, ძმები გენო, მამუკა, და თავაზი, ძმისწულები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ბოჩია ერმილეს ძე გერგედავა
პანაშვიდი 21, 22 V 4 ს., გამოსვენება 23 V, 3 ს., დიღმის მასივი მე-2 კვარტალი, მე-11 კორპუსი.

საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო კონცერნი „საქავტოგზა" იუწყება, რომ გარდაიცვალა საგზაო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, ინსტიტუტ „საქგზამეცნიერების" სწავლული მდივანი
ეფიმია (ეფიკა) ალექსანდრეს ასული სურენიანი

1992 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის მეცხრამეტე ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი გაიმართა 1995 წლის 15 მაისს ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონში
მოგება ხვდა შემდეგი ნომრებისა და სერიის ობლიგაციებს

№№ სერიის •	№№ ობლიგაციის	მოგების ოდენობა კუპონებში	№№ სერიის	№№ ობლიგაციის	მოგების ოდენობა კუპონებში	№№ სერიის	№№ ობლიგაციის	მოგების ოდენობა კუპონებში
00107	010X	100000	06273	1-40	50000	15564	032X	250000
00315	011X	500000	07313	035X	100000	15597	033X	100000
00366	039X	250000	08014	1-40	75000	15600	030X	250000
00888	1-40	50000	08423	1-40	75000	16615	1-40	75000
00954	012X	100000	08523	040X	100000	17330	1-40	50000
01131	001X	100000	08657	030X	500000	17501	012X	250000
01709	1-40	75000	08888	024X	100000	17512	016X	250000
01732	040X	100000	08910	033X	100000	17939	018X	100000
01743	007X	100000	08943	004X	100000	17951	011X	100000
01927	006X	100000	09537	1-40	75000	18015	035X	100000
01952	036X	100000	09553	028X	250000	18091	1-40	50000
02148	028X	100000	10155	038X	100000	18167	031X	100000
02196	034X	100000	10351	026X	100000	18655	002X	100000
02309	1-40	10000	10391	029X	250000	18688	019X	250000
02461	016X	100000	10666	038X	100000	19272	019X	100000
02773	013X	250000	10894	027X	100000	19372	015X	250000
02915	006X	75000	11424	028X	100000	19617	037X	250000
03257	017X	100000	11475	1-40	75000	19632	1-40	75000
03777	1-40	50000	11670	1-40	50000	19896	027X	100000
03786	024X	100000	11694	015X	100000	19927	001X	100000
03837	003X	100000	11794	038X	500000	20564	1-40	50000
04448	029X	250000	12629	026X	100000	20930	1-40	75000
04496	1-40	75000	12936	002X	250000	21640	021X	250000
04538	037X	250000	13024	006X	100000	21703	1-40	50000
04565	015X	250000	13037	015X	250000	21740	1-40	50000
04608	018X	100000	13046	1-40	50000	22354	025X	75000
04743	040X	100000	13334	037X	100000	22973	023X	1000000
04746	018X	100000	13411	017X	500000	23117	014X	100000
04809	034X	250000	13845	039X	50000	23279	1-40	50000
04815	001X	100000	13891	011X	100000	23611	030X	100000
04892	018X	100000	14328	034X	500000	23953	1-40	10000
05169	025X	250000	14381	013X	100000	24205	027X	100000
05230	009X	100000	14435	001X	100000	24806	1-40	50000
05244	003X	100000	14472	008X	100000	24817	016X	100000
05280	1-40	50000	14498	1-40	50000	24871	020X	250000
05866	025X	250000	14992	038X	100000	24954	013X	100000
06169	022X	100000	15432	015X	100000			

• ობლიგაციის ამ სერიის ყველა დანარჩენ 39 ნომერს მოგება ხვდა 10.000 კუპონი.

ცხრილში მოცემულია მოგებები 5000 კუპონად ღირებულ ობლიგაციებზე.

თუ მოგება ხვდა 10000 კუპონად ღირებულ ობლიგაციის ერთ ნომერს, მასზე მოგება გაიცემა ობლიგაციის ნომინალურ ღირებულებასთან ერთად.

მაგალითად, თუ ობლიგაციამ მოიგო 1.000.000, 500.000, 250.000, 100.000, 75.000, 50.000, 10.000 კუპონი, მასზე შესაბამისად გაიცემა 1.010.000, 510.000, 260.000, 110.000, 85.000, 60.000, 20.000 კუპონი.

1000 კუპონად ღირებულ ობლიგაციის მოგების შემთხვევაში, გაიცემა მოგების მეხუთედი ნაწილი.

მაგალითად, თუ ობლიგაციამ მოიგო 1.000.000, 500.000, 250.000, 100.000, 75.000, 50.000 10.000 კუპონი — შესაბამისად გაიცემა 200.000, 100.000, 50.000, 20.000, 15.000, 10.000, 2000 კუპონი.

მოგების თანხაში ჩათვლილია მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მიხედვითაც შემნახველი ბანკის დაწესებულებები აწარმოებენ მოგებების გაცემას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

კომისიის თავმჯდომარე — ჩუღურეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. კანდელაკი.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილეები — საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ფასიანი ქაღალდების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი გ. გოგიშვილი.
ჩუღურეთის რაიონის საფინანსო განყოფილების გამგე ო. ბენებაშვილი.

პასუხისმგებელი მდივანი — „ახალი ქართული ბანკის" ანაბრების, უნაღდო ანგარიშსწორების და ფასიანი ქაღალდების სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი თ. ხარიტონაშვილი.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი იქსგავერდიანია.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.